

საბჭოეთა საგარეო საზღვრეთა



178 / 2
1986 / 2

1986

3

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალიქსიძე
ანგი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი),
გელა ბერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანჟორ გაბიანი
აკაკი კარანაძე
დურმიშან ლორია
ვახტანგ რაჭმაძე
ზრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ალექსანდრე უშანაშვილი
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯენაძე

Главный редактор
Талаквдзе Л. Г.

Редакционная коллегия

Алексидзе Л. А.,
Арсенашвили А. Г.
(научный редактор),
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь),
Габиани А. А.,
Джорбенадзе С. М.,
Каранадзе А. Г.,
Лория Д. А.,
Размадзе В. А.,
Роинишвили Г. В.,
Чиковани И. П.,
Шавгулидзе Т. Г.,
Шушанашвили А. А.



საჭოთა საბჭოთაი

№ 3

მანის
ივნისი

1986 წელი

შურნალი გამოდის 1986 წლის 1 მარტიდან

საპარტიალოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
შმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ბ რ ს ი

სკკ ცენტრალურ კომიტეტში

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . 3

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . 7

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში . . . 10

მეცნიერული ცხოვრება

ა. არსენაშვილი, გ. ბერძენიშვილი — რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია . . . 12

მ. მანისი — გამარჯვების დღე

ბ. გურული — კვლავაც ვაჟაკური შემართებით . . . 20

ბანენის ძალა — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

ა. გაბიანი — ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი
შედეგი . . . 21

გამოცდილებას გვიზიარებან მემგობრები

ს. რახმონოვი — საბინაო კაწონმდებლობა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში . . . 26

თმორიის საბითხები

ვ. გეწაძე — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის
განმტკიცება . . . 28

ბ. ასრინიძე — სისხლის სამართლის სამართალწარმოების საოქმო ფორმის თეორია და
პრაქტიკა . . . 34

სასამართლო ექსპერტიზა: სიხალენი და პრაქტიკა

ო. ჟღენტი — ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძვლები . . . 38

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ი. აქუბარდია — საქართველოს სსრ პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები . . . 46

ახალი თარგმანები

რენე დავიდი — თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები . . . 51

ზ. ახვლედიანი — ზოგიერთი შენიშვნა სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი გა-
მოცემის გამო . . . 57

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ . . . 59

ინფორმაცია . . . 72

СОДЕРЖАНИЕ



В Центральном Комитете КПСС

О мерах по усилению борьбы с нетрудовыми доходами 3

В Совете Министров СССР

О мерах по усилению борьбы с нетрудовыми доходами 7

В Президиуме Верховного Совета СССР 10

Научная жизнь

А. Арсенашвили, Г. Бердзенишвили — Республиканская научная конференция 12

9 мая — день Победы

Г. Гурули — С мужественным настроем 20

Силу закона — против пьянства и алкоголизма

А. Габiani — Некоторые результаты конкретно-социологических исследований алкоголизма 21

Друзья делятся опытом

С. Рахмонов — Жилищное законодательство в борьбе против пьянства 26

Вопросы теории

В. Гецадзе — Укрепление правовых основ государственной и общественной жизни 28

Б. Асриев — Теория и практика протокольной формы уголовного судопроизводства 34

Судебная экспертиза: новшества и практика

О. Жгенти — Правовые основы экспертизы 38

Первые шаги в науке

И. Акубардия — Основные этапы развития прокуратуры Грузинской ССР 46

Новые переводы

Рене Давид — Основные правовые системы современности 51

З. Ахвледиани — Некоторые замечания по поводу нового издания Кодекса гражданского права 57

Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 59

Информация 72



© „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, კლშხანოვის კრ. 108, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 20.05.86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.06.86 წ.
ფორმატი 70×108^{1/16}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 1260

ტირაჟი 28.000

უც 13632

საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



18.2.73

უპროვალე უაგოსავლის ნინააღვღაგ ბაკოლის გაკლიარაგის ღონისძიარათა შესახავ

ამ საპირსხამ მიღებულ დადგენილებაში სკკვ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ღვიძლ საქმედ აღიქვეს პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები, სახალხო შეურნეობის ყველა უბანზე თავდადებული მუშაობით მტკიცედ იღვწიან საზოგადოებრივი დოვლათის გადიღებისათვის. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ ჩვენი სახელმწიფოში ხალხის საკეთილდღეოდ კეთილსინდისიერი შრომა, სოციალისტური საკუთრების განმტკიცება, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების, თითოეული ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მთავარი წყარო, საზოგადოების ყველა წევრის კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა, მათი წმინდათაწმინდა მოვალეობაა. ქვეყანაში ვლინდება მუდმივი ზრუნვა პათიოსანი, მაღალნაყოფიერი, შრომის ავტორიტეტის გაზრდისათვის, სოციალიზმის ძირითადი პრინციპის: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ განუხრებელი განხორციელებისათვის, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ამავე დროს არის ბევრი ფაქტორი, როცა ადამიანები იღებენ უშრომელ შემოსავალს დატაცების, სბეკულაციის, მექრთამეობის სხვაგვარი უკანონო საქმიანობის შედეგად. ზოგიერთი მათგანი გამორჩენის მიწნით იყენებს სახელმწიფოს კუთვნილ მანქანა-მექანიზმებს, სატრანსპორტო საშუალებებს, საცხოვრებელ ფართობს, საბოობს, ნედლეულს და მასალებს. ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო მომსახურების საწარმოებსა და დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ურიგდებიან მომსახურების გაწევისათვის დამატებითი საფასურის გამოძაღვის, ნავაჭრის მითვისების, მოქალაქეთა მოტყუების, პროტექციონიზმის ფაქტებს. სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარებითი მიწნით გამოყენების გზას ხშირად ადგებიან თანამდებობის პირები. მომხვეჭელობისადმი მისწრაფებას, ცხოვრებისადმი იოლ დამოკიდებულებას არ კიცხვენ ცალკეულ საბჭოთა ოჯახებში.

სოციალისტური ცხოვრების წესთან ასეთი შეუთავსებელი მახინჯი მოვლენები ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს, იწვევს საბჭოთა მოქალაქეების სამართლიან აღშფოთებას. ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისადმი თავიანთ მიმართებებში ისინი დაჟინებით მოითხოვენ უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრის გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელებას. სკკვ ცენტრალური კომიტეტი მთლიანად უჭერს მხარს ამ მოთხოვნებს და მიანიშნავს, რომ პარტულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდაცვითმა ორგანოებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, ანგარებითი გამოვლინებების აღმოსაფხვრელად.

სკკვ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც სოციალიზმის ბუნებისათვის უცხო უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და აღმზრდელობითს ამოცანად მიანიშნავს, წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკვ ცენტრალურ კომიტეტს,

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი, წარმართონ ეს მუშაობა აქტიურად და უკომპრომიზოდ, ამასთან იღვაწონ, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საქმიანობის ყველა სფეროში განუხრელად სრულდებოდეს საბჭოთა კანონები, სოციალისტური სამართლიანობის მოთხოვნები, მაგრად ჩაიკეტოს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარკზე უკანონო გამდიდრების ყველა არხი და საძრომი. დარაზმონ პარტია და ხალხი ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გადაიდებული მოთხოვნის საქონლის წარმოების ზრდას, მოსახლეობისათვის სათადარიგო ნაწილების, საშენი მასალების, ბინის მოსაწყობი ნივთების მიყიდვის გაფართოებას. უმოკლეს ვადებში შექმნან მატერიალური და ორგანიზაციული წინამძღვარები მომსახურებაზე, უწინარეს ყოვლისა, ბინების, ავტომობილების, მოტოციკლების, ელექტრო, ტელე, რადიო-პარატების და სხვა საოჯახო მანქანა-მოწყობილობის შეკეთებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გააუმჯობესონ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოების, სახტუმროების, მომსახურების სფეროს სხვა საწარმოების მუშაობა, მრავალფეროვანი გახადონ მომსახურების სახეობანი და ფორმები. გაითვალისწინონ სამისო დამატებითი ღონისძიებანი მეთორმეტე ხუთწლიეის სახელმწიფო გეგმების პროექტებში, უფრო სრულად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და რეზერვები.

ობერატიულად და საგნობრივად შეისწავლონ ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოქმნილი დეფიციტის, სახტუმროებში ადგილების მიცემაზე, ტრანსპორტის ბილეთების მიყიდვაზე უარის თქმის მიზეზები, განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებები, როცა დეფიციტი იქმნება ზოგიერთი მუშაკის უგერგილობისა და უპასუხისმგებლობის მიზეზით, გადაჭრით აღკვეთონ აღმართა საჭიროებებისაღმი გულგრილობისა და უდარდელი დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინება.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მკაცრი წესრიგი უნდა დაამყარონ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში, გადაჭრით აღმოფხვრან უკონტროლობის, უყარათობისა და მფლანგველობის ყოველგვარი გამოვლინება, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების სამიედო დაცვა-შენახვა. უნდა სრულყონ შრომის ორგანიზაცია, ნორმირება და ანაზღაურება, იღვაწონ, რათა პატიოსანი, კეთილსინდისიერი და მაღალხარისხოვანი შრომა ჰეროვნად ნაზღაურდებოდეს.

სკკ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გამოიყენონ საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა იმ პირობა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. შემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებლად არ დატოვონ უშრომელი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტი. ისე წარმართონ საქმიე, რომ მექრთამეების, ხაზინის ქურდების, ხელმრუდეთა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულთა მიმართ შექმნან საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო, რომ მათ იცოდნენ: არ ასცდებათ სასჯელი თავიანთი ქმედობისათვის. უფრო ფართოდ გამოიყენონ დეკლარაციების სისტემა, მოქალაქეთა შემოსავლის კანონიერებისაღმი კონტროლის სხვა სახეობანი, მეტად დაწინერგონ პრაქტიკაში ჰერადი ოდენობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, გაზარდონ ქონებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ანგარებითი დანაშაულობებისათვის, სრულყონ საგადასახადო პრაქტიკა. კონტროლი დაუწესონ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის გამოყენებას, მოაწესრიგონ ბინებთან დაკავშირებული გაცვლითი ობერაციები. განამტკიცონ საპასპორტო რეჟიმი ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. გააძლიერონ კონტროლი საკომმერციო ბაზრების მუშაობისაღმი, ამასთან მხედველობაში მიიღონ სპეკულანტური ელემენტებისა და გადაშიყიდვების საქმიანობის აღკვეთა. გაადიდონ საკომისიო ვაჭრობის მნიშვნელობა გადაიდებული მოთხოვნის საქონლის ფართო გაყიდვის ორგანიზაციაში, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მათგან გამომუშავებული ნაწარმის შესყიდვასა და გაყიდვაში.

ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს საფინანსო ორგანოების, საუწყებო სარევიზიო-საკონტროლო სამსახურების, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, გაიზარდოს მუშათა კონტროლის როლი და მნიშვნელობა. უფრო სრულად გამოიყენონ უშრომელი შემოსავლის აღკვეთის მიზნით შრომითი კოლექტივების უფლებები და შესაძლებლობანი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან გაადიდონ მომთხოვნელობა თანამდებობის პირთა, ხელმძღვანელი კადრების მიმართ, რათა უზრუნველყონ დატაცებისა და გაფუჭებისაგან სახალხო დოვლათის დაცვა-შენახვა, აღმოფხვრან უყარათობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, გამოძაღვლელობის, ფულის შეწერის წარმომშობი პირობები. გააძლიერონ პარტიული კონტროლი ამ მიმართულებით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი. კადრების შერჩევისა და განაწილების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ მუშაკთა პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს, აგრეთვე მორალურ სისბეტაკეს, გადაჭრით აღკვეთონ ანგარების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, უპატიონსა აღმართა მფარველობის ფაქტები. შეუძლებლად მიიჩნიონ ხელმძღვანელ სამუშაოზე ისეთ პირთა გამოყენება, რომლებმაც სახელი გაიტყვეს ამგვარი მოქმედებით.

სსრ კავშირის პროკურატურას, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებით დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა, ძირეულად გააუმჯობესონ მათი პროფილაქტიკა. პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა შრომის, საბინაო, მიწის კანონმდებლობისა და კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვისადმი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გაააქტიუროს სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის სამსახურების, სახვტკონსპექციის, მილიციის საქმიანობა ტრანსპორტზე, რათა გამოავლინონ და გადაჭრით აღკვეთონ უშრომელი შემოსავლის მისაღებად სახელმწიფო ავტორანსპორტის გამოყენების, აგრეთვე სარკინიგზო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტით აღმართა უკანონო გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის, კერძო წესით სათობის, ნედლეულისა და მასალების, სათადარიგო ნაწილების სამრეწველო წარმოების პროდუქციის გაყიდვის ფაქტები.

სამართალდაცვითი ორგანოები მთელ თავიანთ მუშაობაში ნიადაგ უნდა ეყრდნობოდნენ საზოგადოებრიობას, მჭიდროდ მოქმედებდნენ შრომით კოლექტივებთან. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით წვირილი დატაცებების, მოსახლეობისათვის ფულის შეწერის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო სრულად უნდა გამოიყენონ ამხანაგური სასამართლოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტებისა და საზოგადოებრიობის სხვა ორგანოების შესაძლებლობანი.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა, რომ თითოეულ საბჭოთა ადამიანს ჩამოუყალიბონ საერთო კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომის ღრმა პატივისცემა და მისთვის მზადყოფნა, გონივრული მოთხოვნილებანი, შეუთრებლობა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობისადმი. იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს იმის ნათელი გაგების ჩანერგვამ, რომ კეთილსინდისიერი შრომა თითოეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა და ღირსების საქმეა, რომ მხოლოდ შრომა განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას კოლექტივისა და საზოგადოებაში. პრესაში ტელევიზიითა და რადიოთი აწარმოონ აქტიური ბრძოლა შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის ყოველგვარი დარღვევის, წამგლეჯობისა და დამკროვებლობის გამოვლინებების წინააღმდეგ. საჭაროდ დაგმონ ისინი, ვინც ცდილობს სახელმწიფოს მისცეს ნაკლები, მისგან კი მიიღოს მეტი.

პროპაგანდისა და აგიტაციის ორგანიზატორული, აღმზრდელითი მუშაობის ყველა საშუალებით, საზგანსით არის აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, აღნიშნებს უნდა განვუმტკიცოთ ღრმა გაგება იმისა, რომ ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ არის ყველას და თითოეულის საქმე, არც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო განზე არ უნდა გაუდგეს მას. აუცილებელ საჭიროებად მიიჩნიონ ხელმძღვანელი და სამეურნეო კადრების, მთელი მოსახლეობის ფართო სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაცია.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელოს, შემოქმედებით კავშირებს რეკომენდაცია მიეცათ აქტიურად შეუწყონ ხელი ისეთი მხატვრული ნაწარმოებების, ფილმებისა და სპექტაკლების შექმნას, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს ჩამოუყალიბებს მაღალ ზნეობრივ თვისებებს, ჩაუნერგავს შრომის პატივისცემას, პატიოსნებას, საერთო სახალხო დოვლათისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, მუქთახორობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიბოღებისადმი შეურიგებლობას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის პროკურატურას, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ასპექტების გადრმავებული შესწავლა, გააფართოონ ამ საქმეში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი, საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ წინადადებანი ამ საკითხზე კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დასახულია ამოცანა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მუქთახორობის წინააღმდეგ გადასაწყვეტ საკითხებზე შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი.



უპროვალ უემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაკლიერების ღონისძიებით შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა უპროვალ უემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებითა საკითხი და სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მიქროსამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებითი დანაშაულობების წინააღმდეგ, რომლებიც უპროვალ უემოსავლის წყაროა. მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამ დანაშაულობათა ჩადენის ხელშეწყობი პირობების საფუძვლიან შესწავლასა და აღმოფხვრას. შეიმუშაონ და განახორციელონ სოციალისტური საკუთრების სრული დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ეფექტიანი ღონისძიებანი, ამასთან გაზარდონ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა მფლანგველობისა და დანაკარგების წინააღმდეგ, უზრუნველყონ უმკაცრესი მოპყირნეობა მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების გამოყენებაში; მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ პირველადი აღრიცხვა და სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფისადმი კონტროლის ყველა ფორმა; დროულად შეიმუშაონ და დაწერდნ მატერიალური და შრომითი დანახარგების, მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმები.

უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 სექტემბრის № 915 დადგენილების შესაბამისად; გამოიხარონ რეზერვები და დამატებითი შესაძლებლობანი, რათა გაზარდონ წარმოებისა და მომსახურების გაწევის მოცულობა, გააუმჯობესონ მათი ხარისხი, ოპერატიულად აღმოფხვრან ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოქმნილი დეფიციტი.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განიხილოს და გადაწყვიტოს იმ მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიების ნუსხის გაფართოების საკითხი, რომლებთანაც შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებანი სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

გათვალისწინებულია გააფართოონ იმ საქონლისა და პროდუქციის წრე, რომლებზეც იყენებენ საცალო ფასების ჭრადი ოდენობით ზარალის ზღვევინების წესს მათი დატაცების, განზარან გაფუჭების, დანაკლისისა თუ დაკარგვის შემთხვევაში; ცვლილებები შეიტანონ მატერიალურ ფასეულობათა და დანაკარგების ჩამოწერის მოქმედ წესში, ამასთან გააძლიერონ კონტროლი ჩამოწერის საფუძვლიანობისა და ბრალეულებისათვის ზარალის ზღვევინებისადმი, აგრეთვე გაზარდონ თანამედრობის პირთა პასუხისმგებლობა აღნიშნული წესის დარღვევისათვის.



სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დემოკრატია ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ განახორციელონ თვალის ახვევისა და წამატებების აღკვეთის დამატებითი ღონისძიებანი. მიაღწიონ იმ ზარალის სრულ ზღვევინებას, რომელიც სახელმწიფოს მიადგა პრემიებისა და სხვა ჯილდოების უკანონო გაცემით, აგრეთვე მატერიალური წახალისების ფონდსა და გავრთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვა ანალოგიურ ფონდებში სახსრების გადარიცხვით, სხვა დადგენილ ღონისძიებათა გამოყენების მიუხედავად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა გააძლიერონ კონტროლი აღრიცხვისა და ანგარიშგებლობის საქმეში სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი, განახორციელონ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში პირველადი აღრიცხვის გაუმჯობესების გადაწყვეტი ღონისძიებანი, დაამთავრონ პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტიპობრივი ფორმების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარჯვის სრულ და უტყუარ აღრიცხვას. გააუმჯობესონ ურთიერთმოქმედება სამართალდაცვით და მაკონტროლებელ ორგანოებთან აღრიცხვისა და ანგარიშგებლობის დარგში დარღვევებისა და ბოროტმოქმედების თავიდან აცილებისა, გამოვლენისა და აღკვეთისათვის მუშაობაში. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებმა საქმისპლატაციოდ მშენებლობა დამთავრებული ობიექტების მიღების წესების დარღვევის გამოვლენისას გამორიცხონ ისინი ანგარიშგებლობიდან.

სსრ კავშირის სახბანკსა და სსრ კავშირის მშენბანკს დაევალებათ უფრო აქტიურად გამოიყენონ უნაღლო ანგარიშსწორება, როგორც სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი, განსაკუთრებით საანგარიშსწორებო დოკუმენტების საქონლიანობისადმი წინასწარი კონტროლის საშუალება. შემოიღონ, როცა ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია, სახალხო მოხმარების საქონლის ანაზღაურების წესი ხარისხის მიხედვით მათი მიღების შემდეგ. საჭიროდ არის მიჩნეული გააძლიერონ ბანკის კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან დამამზადებელი ორგანიზაციების ანგარიშსწორებისადმი, უფრო ფართოდ დანერგონ ჩამბარებული პროდუქციის ანაზღაურების უნაღლო წესი. მიღებულია სსრ კავშირის სახბანკის წინადადება სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებში ფულადი სახსრების მისაღებად საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმდგენის ჩეკების გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დემოკრატია ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიეცათ მითითება გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისადმი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება პირადი გამორჩენისა და სხვა ანგარებითი მიზნებით, საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. მოაგვარონ იმ პირთა აღრიცხვა, რომლებიც ეწვიან საცხოვრებელი სადგომების, აგარაკების, საბაღო სახლების გადაჭირავებას (გაჭირავებას), უზრუნველყონ რომ მათ მკაცრად დაიცვან იმ კანონმდებლობის მოთხოვნები, რომელიც არეგულირებს ბინების გადაჭირავების (გაჭირავების) საკითხებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაადგინონ ასეთი ხელშეკრულებების რეგისტრაციის წესი, საცხოვრებელი სადგომების, ქონების ქვემოქირავნეთა (მოქირავნეთა) ხარგებლობისათვის მიცემული საცხოვრებელი სადგომების, ქონების და გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის პირობები და ზღვრული ოდენობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუსს“ დაევალებათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გააუმჯობესონ საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობა, გააფართოონ ამ ბაზრებში ვაჭრობა, რომელსაც ეწვიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამომხმარებლო კოოპერაცია, გააძლიერონ კონტროლი ვაჭრობის წესების დაცვისადმი, ამასთან უფრო ფართოდ გამოიყენონ საამისოდ შესაძლებლობანი, რომლებსაც იძლევა „სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 9 იანვრის № 40 დადგენილება. დაადგინონ იმ პირთა აღრიცხვის წესი, რომლებიც და-

საქმებული არიან საკომპლექსური ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით, გააფართოონ ბაზრების ადმინისტრაციის უფლებები და გაზარდონ იმათი პუსუხისმგებლობა ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის, სპეკულაციისა და უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა ფორმების თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან განავითარონ და წახალისონ მოსახლეობის მიერ პირად და მხმარე მეურნეობებში წარმოებული ნამეტი ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის მიყიდვა სახელმწიფო და კომერციული დამამზადებელი ორგანიზაციებისადმი ამ პროდუქციის წარმოების ადგილებში; განიხილონ საკითხი მოქალაქეთა პირად და მხმარე მეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვის რაოდენობისა და სახეობების ცალკეული შეზღუდვების გაუქმების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დააშუსტონ პირუტყვის შენახვის ზღვრული ნორმები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთა პირად და მხმარე მეურნეობებში პირუტყვის შენახვის დადგენილი ნორმებისა და წესების მკაცრი დაცვისადმი, დააწესონ პასუხისმგებლობა მათი დარღვევისთვის იმ შემთხვევებში, როცა იგი არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

დადგენილია, რომ ხუთი ათას მანეთზე მეტი ოდენობის გარიგებით ანგარიშსწორება, რომელიც წარმოებს მოქალაქეებსა და საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს შორის, ხდება სსრ კავშირის სახბანკოს დაწესებულებების ან სახელმწიფო შრომითი შემნახველი სახარობების მეშვეობით სახსრების უნაღლო გადარიცხვის გზით. მოქალაქენი, რომლებიც დღემდე ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებებს, აგრეთვე აშენებენ ოცი ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების საცხოვრებელ სახლს (აგარაკს) ვალდებული არიან საფინანსო ორგანოს წარმოუდგინონ დეკლარაცია შესაბამისი სახსრების მიღების წყაროების შესახებ. მოქალაქენი მოვალენი არიან საფინანსო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია სახსრების მიღების წყაროების შესახებ, აგრეთვე სახალხო დემოკრატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტებისა თუ პროკურორის მოთხოვნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებანი:

დაწესდა, რომ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების ანგარების მიზნით თვითნებური გამოყენებისათვის მოქალაქეები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან ას მანეთამდე ოდენობით და თანამდებობის პირები ორას მანეთამდე ოდენობით, ან ჩამოერთმევათ ტრანსპორტის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებით.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვის, სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ან საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი სხვა შემოსავლის შესახებ და სხვა იმ შემთხვევებში დეკლარაციის შეტანისთვის თავის არიდება, როცა დეკლარაციის შეტანა ან მასში შეგნებულად დამახინჯებული მონაცემების მოყვანა იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის დადებას გაფრთხილების ან ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ოდენობით ჯარიმის სახით.

ასეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ოქმებს ადგენენ საფინანსო ორგანოების სამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები ან მილიციის მუშაკები.

ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ ჩადენილი იგივე ქმედობა იწვევს სისხლის სამართლის პაუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვისა და სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციული წესით ჯარიმის დადებას ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ოდენობით, დაშლადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით ან უამისოდ.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, ისჯება ადმინისტრაციული წესით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით, დაშლადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ იგი ჩადენილია ასეთი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, იწვევს სისხლის სამართლის პაუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ორასიდან ათას მანეთამდე ჯარიმით, დაშლადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან დაქირავებული შრომის გამოყენებით, ასევე იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო აკრძალულ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

სახელმწიფო ან კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველისათვის მაღაზიებში ნაყიდი გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ქმევა ისჯება ადმინისტრაციული წესით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შემდეგ სისტემატურად ან დიდი ოდენობით ჩადენილი ამგვარივე ქმედობა იწვევს სისხლის სამართლის პაუხისმგებას და

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ასიდან ხუთას მანეთამდე ჯარი-
მით.

სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი და დამატე-
ბანი:

„მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 20 თებერვლის ბრძანებულების
პირველი მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება რა სა-
ხითაც უნდა იყოს იგი, — ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის, ამა თუ იმ ქმედობის შესრუ-
ლებისა ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან
შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავი-
სუფლების აღკვეთით ათ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის წინასწარი შეთანხმებით, ან არაერთხელ, ან რა-
საც თან სდევდა ქრთამის გამოძახვა, ან დიდი ოდენობით ქრთამის აღება, ისჯება თავისუფ-
ლების აღკვეთით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი თა-
ნამდებლობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან ადრე ნამყოფია სა-
მართალოში მექრთამეობისათვის, ან ისეთი პირის მიერ, რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთ-
რებით დიდი ოდენობით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ვა-
დით ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ვადით ან გადასახლების
გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ისჯება სიკვდილით და ქონების
კონფისკაციით.

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის
გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 8 დეკემ-
ბრის ბრძანებულების 1-ლი და 3-2 მუხლები ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

1. დაწესდეს, რომ პირი, რომელმაც ჩაიღინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონე-
ბის წვრილმანი დატაცება, თუ მისი ქმედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებ-
ლობას, აღმინისტრაციული წესით ჯარიმდება ოციდან ორას მანეთამდე ოდენობით, ან
ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ თვემდე ვადით, ამასთან ეკავება ხელფა-
სის ოცი პროცენტი ან მის მიმართ გამოყენებული იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების
ღონისძიებანი, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებით.

2. პირებს, რომლებმაც დაიტაცეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, აღმინისტ-
რაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემასთან ან მათ მიმართ საზოგადოებ-
რივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებასთან ერთად, არ მიეცემათ პრემიები იმ პე-
რიოდის განმავლობაში, რომელსაც დაწესებს აღმინისტრაცია შრომითს კოლექტივთან ან
საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირულ კომიტეტთან (პროფკავშირულ ბი-
უროსთან), მის სტრუქტურულ ქვეგანყოფილთან ან ბრიგადის საბჭოსთან შეთანხმებით. მათ ავ-
რეთვე არ მიეცემათ ჯილდო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, დასახვეწებელი სახ-
ლების ან სანატორიუმების შეღავათიანი საგურები: მათ შეიძლება შრომითი კოლექტი-
ვის წინადადებით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციამ პროფკავში-
რულ კომიტეტთან შეთანხმებით გადაუტანოს ბინის მიღების რიგი.

შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც ეხება უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ
ბრძოლის გაძლიერებას, შეტანილია სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტშიც.
ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებული იქნება 1986 წლის 1 ივლისიდან.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაევალოთ მოკავშირე
რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ ამ ბრძანებულებას.

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია



კონფერენციის პრეზიდიუმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ დასახა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია და განსაზღვრა ის ამოცანები, რამაც საბოლოოდ უნდა განახორციელოს ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები. როგორც ყრილობის დოკუმენტებშია ნათქვამი, დაჩქარების კურსი მხოლოდ ეკონომიკის დარგში მიღწეული წარმატებებით არ შემოიფარგლება. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე აქტიური სოციალური სამართლიანობის პრინციპებისა და დემოკრატიის დამკვიდრება-გადრმავებას, რაშიც დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება სამართლის მეცნიერებას. მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „ჩვენმა კანონმდებლობამ —

სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ — კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას“.

ამ საკითხებზე სათანადო ყურადღება გაამახვილა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ.

სწორედ პარტიის სახელმძღვანელო მიმართებათა საფუძველზე უნდა შეფასდეს საქართველოს მეცნიერ-იურისტთა სადღეისო ამოცანები, რომლებიც აქტიურად უნდა ჩაებან თანამედროვე სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, თავიანთი გამოკვლევებით

მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სოციალისტური სამართლიანობის და აქედან გამომდინარე, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სამართლებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, სამართლებრივი იდეოლოგიური ინსტიტუტების განახლებას, სამართლის მეცნიერებაში ინერციის, უძრაობის და კონსერვატიზმის დაძლევის და ა. შ. ყველაფერი ეს კი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებისაკენ, რაც პარტიის პროგრამის ახალი რედაქციით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მულმივი საზღრუნავია.

ასეთ აქტუალურ, საღრისო პრობლემებს მიექდნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის შედეგები და იურიდიული მეცნიერების ამოცანები“.

კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. უგრეხელიძემ, ზაიმართა 1985 წლის 30 მაისს, ამავე ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსის მცირე სხდომათა დარბაზში.

ჩენი ღღევანდელი კონფერენცია, რომელიც სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების საკითხებს ეძღვნება, — თქვა მ. უგრეხელიძემ, — დაემთხვა მეტად საგულისხმო დადგენილებათა პრესაში გამოქვეყნებას, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებს რომ ეხება. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნიეს გამოიყენონ საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. ეს დროული და აუცილებელი დოკუმენტები ამჟამად განხილვის სტადიაშია, იგი მოქმედებას დაიწყებს მომდინარე წლის პირველი ივლისიდან და ცხადია, იურისტ მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ქართველი პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტები, როგორც ყოველთვის, ახლაც იტყვიან თავიანთ კომპეტენტურ სიტყვას.


ჩვენს კონფერენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მატებს ისიც, რომ საქართველოს

ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი პირველად მასპინძლობს იურისტთა ასეთ ღღრუმს. ეს კი ნიშნავს, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ სამართლებრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მიღებული დადგენილების შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების, იურისტების გვერდით ერთგულად ღღანანსხვა სპეციალობის მეცნიერებიც.

მოხსენება, „სამართლის მეცნიერების ამოცანები სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად“, გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ.

ჩენი ღღევანდელი სამეცნიერო კონფერენციის მიზანია, — თქვა მომხსენებელმა, — განესაზღვროთ ის ამოცანები, რაც ქართველ მეცნიერ-იურისტებს დაუსახეს სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებმა. აქ, რა თქმა უნდა, უპირველესი როლი ენიჭება საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფასა და განვითარებას. საბჭოთა კავშირის ძირითად კანონ საბჭოთა კონსტიტუცია წარმოადგენს და ამიტომ სამართლის მკვლევარებმა პირველ რიგში კონსტიტუციური სამართლის პრობლემები უნდა იკვლიონ, ყურადღება გაამახვილონ ისეთ საკითხებზე, როგორცაა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციითა ურთიერთშეფარდება, ეროვნული ურთიერთობების კონსტიტუციური რეგულირება სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში, მოკავშირე რესპუბლიკა და მისი სამართლებრივი სტატუსი სსრ კავშირის შემადგენლობაში და სხვ. სამართლის მეცნიერების ყველა დარგის, უწინარეს ყოვლისა; სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, პროცესის, ადმინისტრაციული, შრომისა და საოჯახო სამართლის, აგრეთვე მათი მონათესავე სხვა დარგების სპეციალისტებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ კანონმდებლობის სრულყოფის, მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლისა და გაანალიზებისათვის.

ღღემდე არ გვაქვს, მაგრამ საჭიროა დაუყოვნებლივ შეიქმნას ისეთი რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტების კომენტარები, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის კრიმო ნაწილი, სისხლის სამართლის პროცესი, შრომის სამართალი, საოჯახო სამართალი და სხვ. უნდა გამოიცეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სახელმწიფო



პლენუმების დადგენილებათა კრებული, საგამოძიებლო და სასამართლო დოკუმენტების ნიმუშები და ა. შ.

მთავარი კი მაინც ის არის, — განაგრძო მომხსენებელმა, — რომ მეცნიერმა იურისტებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკის დარგში გამიზნულ გარდაქმნებში. უნდა დამუშავდეს ისეთი პრობლემები, როგორცაა სამართლის როლი აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლებაში, მეურნეობის მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამების სამართლებრივი ასპექტები, რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტების სამართლებრივი მხარე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სამართლებრივი საფუძვლები და სხვა მრავალი.


დანაშაულთან ბრძოლამ და პროფილაქტიკამ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ნარკომანიის, ლოთობის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული და ანგარებითი დანაშაულების მიზეზების აღმოფხვრას, რაშიც გადამწყვეტი როლი ადამიანის აღზრდას ენიჭება. და რადგანაც სამართლის მეცნიერება იდეოლოგიური მეცნიერებაა, მან აუცილებლად უნდა იზრუნოს ადამიანის კომუნისტური აღზრდისათვის, გაარკვიოს კერძომესაკუთრული ტენდენციების არსი, შეუთრგებელი, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადოს ყოველგვარ გადაცრომასა და დანაშაულს.

მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა პარტიის საპროგრამო ამოცანაა. „პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, იმას რომ გამოუმუშავოს პიროვნებას მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემა, სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის შეუწყყნარებლობა, მზადყოფნა აქტიურად მონაწილეობდეს მართლწესრიგის დაცვაში“.

პარტიის ამ სავალდებულო მოთხოვნაზე მათ განხორციელებისათვის საჭიროა სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესება, მისი ქმედითობის გაზრდა, მგრამ აქ მთავარია არა პროპაგანდისტული ღონისძიებების რაოდენობა, არამედ მათი დონე, სიღრმე და გააზრებულობა.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. იმწკირავლი**. მისი თემა იყო „ხალხის თვითმმართველობის განვითარება და სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ მკვეთრ გარდატეხებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა ბოლო წლებში, განმარტა პარტიის მიზანდასახულობანი და შეჩერდა ხალხის სოციალისტური თვითმმართველობისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების საკითხებზე. მან განსკუთრებული ყურადღება გაამახვილა საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე, საბჭოების მუშაობაზე, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციაზე და სხვა. აქვე მომხსენებელმა წამოაყენა თავისი წინადადებები და დაასაბუთა მათი აუცილებლობა საბჭოთა დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებისათვის.




თ. ნინიძე

„იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის განმტკიცების ამოცანებსკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის **თ. ნინიძის** მოხსენების თემა.

კანონმდებლობის სრულყოფა და განმტკიცება, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა, — თქვა **თ. ნინიძემ**, — ის პრობლემებია, რაც განსაკუთრებული აქტუალობით წარმოჩინდა სკკპ XXVII ყრილობის მასალებში. მათი წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია სამართლდაცვითი ორგანოების, მათ შორის იუსტიციის სამინისტროსა და მეცნიერ-იურისტთა თანამშრომლობის სწორ ორგანიზაციაზე რაშიც გვაქვს კიდევ სათანადო გამოცდილება. სწორედ ამგვარად მომზადდა და გამოიყენათა წიგნის პირველი ტომი, საქართველოს სსრ სამოქალაქო და სისხლის სამართლის მ-

ტერიტორიული და საპროცესო კოდექსები, საქორწინო და საოჯახო, შრომის კანონთა, შრომა-გასწორების, მიწის, ტყის, წიადის კოდექსები, საქართველოს სსრ სახინაო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვ. ასეთი მუშაობა კვლავაც გაგრძელდება. ვათვალისწინებულა უახლოეს პერიოდში მიღებულ იქნას კანონი რეფერენდუმის შესახებ, კანონი ბეჭდვითი სიტყვის და ინფორმაციის შესახებ, კანონი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედებით მოქალაქეთა უფლებების შელახვის სასამართლოში გასაჩივრების შესახებ და სხვ. ამ ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, წინ უძღოდა მეცნიერული კონცეფციების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი.

შემდეგ მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირიდან, ილაპარაკა დადებით ძვრებზე, შეეხო აგრეთვე არსებულ ხარვეზებს და წამოაყენა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.



ბ. ტყეშელიაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ბ. ტყეშელიაძემ** კონფერენციის მონაწილეთათვის წარმოადგინა მოხსენება „სოციალური ცვლილებები და სასჯელთა სისტემა“.

განმარტა რა სასჯელთა სისტემა, მათი შეფარდების წესი, საბჭოთა მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები, მომხსენებელმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საქარაველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის

37-ე მუხლზე, რომლითაც სასამართლომ ა) სასჯელი უნდა დანიშნოს მოქმედი სისხლის სამართლის დებულებათა ზუსტი შესაბამისობით და ბ) სასჯელის დანიშვნისას თავისი სოციალისტური მართლმეგნების საფუძველზე მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

სოციალური პირობების შეცვლამ, — თქვა გ. ტყეშელიაძემ, — თავისუფლების აღკვეთის შემცირებაც განაპირობა. მართლაც, ზოგიერთი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, მისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ისეთია, რომ მისი ჩამდენი პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მიზანშეუწონელიცაა. სხვა სასჯელის გამოყენება კი ამ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს იმ მიზანს, რასაც ჩვენი კანონმდებლობის სოციალისტური ბუნება ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს. ეს ხარვეზი ნამდვილად შეავსო პირობით თავისუფლების აღკვეთამ, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში მან მაინც ვერ პოვა სათანადო გამოყენება. საზოგადოებრივი აზრი თვლის და ბევრი პრაქტიკოსი მუშაობს იზიარებს, რომ პირობით თავისუფლების აღკვეთა ლმობიერი ღონისძიებაა. ამის მიზეზია პირობითი მსჯავრისადმი შემუშავებული სტერეოტიპი, როდესაც პირობით მსჯავრს მხოლოდ სასჯელისაგან განთავისუფლების მიზნით იყენებენ. ეს მოსაზრება გაავრცელეს აგრეთვე პირობით თავისუფლების აღკვეთაზეც. თუ პირობით თავისუფლების აღკვეთა შევა სასჯელთა სისტემაში, მაშინ იგი ორდინალურ სასჯელად ჩაითვლება და ამგვარ გაუგებრობასაც აღარ ექნება ადგილი.

„მართლწესრიგის განმტკიცების ობიექტური და სუბიექტური ასპექტები სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით“ — ასეთი თემით წარსდგა კონფერენციის მონაწილეთა წინაშე ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. უგარეხელიძე**.

მომხსენებელმა საინტერესოდ წარმოადგინა მართლწესრიგის განმტკიცების ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, ორგანულად დაუკავშირა იგი სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს და პარტიული პოზიციიდან შეაფასა რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა. ამასთან ერთად, მან ისეთი კონკრეტული წინადადებებიც წამოაყენა, რომლებიც ქართული იურიდიული მეცნიერების შემდგომ განვითა-



მ. უგრეხელიძე

რებასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის საკითხი, რომელიც საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამართლის სწავლების გაუმჯობესებას ეხება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თ. ლილუაშვილის მოხსენება იყო „სკკპ XXVII ყრილობა და აგროსამრეწველო კომპლექსის სამართლებრივ რეგულირების პრობლემები“.

ფართო და უარესად მნიშვნელოვანია ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, თქვა თ. ლილუაშვილმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაატარეს სოფლის მეურნეობის წარმოების სფეროში. გამომდინარე აქედან, მეტად პასუხსავები პერიოდი დაუდგათ იურისტებს. მათ უნდა შეისწავლონ და მოაგვარონ ისეთი სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც აუცილებელია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც სკკპ XXVII ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ადამიანებს.

მეურნეობის მართვის სრულყოფასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში საგანგებო ყურადღება ექცევა აგრეთვე მეცნიერული მიღწევების დანერგვას თვით საწარმოო-სამეურნეო საქმიანობაში, რადგან იგი არა მარტო ეკონომიკური; არამედ სამართლებრივი პრობლემაცაა. ასეთი სამართლებრივი ფორმირებისა და მეტოდების გარეშე ძნელია წარმოებაში რაიშის დანერგვა.

შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა კოლექტიურ და საოჯახო იჯარაზე, დამხმარე მეურნეობის მნიშვნელობაზე სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში, ფართოდ გავრცელებულ ეკონომიკურ ექსპერიმენტებზე და სხვ. აქვე მან საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვა და წამოაყენა წინადადებანი, რაც ხელს შეუწყობს მათ სამართლებრივ რეგულირებას.

„სკკპ XXVII ყრილობა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-კრიმინოლოგიური ასპექტები“ — ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო კვლევათი ლაბორატორიის გამგის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. გაბიაშის მოხსენების თემა. სკკპ XXVII ყრილობამ დიდი ყურადღება დაეთმო ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის მიღებულ დადგენილებათა განუხრელად შესრულების საკითხებს. ამ სახელმძღვანელო მითითებათა შემდეგ განსაკუთრებით გაცხოველდა ბრძოლა სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებლების მიმართ.

ჩვენს რესპუბლიკაში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ჯერ კიდევ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიქმნა ერთიანი ფორმები ამ ბოროტი გამოვლინებების აღმოსაფხვრელად. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ, რომლის ინიციატივითაც ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩატარდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევა. მიღებულმა შედეგებმა ფართო რეზონანსი გამოიწვია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საკავშირო მასშტაბითაც. ახლახანს, ე. ი. ათი წლის შემდეგ, კვლავ ჩავატარეთ ასეთივე გამოკვლევა.

მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და დასასრულს თქვა: თავიანთ ორგანიზმზე ალკოჰოლური სასმელების დამლუბველი ან უარყოფითი ზეგავლენა გაცნობიერებული აქვს გამოკითხულთა მხოლოდ 43,2 პროცენტს. დანარჩენებს მიაჩნიათ, რომ ალკოჰოლური სასმელები მათზე არ მოქმედებენ უარყოფითად ან მოქმედებენ დადებითად. აქედან შეიძლება დავასკვნა რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულებს დაქვითებული აქვთ თვითკრიტიკის გრძობა, გავითცნობიერებულნი არ არიან ალკოჰოლი-



ა. გაბიანი

მის საკითხებში და სხვ. ამდენად, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები გაცილებით ეფექტიანი იქნება, თუ გავატარებთ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისა და ადამიანის ფაქტორის წინ წამოწევის ფართო პროგრამას.


18273
მოსხენებით — „ადმინისტრაციული კანონმდებლობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ — გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ლორია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 25 მაისის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“, თქვა მან, აწესებს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საკმაოდ მკაცრ პასუხისმგებლობას. ჩემი აზრით, ბრძანებულების ზოგიერთი ადგილი დაზუსტებასა და დახვეწას მოითხოვს. მაგალითად, აქ ვხვდებით ტერმინებს: „მოვრალი მდგომარეობა“, „არაფზიზიული მდგომარეობა“, „ნასვამი მდგომარეობა“, „საშუალო და მძიმე ხარისხის ნასვამი მდგომარეობა“, „დათობა“, „ლოთობა“, „სპირტიანი სასმელების მიძალბა“, „ქრონიკული ალკოჰოლიზმი“, ამ ტერმინებიდან განმარტებულია მხოლოდ ერთი — „მოვრალ მდგომარეობაში ყოფნა“. ბრძანებულების მე-14 და მე-16 მუხლებით გასაღების მიზნით შინახალი არყის შენახვა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამა-

სწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ან ჯარიმით 300 მანეთამდე, ხოლო ასეთივე მიზნით შინახალი არყის შექმნა, რაც განზრახი მოქმედებაა და უფრო დამამძიმებელია ვიდრე შენახვა, იწვევს ადმინისტრაციულ სახედელს 30-დან 100 მანეთამდე ჯარიმით. ამიტომ ეს დებულებები, ჩემი აზრით, შესწორებასა და დაზუსტებას მოითხოვს. იგივე შეიძლება ითქვას ბრძანებულების 24-ე მუხლზეც. არის კიდევ სხვა უზუსტობებიც.

ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლა, თქვა დასასრულს მომხსენებელმა, ორგანულად უკავშირდება მანვე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე კერძომესაკუთრული ტენდენციების აღმოფხვრის ამოცანებს. რადგან ლოთობას, თავისთავად, არაშრომითი შემოსავალი წარმოშობს, ამიტომ როდესაც პასუხისმგებლობის საკითხი დგება, აუცილებლად უნდა გაირკვეს თუ რა სახსრებით ლოთობს დამნაშავე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ხეცურიანი კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა თემაზე: „სკკპ XXVII ყრილობა და მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის სრულყოფის ამოცანები“. სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებში, თქვა მომხსენებელმა, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საჭიროა „გავაფართოოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა“. აქ კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონმდებლობა, რომლის თეორიული გამოკვლევა და სრულყოფა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების სადღესიო, გადაუღებელი ამოცანაა, რადგან, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ცოტაა ისეთი საკითხები, რომლებიც კანონით იყოს მოწესრიგებული. საერთოდ, მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობა მთლიანად არაკოდифიცირებულია. ცხადია, სახალხო მეურნეობის ამ სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირებაში დიდი როლი ენიჭებათ სააგტორო, აღმოჩენის, გამოგონებლობის, აგრეთვე სამოქალაქო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებისა და მათი შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ხელშეკრულებებს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ადმინისტრაციული, შრომის, საფინანსო და სამართლის სხვა დარგების ნორმათა როლიც. ერთი სიტყვით, ასეთ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირე-

პეფ. სსრ კ. მარქსისი



ბა შეუძლებელია სამართლის ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში მოექცეს. მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება საკავშირო სახელმწიფოს ექვემდებარება, ამდენად, მიზანშეწონილია საფუძვლების სახით ჩამოყალიბდეს მეცნიერებისა და ტექნიკის საკავშირო კოდიფიცირებული აქტი, რომელშიც მოცემული იქნება ამ სფეროში აღმოცენებულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება, ზოგადი დებულებანი და პრინციპები, მათი კონკრეტულობა კი მოხდება მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის ნორმატიულ აქტებში. ამასთან, რესპუბლიკურ კანონებში საფუძვლების კონკრეტულობა ადგილობრივი პირობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, საერთოდ კი, მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერებისა და ტექნიკის კანონის სტრუქტურა ისეთივე უნდა იყოს, როგორც საფუძვლებისა.

დამნაშავეობასთან ბრძოლის პოლიტიკაზე მართლშეგნების გავლენის შესახებ ისაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ლევთაშვილმა. სამართლებრივი ნორმების მოქმედების იდეოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების როლის ამაღლება, თქვა მომხსენებელმა, ჩვენი საზოგადოება განვითარების ბოიკოტური კანონზომიერებაა. სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები სხვადასხვა არხებით გავლენას ახდენენ მოსახლეობის მართლშეგნებაზე. თავის მხრივ, როგორც საერთო სოციალურ პრევენციული საქმიანობა, ისე სისხლის სამართლის პოლიტიკა განიცდის საზოგადოებრივი მართლშეგნების გავლენას. ამასთან, ეს გავლენა იმდენად ძლიერია, რომ სისხლის სამართლის ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი მართლშეგნების მდგომარეობასა და დონეზე. საზოგადოება, საზოგადოებრივი აზრი, როგორც სოციალური კონტროლის უზრუნველყოფისა და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების საშუალება, აქტიურად მოქმედებს ინდივიდის ქმედობაზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებისაგან თავის დაღწევა მის არცერთ წევრს არ ძალუძს, რამდენადაც იგი მოიცავს პიროვნების ქცევის ყველა სფეროს. სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულება და ფორმა საზოგადოებრივი აზრის მოწონებას იმსახურებს, სხვები კი მოსახლეობის წინააღმდეგობას იწვევენ. საზოგადოებრივი აზრის ზემო-

ქმედების შედეგად, არცთუ იშვიათად, ძლიერდება სასამართლოების დასჯით პრაქტიკა, უფრო მეტიც, ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად სასამართლოები მიმართავენ ანალოგიის პრინციპს, რათა ანგარიში გაუწიონ საზოგადოების აღმფთვებლისეთ ქმედობასთან დაკავშირებით, რომელსაც კანონმდებელი სისხლის სამართლის დანაშაულად არ მიიჩნევს.

სისხლის სამართლებრივი კონტროლისა და პოლიტიკის დამოკიდებულება მასების მართლშეგნების დონესა და მდგომარეობაზე აუცილებელს ხდის, რათა სისხლის სამართლის კანონთა შემუშავებისა და მიღების, აგრეთვე გაუქმების დროს გავითვალისწინოთ აღნიშნული პარამეტრები. სხვადასხვა სახის დანაშაულთა სოციალური საშიშროების შეფასებისას ზოგჯერ საზოგადოებრივი მართლშეგნება სოლიდარობას არ იჩენს კანონმდებლის პოზიციასთან. სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ეფექტიანობა მკვეთრად გაიზრდება, თუ მოსახლეობა სრულ სოლიდარობას გამოუცხადებს კანონმდებელს იმ დანაშაულებრივ ქმედობათა სოციალური საშიშროების შეფასებისას, რომლებიც კრიმინალიზაციას ექვემდებარებიან.

„მართვის სამართლებრივი პრობლემები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ — ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ო. ბაჩიაშვილი**. პარტიის XXVII ყრილობაზე, თქვა მან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლო წარსულში მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს მიაჩნდათ, რომ საწარმოო ძალების ზრდა თითქოსდა ავტომატურად იწვევდა წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისი ფორმით შეცვლას და მათ შორის არ შეიძლებოდა ყოფილიყო გარკვეული წინააღმდეგობანი. მრავალი წლის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მართალია სოციალში საწარმოო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობებს შორის თავისთავად გამოირიცხავს ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, მაგრამ დიალექტიკური წინააღმდეგობანი მათ შორის არსებობენ და ისინი ბოიკოტურ, უფრო მეტიც, კანონზომიერ ხასიათს ატარებენ. იმისათვის, რომ არ შეიქმნას ასეთი წინააღმდეგობანი, საჭიროა დროულად მოწესრიგდეს მმართველობითი ურთიერთობანი. მართვა, როგორც სამართლებრივი პრობლემა, ფართო და მრავალმხრივია. მრავალ საკითხთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სამართალშემოქმედების საკითხის მოგვარებას. კერძოდ, სამართლებრივ-

მა ნორმამ თავისუფლება და სტიმული უნდა მისცეს პიროვნებას, რათა მან მთელი სისრულით, შემოქმედებითად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი. დღეისათვის კი, ზედმეტი კონკრეტულობით აღსავსე სამართლებრივი ნორმები ხელფხვს უბოროტავენ საწარმოებს, ორგანიზაციებს თუ ცალკეულ პიროვნებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაა შექმნილი, ეგრეთწოდებულ, უწყებრივ და ლოკალურ სამართალშემოქმედებაში, ესე იგი, აქ სადაც უშუალოდ ხდება სამართლებრივი

ნორმების კონკრეტიზაცია, სამართალური-ერთობათა მონაწილეების ზუსტი უფლებამოვალეობების გარკვევა. იურიდიულ ლიტერატურაში დიდიხანია გამოთქმულია აზრი, რომ უწყებრივი ნორმატიული აქტები ძალაში უნდა შევიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი სანქციონირებული იქნებიან შესაბამისი სამართალდაცვითი ორგანოების მიერ. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, უდავოდ, ხელს შეუწყობს მდგომარეობის გამოსწორებას.



კონფერენციის სხდომათა დარბაზი

კონფერენციაზე ცალკეული საკითხების ირგვლივ ისაუბრეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამართლის კათედრის გამგემ დ. დევდარიანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ბარათაშვილმა, ამავე ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა დ. ჭულუხაძემ, დ. კუპრეიშვილმა, მ. გვაზავამ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. კალანდიაძემ.

გამოთქმული შენიშვნების, მოსაზრებებისა და წინადადებების გათვალისწინებით კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების ინსტრუქტორი რ. ლომინაძე, ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ა. პაპუაშვილი, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

ანავი არსენაშვილი,
ველა ბერძენიშვილი.

ფოტოები ლერი შოშიტაშვილისა.



კვლავაც გაჟკაცური შემართებით



საბჭოთა სახელმწიფო განსაცდელში იყო... ფაშისტური გერმანიის კბილებამდე შეიარაღებული ჯარები მოსკოვისაკენ მიიწვედნენ. ჩვენი სამშობლოსათვის ამ უმძიმეს უამს თითოეული საბჭოთა ადამიანი მხოლოდ ერთი მიზნით ცხოვრობდა — ყველაფერი ეღონა უღმობელი მტრის განადგურებისათვის. სამხედრო კომისარიატები ვერ აუდიოდნენ მოხალისეებს — ყველას, დიღსათუ პატარას, ფრონტისკენ ექირა თვალი. „ჩვენ, სურამელ ახალგაზრდებს, — წერდა 1941 წლის 5 დეკემბრის ნომერში რაიონული გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“, — წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება — სამამულო ომის ყველაზე მრისხანე დღეებში მივდევართ მშობლიურ წითელ არმიას, ერთ-ერთ სამხედრო სასწავლებელში. ჩვენი გული აღსავსეა მოუთმენლობით, გვინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავამთავროთ სასწავლებელი, რომ ჩვენც მოგვიწიოს ვერაჯ მტერთან ბრძოლამ. ივანე სტრუვილძემ, ყარაბაღ ლომიძემ, გიორგი ღარბაიძემ“.

გიორგი ღარბაიძე 18 წლის ჰაბუკი იყო მაშინ. სამხედრო სასწავლებლის დამთავრე-

ბისთანვე მეთქვია მტრევე ჯარისკაცი მარუხის უღელტეხილისათვის ფიცხელ ბრძოლებში ჩაება და მალე თავი გამოიჩინა სიმახაცითა და გამჭრიახობით. „მტერი წვიმასავით გვაყრიდა ბომბებს, მეტად მიმივე ვითარებაში აღმოვჩნდი, მაგრამ უკან არ დავიხევია... ამ ბრძოლის შემდეგ მთელი ასეულიდან თორმეტიოდელა გადავრჩით ცოცხალი“, — იგონებს გიორგი ღარბაიძე და მის თვლებში სევდა ისაღვურებს.

1942 წელს შიმშილ დაიჭრა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შრომით საქმიანობას შეუდგა. მალე კოლექტივმა ნდობა გამოუცხადა და იგი სახალხო მსახურად აირჩიეს. სწორედ ამ საზოგადოებრივი საპატიო მოვალეობის ნაშუსიანად შესრულების დროს შეუყვარდა იურისტის სპეციალობა და ბევრი აღარც უყუყმანია — 1945 წელს იგი უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტის სტუდენტია. გიორგი ღარბაიძემ აქაც გამოიჩინა თავი პატიოსნებით, ბეჭითი სწავლითა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. ამის დასტური კი ის გახლავთ, რომ იგი ერთხმად მიიღეს პარტიის რიგებში.

სწრაფად გაიზინა განსწავლის წლებმა და იურისტ გიორგი ღარბაიძეს ახალციხის რაიონის პროკურატურაში აგზავნიან გამომძიებლის თანამდებობაზე. აქედან მოყოლებული თითქმის ოთხი ათეული წელია იგი ერთგულად ემსახურება რესპუბლიკის მართლმსაჯულებას. ამაზე მეთქვამებს ის უამრავი მადლობები და საპატიო სიგელები, რომლებიც წლების მანძილზე ნაყოფიერი საქმიანობით დაიმსახურა.

ამჟამად, ომისა და შრომის ვეტერანი, მრავალი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავადერი თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორია და კვლავაც ვაჟკაცური შემართებით დგას კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე.

გელა გურული

ალკოჰოლიზმის კონკრეტულ- სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი

ა. გაბიანი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის ჩვენი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა გახულია წლის მთავარ მიღებული სათანადო დადგენილება, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პრობლემა რამდენადმე ნაკლებად მწვავედ დგას, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, აქ ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაისვა დღის წესრიგში ამ საზოგადოებრივად მეტად მავნე გამოვლინებათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების სრულყოფის, მათი ქმედითობის ამაღლების საკითხი. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში დიდი როლი ითამაშა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც განსაკუთრებით გააცხოველა მუშაობა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან. სწორედ ამ კომისიის დამსახურება არის ის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩატარდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პრობლემის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევა, რომლის შედეგები გამოქვეყნდა და ფართო მსჯელობის საგნად იქცა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აღნიშნული გამოკვლევის ჩატარებიდან უკვე 10 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მომწიფდა განმეორებითი გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობა, რაც მოვლენათა განვითარების კანონზომიერებების დადგენის საშუალებას მოგვცემს. ამ მიზნით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩავატარეთ ალკოჰოლიზმის პრობლემის განმეორებითი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა¹.

გამოკვლევა ჩატარდა რესპუბლიკის სხვადასხვა ნარკოლოგიურ დაწესებულებაში აღრიცხვაზე მყოფ ალკოჰოლიზმით დაავადებულებთან ინტერვიუს გზით. გამოკვლევის შედეგები სრულიად რეპრეზენტატიულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან გამოიკითხა რესპუბლიკის ყველა რეგიონში აღრიცხვაზე მყოფი ალკოჰოლიზმით დაავადებული ყოველი მეათე პიროვნება. შეგროვებული ინფორმაცია დამუშავდა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე.

გამოკვლეულთა შორის 89,2 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 10,8 პროცენტი ქალი იყო. მართალია, საქართველოში ალკოჰოლიზმით დაავადებულთა შორის ქალების ხვედრითი წილი დაბა-

¹ პირველი გამოკვლევის შედეგები იხ. ა. გაბიანი, ა. თოდუა, ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგის შესახებ, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1977, № 6.

ლია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა რეგიონში, მაგრამ არსებული მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ განეკუთვნება რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობას.

რაც შეეხება გამოკითხული ალკოჰოლიკების ასაკობრივ სტრუქტურას, 18-დან 25 წლამდე ასაკისაა 1,8 პროცენტი, 25-დან 35 წლამდე ასაკისა — 13,4, 35-დან 45 წლამდე ასაკისა — 25,9, 45-დან 55 წლამდე ასაკისა — 35,4, ხოლო 55 წელზე მეტი ასაკისაა 24 პროცენტი. ამგვარად ალკოჰოლიკების ძირითად მასას — 85,8 პროცენტს შეადგენენ 35 წლის ასაკს გადაცილებულები, ხოლო ნახევარზე მეტს, ე. ი. 59,4 პროცენტს 45 წლის ასაკს გადაცილებულები. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ალკოჰოლიზმი, ნაკრომანიისაგან განსხვავებით, იყო და რჩება ისეთ დაავადებად, რომელიც ძირითადად გვხვდება არა ახალგაზრდებში, არამედ ასაკოვან ადამიანებში, რადგან ეს დაავადება ვითარდება სპირტიანი სასმელების მრავალი წლის მანძილზე ბოროტად გამოყენების შედეგად.

ალკოჰოლიზმით დაავადებულთა შორის არიან რესპუბლიკის ყველა ძირითადი ერის წარმომადგენლები, ხოლო უმრავლესობას — 51,7 პროცენტს ქართველები შეადგენენ.

გამოკითხული ალკოჰოლიკები დაბადების ადგილის მიხედვით: თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში დაიბადა 40,2 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტში — 18,1, სოფელში — 39,6, ხოლო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — 7,1 პროცენტი. მათგან მულტივად ცხოვრობს თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქში 43,6 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტში — 15,7, სოფელში — 36,1, ხოლო მულტივადი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია ანუ ეწევა მონეტარულ ცხოვრებას — 4,4 პროცენტი, ამგვარად, გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა არის რესპუბლიკის მკვიდრი, ხოლო მათ შორის მესამედზე მეტი სოფლის მცხოვრებია. ეს უკანასკნელი მონაცემები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რადგან უახლოეს წარსულში საქართველოში ალკოჰოლიზმი ძირითადად ქალაქის სოციალურ პრობლემად გვესახებოდა. სოფლის მოსახლეობაში ალკოჰოლიზმის გავრცელება ჩვენს წინაშე აყენებს ამ დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის მრავალ რთულ და სპეციფიკურ პრობლემას.

საინტერესო მონაცემებია გამოკითხული ალკოჰოლიკების განათლების დონის. თაობაზე. მათგან დაწყებითი განათლება აქვს 15,7 პროცენტს, არასრული საშუალო — 26,8, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო — 36,2, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური — 6,2, საშუალო სპეციალური — 8,2, დაუმთავრებელი უმაღლესი — 1,7, ხოლო უმაღლესი — 5,4 პროცენტს. თუ ამ მონაცემებით ვიმსჯელებთ, ალკოჰოლიკების განათლების დონის გარკვეული ზრდის მიუხედავად, იგი რესპუბლიკის მოსახლეობის განათლების საშუალო დონეზე დაბალია.

გამოკითხულთა შორის ცოლიანი (გათხოვილი) 69,1 პროცენტია, უცოლო (გაუთხოვარი) — 12,2, ქვრივი — 6,4, ხოლო განქორწინებული 12,8 პროცენტია. თუ გავითვალისწინებთ გამოკითხული ალკოჰოლიკების საშუალო ასაკს, უნდა მივიჩნიოთ, რომ საზოგადო ისინი ამ ნიშნით ანუ ოჯახური მდგომარეობით სხვებისაგან ნაკლებად გამოირჩევიან, თუმცა მათ შორის მაღალია განქორწინებულთა ხვედრითი წილი, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას ხშირად მოსდევს სერიოზული უსიამოვნება მეუღლეებს შორის.

საინტერესოა, რომ გამოკითხულებს შორის ინვალიდები შეადგენენ მხოლოდ 8,5 პროცენტს, დანარჩენი კი პრაქტიკულად ქანმრთელი ადამიანია. ინვალიდების უდიდესი უმრავლესობა — 11,6 პროცენტი არის მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდი. ამგვარად, ასაკისა და ალკოჰოლიზმით დაავადების მიუხედავად, გამოკითხულთა დიდი ნაწილი პრაქტიკულად ქანმრთელი და შრომისუნარიანია, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი განკურნებისა და ზეღაზალი აღზრდის პერსპექტიულობის თვალსაზრისით.

ამასთან, იშვიათი გამოწვევის გარდა, გამოკითხულები კანონის მორჩილ მოქალაქეთა რიცხვს მიეკუთვნებიან. მათგან ადრე ნასამართლევია მხოლოდ 5,6 პროცენტი, თანაც ნასამართლობის მქონეთა შორის ერთხელ ნასამართლევია 74,4 პროცენტი, ხოლო 8-ჯერ და მეტჯერ — მხოლოდ 5,6 პროცენტი. ნასამართლობის მქონეთაგან 66,7 პროცენტს დანაშაული სიმთვრალეში აქვს ჩადენილი.

გამოკითხულების მშობლები ხასიათდებიან განათლების დაბალი დონით. მაგალითად, გამოკითხულთა დედებიდან დაწყებითი განათლება აქვთ (პქონდთ) 51,3 პროცენტს, არასრული საშუალო — 23,2, საშუალო — 17,7, დაუმთავრებელი უმაღლესი — 8, ხოლო უმაღლესი — 4,8 პროცენტს. ამგვარად, გამოკითხულთა დედების 74,5 პროცენტის განათლების დონე არ აღემატება არასრულ საშუალო განათლებას და მხოლოდ 7,8 პროცენტს აქვს დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლება.

გამოკითხული ალკოჰოლიკების მშობლების უმრავლესობა არის მუშა ან კოლმეურნე. მაგალითად, მათ მამებს შორის მუშები შეადგენენ 27,8 პროცენტს, კოლმეურნეები — 25,1, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკები — 4, პედაგოგები — 2, ექიმები — 1,4, შემოქმედებითი მუშაკები — 0,9 პროცენტს და ა. შ. გამოკითხულთა მამების 28,2 პროცენტი პენსიონერია. მამებიდან, რომლებიც მუშაობენ, 37,9 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, 12,2 — მსუბუქ მრეწველობაში, 11,5 — მძიმე მრეწველობაში, 10,8 — მშენებლობაში, 7,8 პროცენტი — საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა. შ. რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს, ყველა ერთად, გამოკითხული ალკოჰოლიკების მშობლებს შორის მხოლოდ 5,4 პროცენტს შეადგენენ.

გამოდის, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა დაიბადა და აღიზარდა მუშებისა და კოლმეურნეების, ე. ი. ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანების ოჯახებში, ხოლო ინტელიგენტების ოჯახებში აღზრდილების ხვედრითი წილი ალკოჰოლიკებს შორის უმინიმუმია.

შევისწავლეთ აგრეთვე ალკოჰოლიზმით დაავადებულების ცხოვრების პირობები. დადგინდა, რომ გამოკითხულთა 48,9 პროცენტი ცხოვრობს საკუთარ, კეთილმოწყობილ ბინაში, 20,5 — იზოლირებულ, კეთილმოწყობილ, კომუნალურ ბინაში, 12,5 — კეთილმოწყობილ კომუნალურ ბინაში, 5,2 — საერთო საცხოვრებელში, 6,8 — დაქირავებულ ბინაში, ხოლო 8,6 პროცენტს თავისი საცხოვრებელი არ გააჩნია ან ცხოვრობს ხარდაფში.

ამგვარად, გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კარგი საბინაო პირობები.

საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 76,6 პროცენტს ჰყავს შვილები. იმ ალკოჰოლიკებიდან, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან, ერთი შვილი ყავს 36,8 პროცენტს, ორი — 44,3-ს, სამი — 13,8 პროცენტს, ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ალკოჰოლიკების უმრავლესობის ოჯახური ცხოვრება ამ მხრივ სრულიად ნორმალურად მიმდინარეობდა.

რაც შეეხება ალკოჰოლიზმით დაავადებულების ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულებას, დადებითად მიაჩნია გამოკითხულთა 27,8 პროცენტს, დამაკმაყოფილებლად — 53,7, ხოლო ცუდად — 19 პროცენტს. პირიქით, ოჯახის წევრების დამოკიდებულება მათ მიმართ, კარგად ან ძალიან კარგად მოკიდებულებად მიაჩნია გამოკითხულთა 57 პროცენტს, არც თუ ისე კარგად მოკიდებულებად — 33,8, ხოლო ცუდ ან ძალზე ცუდ დამოკიდებულებად — 9,2 პროცენტს. ამგვარად, გამოკითხულთაგან თითქმის ყოველი მეორე მიიჩნევს, რომ მას ოჯახში საკმაოდ კარგად არ ეპყრობიან. ოჯახის იმ წევრებს შორის, რომლებიც გამოკითხულთა ეპყრობიან არც თუ ისე კარგად ან ცუდად, 64,9 პროცენტმა დაასახელა მეუღლე, 21,4 — დედა (მამა), 2,8 — და (ძმა) და მხოლოდ 1,2 პროცენტმა ოჯახის სხვა წევრები. იბადება კითხვა, რით შეიძლება აინახოს ოჯახის წევრთა ცუდი დამოკიდებულება გამოკითხული ალკოჰოლიკების მიმართ? ნიშნავს, რომ თვით გამოკითხულების 99 პროცენტი ამას ხსნის მის მიერ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებით, რაც როგორც იტყვიან, კომენტარს აღარ საჭიროებს.

ალკოჰოლიკებს შორის გამოკითხვის მომენტში სწავლობდა მხოლოდ 5,4 პროცენტი, ხოლო დანარჩენები სწავლობდნენ წარსულში. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 59,4 პროცენტი, პროფტექსაწვავლებელში — 10,9, მუშა ან სოფლის ახალგაზრდობის საღამო სკოლაში — 12,3, სკოლა-ინტერნატი — 2,5, ტექნიკუმში — 6,8, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში — 6,6 პროცენტი. ამასთან, კარგად სწავლობდა 17,4 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად — 67,5, ხოლო ცუდად — 15,1 პროცენტი. რაც შეეხება სწავლის პირობებს, ძალიან კარგი ან კარგი პირობები ჰქონდათ 24,2 პროცენტს, დამაკმაყოფილებელი — 65,9, ხოლო ცუდი ან ძალზე ცუდი — მხოლოდ 9,9 პროცენტს. სასწავლებლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობდა გამოკითხულთა მხოლოდ 16,5 პროცენტი.

ამგვარად, სწავლის პერიოდში გამოკითხულთა უდიდეს ნაწილს სწავლისათვის კარგი ან დამაკმაყოფილებელი პირობები გააჩნდა, სწავლობდა კარგად ან დამაკმაყოფილებლად, ყოველი მეექვსე მონაწილეობდა სასწავლებლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის პიროვნების ფორმირება ნორმალურად მიმდინარეობდა.

გამოკითხვის მომენტში მუშაობდა ალკოჰოლიკების 69,3 პროცენტი. მათგან მუშაა 49,1 პროცენტი, კოლმეურნე — 18,7, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკი — 10,6, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი — 4,8, პედაგოგი — 1,2, შემოქმედებითი მუშაკი — 1, ექიმები — 0,8, მეცნიერი მუშაკი, უმაღლესი სკოლის მასწავლებელი — 0,8 პროცენტი და ა. შ.

შემოქმედებითი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამჟამად ალკოჰოლიზმის აღმოცენებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მთავარ როლს თამაშობს არა პიროვნების ფორმირების გარემო

ბავშვობასა და ახალგაზრდობაში, არამედ შრომისა და ცხოვრების პირობები მოწიფულობის ასაკში, ცხოვრების წესი, კულტურის დონე, ღირებულებითი ორიენტაციები, ინტერესები და მოთხოვნები პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თავისუფალი დროის გამოყენება და ა. შ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ის ადამიანები, რომელთაც აქვთ განათლების მაღალი დონე, დაკავებული არიან გონებრივი შრომით, ეწევიან უფრო „ფზიკულ“ ცხოვრებას, რადგან მათ არ რჩებათ „ვაკუუმი“ სულიერი და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების სფეროში, არ მისდევენ მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული ალკოჰოლიკების უმრავლესობას სრულიად ნორმალური ურთიერთობა აქვს შრომით კოლექტივთან. თავის დამოკიდებულებას შრომითი კოლექტივის მიმართ ძალიან კარგად ან კარგად მიიჩნევენ 80,8 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად — 64,6, ხოლო ცუდად ან ძალიან ცუდად — მხოლოდ 5,1 პროცენტი. თავისი დამოკიდებულება ადმინისტრაციის მიმართ კარგად ან ძალიან კარგად მიიჩნია 25,7 პროცენტს, დამაკმაყოფილებლად — 68,6, ხოლო ცუდად ან ძალიან ცუდად — 5,7 პროცენტს. ამგვარად, გამოკითხულთა დაახლოებით 95 პროცენტი სრულიად ნორმალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს როგორც შრომით კოლექტივთან, ასევე ადმინისტრაციასთან. უფრო მეტიც, მათი 20,2 პროცენტი მონაწილეობს შრომითი კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასრულებს ამა თუ იმ მუდმივ ან დროებით საზოგადოებრივ დავალებას.

ადმინისტრაციის დამოკიდებულება ალკოჰოლიკების მიმართ გამოკითხულთა 40 პროცენტს მიიჩნია ცუდად ან ძალზე ცუდად. დაგვანტერესა, თუ რა მიიჩნიათ ადმინისტრაციის მხრივ მათდამი ცუდი დამოკიდებულების მიზეზად და ვის ადანაშაულებენ ამაში. აღმოჩნდა, რომ თავის თავს ადანაშაულებს გამოკითხულთა 47,9 პროცენტი, ორთავე მხარეს — 18,1, ხოლო ადმინისტრაციას — 15,1, პასუხის გაცემა უძნელდება 28,9 პროცენტს.

გამოდის, რომ გამოკითხული ალკოჰოლიკების უმრავლესობა შრომით კოლექტივში კარგად არის ადაპტირებული, კმაყოფილია თავისი სამუშაოთი, ურთიერთდამოკიდებულებით თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან.

უკვე ითქვა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი არ მუშაობს. დაგვანტერესა, თუ რა მიზეზით არ მუშაობენ ისინი. გამოკითხულთა 82 პროცენტმა მიზეზად დაასახელა ალკოჰოლიზმი დაავადება, 27,7 — ინვალიდობა, 17,5 — საპენსიო ასაკი, 8,4 — მუშაობის სურვილის უქონლობა, 7,5 — ავადმყოფობა და ა. შ. ამგვარად, იმ ალკოჰოლიკებს შორის, რომლებიც არ მუშაობენ, მხოლოდ ყოველი მეათე მიეკუთვნება მუქთახორების კატეგორიას, რომელთაც არ სურთ იმუშაონ. ყველა დანარჩენს აქვს მეტყალება საპატიო მიზეზი იმისა, რომ არ მუშაობდეს.

შევისწავლეთ აგრეთვე გამოკითხულთა დამოკიდებულება სპირტიანი სასმელებისადმი და ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს ალკოჰოლიზმით დაავადება და სხვ.

აღმოჩნდა, რომ სპირტიანი სასმელების სისტემატური მიღება 16 წლის ასაკამდე დაიწყო გამოკითხულთა 8,8 პროცენტმა, 16-დან 20 წლის ასაკამდე — 21,7, 20-დან 25 წლის ასაკამდე — 30,5, 25-დან — 30 წლის ასაკამდე 18,8, 30-დან 35 წლის ასაკამდე — 10,4, ხოლო 35 წლის ასაკის შესრულების შემდეგ — 14,8 პროცენტმა. ამგვარად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (56 პროცენტი) სისტემატური სმა დაიწყო 25 წლამდე ასაკში. გამოკითხულთა ნახევარი სისტემატურად სვამს 10 და მეტი წლის მანძილზე. ეს, რა თქმა უნდა, კანონზომიერია, რადგან ალკოჰოლიზმი უმეტესწილად ვითარდება სპირტიანი სასმელების სისტემატური და ხანგრძლივი სმარების შედეგად.

ცნობილია, რომ ალკოჰოლიზმის დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა დროის მანძილზე და რა სისწორით იღებს ინდივიდი ალკოჰოლურ სასმელებს, არამედ სპირტიანი სასმელების სახეობაზეც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რესპონდენტების პასუხები კითხვაზე, თუ რომელ სპირტიან სასმელებს სვამდნენ თავიდან და ამჟამად რომელ სპირტიან სასმელებს აძლევენ უპირატესობას.

აღმოჩნდა, რომ თავიდან არყის სმა დაიწყო გამოკითხულთა 61 პროცენტმა, ნატურალური ღვინის — 26,5, შაქარზე დამზადებული შინაური ღვინის — 21,9, ლუდის — 10,9, შემავარებული ღვინის — 5,8, კონიაკის — 4,7 პროცენტმა და ა. შ. ამგვარად, არყით სმა დაიწყო გამოკითხულთა უმრავლესობამ, ხოლო ნატურალური ღვინის — მხოლოდ მეოთხედმა. მას შემ-

დგა რაც დაავადნენ ალკოპოლიზმით გამოკითხულთაგან უკვე 70 პროცენტი ანიჭებს უპირატესობას მაგარ სპირტიან სასმელებს, ხოლო 24,6 პროცენტი ნატურალურ ღვინოს. ეს უკანასკნელნი, როგორც ჩანს, დაავადნენ ე. წ. ღვინის ალკოპოლიზმით, რაც შედარებით იშვიათად გვხვდებოდა უახლოეს წარსულში, ან ალკოპოლიზმით დაავადების მიჯნაზე მყოფი ლოთები არიან.

გამოკითხულთა მესამედი ყოველდღიურად არ სვამს. დანარჩენები სვამენ დღეში ერთხელ ან მეტჯერ. იმ პირებიდან, რომლებიც სვამენ ყოველდღიურად, დღეში ერთხელ სვამს 41,8 პროცენტი, დღეში ორჯერ — 35,6, ხოლო დღეში სამჯერ ან მეტჯერ — 22,6 პროცენტი. ამგვარად, თუ გამოკითხულთა მესამედი ყოველდღიურად არ სვამს, ხოლო ყოველდღიურად მსმელების თითქმის ნახევარი დღეში მხოლოდ ერთხელ სვამს, გამოდის რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დაავადებული ალკოპოლიზმის მძიმე ფორმებით. ეს კი შეტ საფუძველს ქმნის მათი განკურნებისათვის. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ის, რომ გამოკითხულთაგან მაგარ სპირტიან სასმელებს ერთ მიღებაზე 100 გრ-მდე სვამს 9,6 პროცენტი, 200 გრ-მდე — 16,1, 300 გრ-მდე — 21,8, ხოლო 300 გრ-დან 1000 გრამამდე — 34,6 პროცენტი. მაგარ სპირტიან სასმელებს სისტემატურად არ სვამს 17,8 პროცენტი, რაც შეეხება ღვინოს, მას ერთჯერად 200 გრამამდე სვამს 4 პროცენტი, 500 გრ-მდე — 8,9, 1000 გრ-მდე — 17,8, 2000 გრ-მდე — 21,4, 2000 გრ-მზე მეტს — 18,7 პროცენტი. არ სვამს ღვინოს — 29,1 პროცენტი.

ამგვარად, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ერთ ჯერზე სვამს დიდი ან ძალზე დიდი ოდენობით. ესე იგი, ისინი ალკოპოლიზმით დაავადების იმ სტადიაზე იმყოფებიან, როდესაც ტოლერანტობა გაზრდილია. ცნობილია, რომ ალკოპოლიზმით დაავადებისა და ალკოპოლიური დეგრადაციის უფრო ღრმა სტადიაზე ტოლერანტობა მცირდება და ინდივიდს უკვე აღარ ძალუძს ალკოპოლიური სასმელების დიდი დოზების მიღება.

ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ თავიანთ ორგანიზმზე ალკოპოლიური სასმელების დამლუბველი ან უარყოფითი ზეგავლენა გაცნობიერებული აქვს გამოკითხულთა მხოლოდ 48,8 პროცენტს. დანარჩენებს მიაჩნიათ, რომ ალკოპოლიური სასმელი არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას მათ ორგანიზმზე ან მოქმედებს დადებითად. რა თქმა უნდა, გარკვეულ როლს ისიც თამაშობს, რომ ალკოპოლიზმით დაავადებულებს დაქვეითებული აქვთ თვითკრიტიკის გრძობა, გაუთვითცნობიერებელნი არიან ალკოპოლიზმის საკითხებში და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლოთობისა და ალკოპოლიზმის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებები ჩვენს რესპუბლიკაში გაცილებით ეფექტიანი იქნება, თუ გავატარებთ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისა და ადამიანური ურთიერთობების კულტურის ამაღლების ფართო პროგრამას. ეს, ცხადია, სრულიად არ ნიშნავს, რომ უგულვებელვყოთ ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი ნაცადი მეთოდები, როგორცაა ალკოპოლიკების ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობა, სპირტიანი სასმელების დამზადებისა და მოხმარების შეზღუდვა და ა. შ., რომლებიც, სწორად გამოყენების შემთხვევაში, დიდად შეუწყობენ ხელს ამ მწვავე სოციალური პრობლემის მოგვარებას.



საბინაო კანონმდებლობა ლოთოვის წინააღმდეგ ბრძოლაში*

საზოგადოებრივი

ტაქტიკის სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სკკპ XXVII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკურ მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების სადღეისო ამოცანებზე. საბჭოთა ხალხს კარგად ესმის, რომ სანიმუშო წესრიგი უნდა დამყარდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში — თითოეულ შრომით კოლექტივში, ქალაქსა თუ სოფელში. წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლამ მიიღო ნამდვილად სახალხო ხასიათი. სულ უფრო იზრდება შრომითი კოლექტივების როლი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მაღალი ზნეობისათვის ბრძოლის საქმეში. ახლა შრომითი კოლექტივები უკომპრომისოდ იბრძვიან უსაქმურების, მუქთანობის, გამცდენების, ლოთების და წესრიგის სხვა დამრღვევთა წინააღმდეგ.

ამ ბოლო ხანს ჩვენი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულია მრავალი ქმედითი ღონისძიება, რომლებიც მიმართულია უსაქმურობისა და მუქთანობის, ლოთობისა და გაცდენების აღმოფხვრისაკენ, შრომითი დისციპლინისა და ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებისაკენ. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საბოლოოდ დაძლევისათვის მიღებულ დადგენილებებს.

ახლა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების მიღების, საწარმოებში, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენის, არასრულწლოვანთა ლოთობაში ჩაბმის, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევის, შინახადი სპირტიანი სასმელების დამზადების, გასაღების, შენახვის, შექენის და სატრანსპორტო საშუალებების მთვრალ მდგომარეობაში მართვისათვის დაწესებული სასჯელის მკაცრი სანქციები.

გარდა ამისა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გამოიყენება აგრეთვე სხვა შრომითი და სამოქალაქო-სამართლებრივი ღონისძიებები. ეს არის ბინის რიგათობის გადატანა, შრომით კოლექტივში ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ვაკიცხვა, ამხანაგური სასამართლო, მშობლის უფლებების ჩამორთმევა, საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლება, გაცდენებისათვის სამსახურიდან გათავისუფლება, წახალისების, პრემიის, საგზურის აღკვეთა, შვებულების დროის გადატანა ზამთრის პერიოდში და სხვ.

დაწვრილებით შევჩერდეთ ერთ-ერთ მათგანზე — ბინის მიღების რიგათობის გადატანაზე. ბინა თითოეული ადამიანისთვის აუცილებელი სოციალური კეთილდღეობაა. ეს უფლება საბჭოთა ადამიანს გარანტირებული აქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის 44-ე მუხლით, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბინის მიღების უფლებები გარკვეულწილად იზღუდება იმ პირობებზე, რომლებიც

* სტატია მომზადებულია სპეციალურად ჩვენი ყურნალისათვის.

სისტემატურად არღვევენ შრომით დისციპლინას, ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს, თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და სხვ.

კერძოდ, ლოთობისათვის საბინაო კანონმდებლობაში ვათვალისწინებულა შესაბამისი საჩქიციები. მაგალითად, ტაჯიკეთის სსრ საბინაო კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად საცხოვრებელი ბინის მიცემის რიგი შეიძლება შემდეგი დროისათვის იქნას გადატანილი, თუ მუშაკის მიმართ ლოთობისათვის მთელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა ადმინისტრაციული და დისციპლინარული სასჯელი, ან საზოგადოებრივი ზემოქმედება. ეს მეთოდი გამოიყენება იმ მოქალაქეთა მიმართაც, რომლებმაც ჩაიდინეს ხულიგნობა, რაც უმეტესად ლოთობის ნიადაგზე ხდება. ასევე ისჯებიან ის პირები, რომლებიც ბოროტად არღვევენ შრომით დისციპლინას, ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბინის რიგითობის გადატანა არის მხოლოდ დროებითი ღონისძიება, ე. ი. ბინის მიღების უფლება არ ერთმევათ. ბინის რიგითობის გადატანა ხდება წარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ მრავალ საწარმოში შეამოწმა, თუ როგორ იყენებენ ამ ღონისძიებას. აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც ამ სიხალეს აქტიურად ნერგავენ, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, მინიმუმამდე შემცირდა ლოთობა, უმიზეზო ვაცდენები, ხულიგნური გამოვლინებები.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საბოლოოდ დაძლევის ღონისძიებებს სრულად უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ასეთი ერთსულოვნება ხელს უწყობს შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლებას, თითოეული ადამიანის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებას. ამ საქმეს ემსახურება ლოთობისა და ხულიგნობისათვის ბინის მიღების რიგითობის გადატანა, რაც ხორციელდება საზოგადოების აქტიური კონტროლითა და საჯაროობის დაცვით. ამ მეთოდის განხორციელება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ პირი სისტემატურად არღვევს შრომით დისციპლინას. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე შრომითი დისციპლინის დამრღვევის ოჯახური პირობები. ბინის რიგითობის გადატანის საკითხს იხილავენ ადმინისტრაციისა და პროფკავშირის გაერთიანებულ სხდომებზე, რომელსაც, როგორც წესი, ესწრებიან დაინტერესებული პირები: შრომითი დისციპლინის დამრღვევი, შრომითი კოლექტივის წარმომადგენელი, რომელმაც დააყენა საკითხი ბინის რიგითობის გადატანის შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასჯელის ეს ზომა ეხება მხოლოდ ბინების სახელმწიფო ფონდს. ჩვენი აზრით, შრომითი დისციპლინის სისტემატურად დარღვევისა და ლოთობისათვის კოოპერატიული ბინის მიღების რიგითობის გადატანაც უნდა შემოვიღოთ შრომითი კოლექტივის შუამდგომლობით, რათა კეთილსინდისიერმა მშრომელებმა შეძლონ უფრო სწრაფად განხორციელონ თავიანთი კონსტიტუციური უფლებები ბინაზე.

გარდა ამისა, რადგან სასჯელის ეს ზომა დროებითია, ანუ მოქალაქეს საძულადამოდ არ ეკარგება უფლება ბინაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადგინდეს რიგითობის აღდგენის შესაძლებლობაც. ეს ღონისძიება სტიმულს მისცემს შრომის დისციპლინის დამრღვევსა და ლოთს, რათა ჩაუფერდეს თავის საქციელს, სწორი დასკვნები გააკეთოს და ჩადგეს პატიოსან მშრომელთა რიგებში.

ამრიგად, საჭიროა, რომ საბინაო კანონმდებლობა აქტიურად მონაწილეობდეს შრომითი დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.



სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განვითარება

ვიოლენტა გიშაძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

განვითარებული სოციალიზმი კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. იგი სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სიმწიფის ხანაა და მასში თვალნათლივ ვლინდება სოციალიზმის უპირატესობანი. თავის სრულყოფას რომ შიადწიოს, ამ მიზნით სოციალიზმი ვითარდება საკუთარ საფუძველზე, შინაგანად დამახასიათებელ კოლექტიურ საწყისებზე, შინადასახულად და ორგანიზებულად.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა მრავალმხრივი და რთული პროცესია. იგი გულისხმობს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური დემოკრატიის, კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური და სამართლებრივი საფუძველების, კომუნისმის მშენებელი ადამიანის სრულყოფას. ამისათვის კი საჭიროა პარტიის სტრატეგიული კურსის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ყველა ჩვენი პრობლემის: უახლესი და პერსპექტიული, ეკონომიკური და სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური, საშინაო და საგარეო პრობლემების გადაჭრის გზაა“¹ — თქვა სკკ XXVII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის შემდგომი განმტკიცება, „სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრული დამკვიდრება“². მისი სასიკეთო გავლენა სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებზე ნათლად დადასტურა ჩვენი სახელმწიფოს არსებობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ. ამ სოციალური ფენომენის როლი არა თუ შესუსტდა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაძლიერდა სოციალისტურ გარდაქმნათა კვალდაკვალ.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე, სამართლებრივი საფუძველი აქტიურ ზეგავლენას ახდენდა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, პოლიტიკური ფორმების სრულყოფაზე, მთელ საზოგადოებრივ პროგრესზე. განსაკუთრებით ამაღლდა მისი ავტორიტეტი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში. დღეს იგი არა მარტო ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის ნაცადი ხერხი, არამედ მთელი სამეურნეო და პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დამაყოფილებლის საშუალებაც არის. სამართლებრივი საფუძველი სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აუცილებელი კომპონენტი, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მშრომელთა მონაწილეობის ქმედითი იარაღია.

ამით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 36.

ფო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის შემდგომ განმტკიცებას. ამ საკითხზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სკკპ XXV ყრილობამ. საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების მთავარ მიმართულებათა შორის დასახელებული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებაც.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-მ მუხლით კი ამ დებულებას შემდგომში უკვე საკანონმდებლო ძალა მიენიჭა. ქვეყნის ძირითადმა კანონმა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებად მიიჩნია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება, მის ერთ-ერთ მხარედ კი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას, სოციალისტურ დემოკრატიას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძველს დიალექტიკური ურთიერთკავშირი აქვთ ერთიმეორესთან. სოციალისტური დემოკრატია ვერ განვითარდება და ვერ მიიღწევს სრულყოფას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების გარეშე, ხოლო რამდენადაც სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების მთავარი მიმართულებაა, მისთვის მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს სამართლებრივ საფუძველს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი გულისხმობს, რომ „თანამედროვე ეპოქისათვის შესაფერისი და ხალხის ნება-სურვილის გამოხატველი ნორმების საფუძველზე რეგულირდებოდეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა საკითხი, რომლებიც ასეთ რეგულირებას საჭიროებენ. ამიტომ აღნიშნული პრობლემის განხილვა უნდა დაუკავშიროთ საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს“³.

„ცნება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი“ მოიცავს, გამოხატავს და აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ საკუთარ საფუძველთა შორის, რომლებზედაც აგებულია და ვითარდება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება, დამოუკიდებელი და სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება სამართალს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს“⁴.

ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი მოიცავს იურიდიული ზედნაშენის ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს, როგორცაა სოციალისტური სამართალი, კანონიერება და მართლწესრიგი. ერთობლიობაში ისინი მტკიცე სამართლებრივ საფუძველს უქმნიან საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. თითოეული მათგანის განვითარება და სრულყოფა სოციალიზმის სრულყოფის ერთიანი პროცესის ორგანული ნაწილია.

სოციალისტური სამართალი ახალი და უმაღლესი ტიპის სამართალია და თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იქცა იგი მნიშვნელოვან კლასობრივ-პოლიტიკურ ძალად. მისი მეშვეობით საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებდა უდიდეს რევოლუციურ გარდაქმნებს, განამტკიცებდა მშრომელთა ხელისუფლებას, უზრუნველყოფდა მაღალ ორგანიზებულობასა და წესრიგს. სოციალისტური საზოგადოების დინამიურ განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა სოციალისტური სამართალიც. თანამედროვე პერიოდში მან თვისობრივად ახალ საფეხურს მიაღწია — გარდაიქმნა საერთო-სახალხო სამართალად, მთელი ხალხის ნებისა და ინტერესების გამოხატველ ნორმატულ რეგულატორად, რომელსაც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიკის, სახელმწიფოს, კულტურის, იდეოლოგიის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო იჩენენ სოციალისტური სამართლის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. სოციალისტური სამართლის განვითარება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებას, ვინაიდან კანონმდებლობა ის

³ გ. ინწკირველი, ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, თბ., 1977 წ. გვ. 41-42.

⁴ Самощенко И. С., Развитие советского законодательства, в кн. XXVI съезд КПСС и развитие советского государства и права. М., 1982, с. 201.



ნორმატიული ფუნდამენტი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ყველა სამართლებრივი მოვლენა.

როგორც ყველა განვითარებადი პროცესი, საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებაც ყოველთვის არ იყო თანაბარი. გარკვეულ პერიოდში (80-იანი წლებიდან 50-იანი წლებამდე) მასში შეიმჩნეოდა სერიოზული სარვევები, მაგრამ ეს დროებითი შეფერხება შემდგომში დიდმა აღმავლობამ შეცვალა, რადგან საზოგადოებრივმა განვითარებამ თვითონ მოითხოვა საბჭოთა კანონმდებლობის განახლება. სკკპ XX ყრილობის შემდეგ განხორციელდა მთელი რიგი გადაწყვეტი ღონისძიებები კანონმდებლობაში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში მეორედ ჩატარდა მნიშვნელოვანი საკოლდრეფორმაციო სამუშაოები სამართლებრივი სისტემის სრულყოფისათვის და როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმით განახლდა კანონმდებლობის ფუნდამენტალური დარგები. ამავე დროს საკანონმდებლო რეგლამენტაციას დაექვემდებარა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთი სფეროები, რომლებიც ადრე არ რეგულირდებოდა კანონმდებლობით. კანონმდებლობის განახლებისა და სრულყოფის სამუშაოები განხორციელდა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებშიც, რომელთა კანონმდებლობაც განახლებულ საკავშირო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანეს იმ სპეციფიკურ თავიებურებათა გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია ამა თუ იმ რესპუბლიკისათვის.

კანონმდებლობის განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა კრებულის მომზადებასა და გამოცემას, რაზედაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სკკპ XXV ყრილობამ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კი მიიღეს ერთობლივი დადგენილება კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ. ამავე პრინციპით გადაწყდა მოკავშირე რესპუბლიკების კანონთა კრებულების გამოცემაც.

საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ყველაზე თვალსაჩინო შედეგია სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მიღება, რამაც კიდევ უფრო განავითარა საბჭოთა საკანონმდებლო სისტემა.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის შემდგომი განმტკიცების საუკეთესო ნიმუშია. მასში ხორციულსხმულია განვითარებული სოციალიზმის სოციალ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, განმტკიცებულია საბჭოთა სამართლის როლი სახელმწიფო და სოციალური მართვის ამოცანათა განხორციელებაში. კონსტიტუცია განდა მთელი საკანონმდებლო სისტემის მტკიცე ფუნდამენტი, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მძლავრი ძალა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების საფუძველზე მთელ ქვეყანაში გაჩაღდა ფართო სამართალშემოქმედებითი მუშაობა, დამტკიცდა კანონები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“, „სსრ კავშირის არბიტრაჟის შესახებ“, „სსრ კავშირის ადვოკატურის შესახებ“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა აღმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძველები“ და სხვ.

საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისათვის ჩატარებულმა მუშაობამ სათანადო შევსება დაიმსახურა სკკპ XXVI ყრილობაზე, სადაც ხაზგასმით ითქვა კანონმდებლობის განახლების დიდ ეფექტიანობაზე. ყრილობამ მიუთითა, რომ მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის კვლავაც გაგრძელდებოდა და იგი უპირატესად სამი ძირითადი მიმართულებით წარმართებოდა: სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სამართლებრივი რეგულირება, მოქალაქეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონსტიტუციური უფლებების განხორციელება, კანონთა საერთო-საკავშირო კრებულის გამოცემის დამთავრებან.

სამეურნეო კანონმდებლობის განვითარება და მისი სრულყოფა დღევანდელი აქტუალური საკითხია. სახალხო მეურნეობის მიღწეული დონე თავისთავად მოითხოვს სათანადო სამართლებრივ რეგულირებას და მოძველებული ნორმების ახლით შეცვლას, რათა შეიქმნას მტკიცე სამართლებრივი საფუძველი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის. აუცილებელია ისეთი აქტების მიღება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციური უფლებების განხორციელება. ამ მხრივ აღსანიშნავია, 1983 წლის 17



ინისის კანონი „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“. იგი პირველი საკანონმდებლო აქტია, რომელიც განსაზღვრავს შრომითი კოლექტივის, როგორც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის რგოლის, უფლებრივ სტატუსს. მეტად ეფექტურია ამ კანონის დადებითი გავლენა შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე. ამის შესახებ ამომწურავად ითქვა, აგრეთვე, სკკპ XXVII ყრილობაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ „კანონმა შრომითი კოლექტივების შესახებ, უთუოდ, ხელი შეუწყო მათი ინიციატივის გამოცოცხლებას“.

კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულ საკანონმდებლო აქტებში განმტკიცებულია კომუნისტური პარტიის კურსი, გაფართოებულია პიროვნების უფლებები და თავისუფლებები, მათი რეალიზაციის გარანტიები. მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის უმაღლესი მიზანია, საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სათანადო პირობების შექმნა პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ასეთი ორიენტაცია დამახასიათებელია შრომის, საბინაო, საოჯახო, სამეურნეო, ადმინისტრაციული, ბუნების დაცვის და სამართლის სხვა დარგებისათვის, ხოლო ერთიმეორის მიყოლებით მივიღეთ ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებენ ოჯახების მატერიალური მდგომარეობისა და მოქალაქეთა საბენიშო უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, დედებისა და ბავშვების დაცვას, სახელმწიფო დახმარებას მრავალშვილიანი ოჯახებისა და ახლადდაქორწინებულებისათვის, სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების მუშაობის სრულყოფას, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს გაუმჯობესებას და სხვ.

კანონმდებლობა და მისი სრულყოფა, როგორც წესი, უპირველესად ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გამოხატულებაა და მართლაც, უკვე მიღებულ და დაკანონებულ აქტებში მთელი სიღრმადით და პრინციპულად არის გამოხატული კომუნისტური პარტიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და იდეოლოგიური კურსი.

კანონმდებლობის ეფექტურობის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების სფეროში, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება, კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცება საბჭოთა სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის მაგისტრალური მიმართულებაა.


იმ დიდ მუშაობას, რაც საბჭოთა სახელმწიფომ და კომუნისტურმა პარტიამ გასწიეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მაღალი შეფასება მისცა სკკპ XXVII ყრილობამ. „ჩვენმა კანონმდებლობამ — სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყო ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას“ — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკურ მოხსენებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მართკანონო შემუშავებითა და მიღებით არ შემოიფარგლება. მთავარია კანონის საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივი ნება რეალურად განხორციელდეს ცხოვრებაში, გახდეს იგი ქმედითი მატერიალური ძალა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ დროს, როდესაც საკანონმდებლო აქტები სრულდება განუხრებლად, ყოველთვის და ყველას მიერ, რადგან კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულება კანონმდებლის უპირველესი მიზანია. სოციალისტური კანონიერება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი რეჟიმი, რომელიც გულისხმობს ყველა პირის მიერ კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მკაცრ დაცვას და შესრულებას, ყველასთვის კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითნებობის დაუშვებლობას.

6 მ. ს. გორბაჩოვის დასახელებული მოხსენება, გვ. 100.

7 მ. ს. გორბაჩოვის დასახელებული მოხსენება, გვ. 104.

8 Проблемы теории государства и права. 1979 г., с. 319.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას ყოველთვის განიხილავდა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ვ. ი. ლენინი აუცილებლად თვლიდა ერთიანი კანონიერების დანერგვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. „საჭიროა უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის დაცვა, საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალუჯრის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“⁹ — წერდა იგი.

ცხოვრებამ დადასტურა, რომ სოციალისტური კანონიერების განხორციელება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა, რომ ყოველგვარი გადახვევა ამ პრინციპიდან, კანონიერების ყოველგვარი დარღვევა ხელს უშლის სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობას, ამუხრუჭებს საზოგადოებრივ პროგრესს.

პრინციპულ სიმძლვეზე ავიდა კანონიერების განხორციელების საკითხი მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებაში. განვითარების მიღწეული დონე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე, კულტურისა და შეგნებულობის ამაღლება იმის აუცილებლობასაც მოითხოვს, რის შესტად და განუხრებლად შესრულდეს კანონიერება. ეს პრინციპი განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია. სსრ კავშირის კონსტიტუციით „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს“ (მუხლი მე-4).

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას კომუნისტური პარტია მიიჩნევს ერთ-ერთ აქტუალურ პოლიტიკურ და პრაქტიკულ ამოცანად. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროში პარტიის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს კანონიერების დონე.

სკკ XXVII ყრილობამ თვალნათლივ დადასტურა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრინციპული კურსი. მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნა: „დემოკრატია იყო და კვლავ იქნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი“¹⁰. აღებული კურსი კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების, სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესების დაცვისათვის კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

კანონიერების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი გარანტია საბჭოთა კანონების დემოკრატიულ ბუნებაშია. კანონებში გამოხატული უმაღლესი სოციალური სამართლიანობა, კემშარტი თავისუფლება და ჰუმანურობა იმის საწინდარია, რომ მათ ნებაყოფლობით ასრულებდეს საზოგადოების უმრავლესობა. ამასთანავე, საბჭოთა კანონი მკაცრია იმათ მიმართ, რომლებიც ხალხისა და სახელმწიფოს ნებას უპირისპირდებიან.

სოციალისტური კანონიერების განხორციელების დონესა და მდგომარეობაზე დამოკიდებული სოციალისტური მართლწესრიგი. მართლწესრიგი კანონიერების განხორციელების შედეგია, ის საზოგადოებრივი წესრიგია, რომელიც კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დაცვით, გამოყენებით და შეფარდებით მყარდება. ამიტომ ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ორგანულად არის დაკავშირებული მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან.

სოციალისტური მართლწესრიგი მიმართულია საბჭოთა წყობილების დაცვის, მისი შემდგომი დემოკრატიზაციის, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, სამართალშეფარდებითი საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ. იგი გამსჭვალულია ღრმა ჰუმანიზმითა და სამართლიანობით. სახელმწიფო-სამართლებრივი საწყისები მასში ორგანულად არის შერწყმული საზოგადოების წევრთა მორალურ-პოლიტიკურ და პირად შენედელობებთან. საბჭოთა აღაშიანებს სჭერათ, რომ მტკიცე და სტაბილური მართლწესრიგი მთელი საზოგადოების კეთილდღეობის საიმედო გარანტიაა და სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ისინი აქტიურად იბრძვიან მისი განმტკიცებისათვის.

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 659-660.

¹⁰ მ. ს. გორბაჩოვის დასახელებული მოხსენება, გვ. 103-104.

ცებისათვის. „ბუნებრივია, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა მით უფრო სრული იქნება, რაც უფრო აქტიურად ჩაებმებიან ამ მუშაობაში პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირები და კომკავშირი, შრომითი კოლექტივები და სახალხო რაზმეულები, ჩვენი საზოგადოებრიობის მთელი ძალები“¹¹ — აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე.

სოციალისტური კანონიერების, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის უაღრესად ქმედითი ღონისძიებები ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში და ეს მუშაობა ყველგან პარტიულ, უპირველეს სახელმწიფო საქმედ არის მიჩნეული. ამის შედეგია, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის ყველა კომპონენტი — სამართალი, კანონიერება და მართლწესრიგი სათანადო სიმაღლეზეა. თუმცა, ეს თვითღამეულების უფლებას არ გვაძლევს. განვითარებული სოციალიზმი თავისთავად გულისხმობს სამართლებრივი საფუძვლის კიდევ უფრო განვითარებას და განმტკიცებას.

სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება ერთჯერადი და მარტივი პროცესი არ არის. იგი სოციალიზმის სრულყოფის საერთო ტენდენციებს და კანონზომიერებებს ექვემდებარება და განიცდის იმ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებათა ღრმა გავლენას, რომლებიც მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოებაში მიმდინარეობს. სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოების პოლიტიკური და სულიერი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია და მიეკუთვნება დღევანდელი მისი აქტიულო პრობლემათა რიცხვს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩაწერილია: „პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო და არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვა, მართლმსაჯულების, საპროკურორო შედამხედველობის, რუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება“. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს ყველა სამართალშემოქმედებითი და სამართალდამცავი ორგანოს დაძაბულ მუშაობას, საზოგადოების აქტიურ მხარდაჭერას, თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობის დაცვას, ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ღონისძიებების გაფართოებას და სხვა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის სრულყოფის მიმართულებას ჩვენს ქვეყანაში განსაზღვრავს კომუნისტური პარტიის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი იურიდიულ მეცნიერებასაც ეკისრება. სწავლულმა იურისტებმა თავიანთი კომპეტენტური ხიტყვა უნდა თქვან სოციალისტური სამართლებრივი შედნაშენის განვითარების პერსპექტივებზეც.



სისხლის სამართლის სამართალწარმოების საოქმო ფორმის თეორია და პრაქტიკა*

ბორის ასრნიჰვი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება ხაზგასმულია სკკპ პროგრამაში, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვა, მართლმსაჯულების, საპროკურორო ზედამხედველობის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება იყო და არის პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც პარტიის XXVII ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, აღნიშნულია: „ბოლო დროს დიდი მუშაობა გავწიეთ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მაგრამ მეცადინეობა ამ მიმართულებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევანელოთ. კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ საბჭოთა კანონების ხარისხი“.²

საბჭოთა კანონების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმის სრულყოფა, რამაც ასახვა ჰპოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებაში „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.³

ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ამ ბრძანებულებით დაკანონდა, ითვალისწინებს მოკვლევისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასა და სისხლის სამართლის სამართალწარმოებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამით კიდევ ერთხელ განისაზღვრა უფრო საფუძვლიანი პროცესუალური გარანტიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ჭეშმარიტების დადგენა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა.

ამ ბრძანებულებით საოქმო ფორმამ ჰპოვა არა მხოლოდ საკანონმდებლო განმტკიცება, არამედ შეიძინა ახალი, უფრო ღრმა და კონკრეტული შინაარსიც, იგი გავრცელდა დანაშაულობათა იმ წრეზე, რაც ამოწურავად არის ჩამოთვლილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლში (აღრე იგი მხოლოდ ხულიგნობისა და წვრილმანი დაცემების საქმეთა გამო გამოიყენებოდა).

საოქმო ფორმის ახლებურად გამოყენებამ განაპირობა ცვლილება სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლი), მნიშვნელოვანდ გაფართოვდა წრე ისეთი საქმეებისა, როდესაც საჭირო აღარ არის წინასწარი გამოძიება. ამის შედეგია, რომ 1985 წელს რესპუბლიკის მოკვლევის ორგანოებმა 90 პროცენტით მეტი სისხლის სამართლის საქმე აწარმოეს, ვიდრე 1984 წელს. თუ აქ იმ მასალებსაც გავითვალისწინებთ, რომლებიც სასამართლოში საოქმო ფორმით იგზავნება, ცხადი გახდება, როგორ დაიკვირებინდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები.

ამვე დროს, როგორც წესი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებები აღარ აწარმოებენ ნაკლებად მნიშვნელოვან არართულ დანაშაულობათა საქმეებს (17 დანაშაულის შემადგენლობა), რამაც უდავოდ შეუწყო ხელი უფრო საშიში ან ძნელად გასახსნელი საქმეების წინასწარი გამოძიების ხარისხის ამაღლებას.

ამის შედეგად, ჰერ ერთი შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლები გამოწვავისუფლდნენ და აღარ ასრულებენ მოკვლევის ფუნქციას და მეორეც, რაც ყველაზე მთავარია, ბოროტი

* იბეჭდება განხილვის წესით.
1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 73.
2 სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობას, თბ., 1986, გვ. 104.
3 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985, № 2, მუხ. 23.

ხულიგნობის საქმეთა მოკვლევა წარმოებს უფრო სრულყოფილად, კანონით დადგენილ ერთ-თვის ვადაში (სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამასთან, განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობის საქმეთა გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი გამოძიებისათვის დამახასიათებელი ყველა წესით, კანონით დადგენილ ორთვიან ვადაში (სსსკ 184-ე მუხლი).

ვერ დავეთანხმებით რსფსრ სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორებს, რომლებიც თვლიან, რომ მოკვლევა ამ კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე „წარმოებს საერთო წესით, მაგრამ შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლებს ენიჭებათ იმის უფლებამოსილება, რაც გათვალისწინებულია 127-ე მუხლით“.⁴ ეს კომენტარი კანონს ეწინააღმდეგება, რადგან თუ მას დავუჭერებთ, ისე გამოდის, თითქოს გამოძიებელი მოკვლევის ფუნქციას ატარებდეს მაშინ, როცა კანონით (რსფსრ სსსკ 418-ე მუხლის I ნაწილი) 414-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეებზე (საქართველოს სსრ სსსკ მე-400 მუხლი) მოკვლევას აწარმოებენ მხოლოდ მოკვლევის ორგანოები.

მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა სისხლის სამართლის სამართალწარმოების დამოუკიდებელი ფორმაა, რომელიც თავისი ამოცანებით, მიზნებით და პროცესუალური ხასიათით მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების გვერდით უნდა დავაყენოთ. მათ შორის არსებული მთელი რიგი განსხვავებები კი ძირითადად შემდეგში გამოიხატება.

ჩადენილი დანაშაულის ვარემოებები და სამართალდამრღვევის პიროვნება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე საოქმო ფორმის გამოყენების დროს დადგინდება ათლიან ვადაში არა საგამოძიებო გზით, არამედ შემოწმების ჩატარებით, რამაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს ახსნა-განმარტებებში, ცნობებში, აქტებში და ა. შ. ექვემდინარისა და ბრალდებულის ნაცვლად აქ გამოჩნდა ახალი პროცესუალური ფიგურა — სამართალდამრღვევი, ხლო მოწმეების ნაცვლად არიან თვითმხილველები. აქვე, პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩლედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის საკითხი, აგრეთვე დამცველის დაშვება, წყდება სასამართლო სტადიაში. მასალების მომზადების დროს მოკვლევის ორგანოს კომპეტენციიდან ამოღებულია აღკვეთის ღონისძიების ან დაკავების გამოყენება სამართალდამრღვევის მიმართ. ამჯერად, უკვე ოქმით და არა საბრალდებო დასკვნით მთავრდება წარმოება სასამართლომდე და ის არის საქმის განხილვის სამართლებრივი საფუძველი.

ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ავტორის აზრს, თითქოს მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა წარმოადგენდეს „მოკვლევის ახალ ფორმას“, რომელსაც „მომკვლევითი პირი“ ატარებს.⁵

სასამართლომდე წარმოების ამგვარი ფორმა ადრეც იყო ცნობილი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ მაშინ არ შექმნდა ახე საბოლოოდ დაუსტებელი სახელწოდება და გამოიყენებოდა მხოლოდ ორი სახის დანაშაულის დროს. წარმოების ასეთ ფორმას ეწოდება „შემოკლებული (ან გაუბრალებული) მოკვლევა“, „დაჩქარებული მოკვლევა“, „გაუბრალებული (ან საოქმო) გამოძიება“ და ა. შ. ამას თავისი გამართლებაც ჰქონდა, რადგან იმ დროინდელ კანონმდებლობაში ჯერ არ არსებობდა საოქმო ფორმის ზუსტი განსაზღვრა. ახლამდინებული ბრძანებულება კი ოფიციალურად ითვალისწინებს მასალების სასამართლომდე მომზადებას და არ გვაქვს იმის უფლება, რომ მას სხვაგვარად ვუწოდოთ.

ამიტომ ლაპარაკი შეიძლება იყოს არა „მოკვლევის ახალი ფორმის“ შესახებ, არამედ, მხოლოდ 1966 წლიდან მოქმედი სამართალწარმოების საოქმო ფორმის სრულყოფასა და მისი გამოყენების სფეროს მნიშვნელოვან გაფართოებაზე.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევა განიხილება, როგორც წინასწარი გამოძიების ორი ფორმიდან ერთერთი აუცილებელი, იგი იწყება სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და მოიცავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას. საოქმო ფორმის დროს კი, საქმე

⁴ Комментарий к УПК РСФСР, М., 1985, стр. 657.

⁵ Бюллетень Верховного Суда СССР, 1981, № 1, стр. 10.

⁶ ა. ფალიაშვილი, მ. ქურდაძე, მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა, „საბჭოთა სამართალი“, 1985, № 2, გვ. 29-30.

⁷ Перлов И. Д. Советский уголовный процесс. Возбуждение уголовного дела и предварительное расследование. М., 1968, стр. 277—279; Алышевский Т. В. Особенности производства по делам о хулиганстве. М., 1970, стр. 22, 23; Советский уголовный процесс, Академия МВД СССР, М., 1982, стр. 507.

არ აღიძვრება და საჭირო გარემოებათა დადგენა ხდება პროცესუალური მოქმედებებით, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით.⁸

განსახილველი კატეგორიების საქმეთა წარმოების წესს კანონმდებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დამოუკიდებელ კარში განსაზღვრავს, მაგრამ არცერთ ნორმაში არ ამბობს იმას, რომ ამ შემთხვევებში მოკვლევა ტარდება, პირიქით, აქ ხაზგასმულია „სისხლის სამართლის აღძვრის გარეშე დანაშაულის გარემოებათა გამოკვლევის წესის ხარისხობრივი განსხვავება წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევისაგან, რაც წინ უძღვის ხოლმე ჩვეულებრივ სასამართლოში წარმოებას“⁹.

ის შემთხვევები კი, როცა ამ კატეგორიის საქმეთა მოკვლევა წარმოებს, ამოწურავდაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 402-ე მუხლში. თვით მუხლის სახელწოდებაშია ხაზგასმული, რომ წარმოების საოქმო ფორმა სხვაა, ხოლო მოკვლევა ან მისი რომელიმე სახეობა სხვა.

საოქმო ფორმით მასალების სასამართლომდე მომზადება კანონით მოკვლევის ორგანოს კომპეტენციაა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლი), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოკვლევის ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც საოქმო ფორმას წარმართავენ, მომკვლევე პირები ვუწოდოთ, რადგან ისინი მოკვლევას კი არა, მასალების მომზადებას ანხორციელებენ.

სამართალწარმოების საოქმო ფორმის გამოყენების პრაქტიკამ, რესპუბლიკის მოკვლევის ორგანოებში, გვიჩვენა, რომ იგი წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას და სავსებით ამართლებს მოვანს. მართლაც, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოთვლით ცენტრის მონაცემებით, მომხდარი დანაშაულობათა მასალების თითქმის მესამედი სასამართლოებში გადაგზავნილია საოქმო ფორმით. ძირითადად ეს ის დანაშაულობებია, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ, ასეთებია: წვრილმანი დატაცება (სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლი); ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება (124-ე მუხლი); მოკალაქეთა პირადი ქონების განზარაზ განადგურება ან დაზიანება (157-ე მუხლი I ნაწილი); ვაჭრობის მომწვესრივებული დადგენილებების დარღვევა (165 I მუხლი); მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება (169-ე მუხლი I ნაწილი); სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა (169 I მუხლი); მარტივი ხულიგნობა (228-ე მუხლის I ნაწილი), სატრანსპორტო საშუალებების მართვა ნახვამ მდგომარეობაში (241 I მუხლის I ნაწილი).

ამ საქმეების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხულიგნობის დროს სამართალდამრღვევი უმეტესად ცნობილი ხდებოდა დანაშაულებრივ მოქმედებათა ჩადენისთანავე, მაგრამ პრაქტიკაში იმასაც ვხვდებოდით, როდესაც იგი ძნელდებოდა წვრილმან დატაცებათა შემთხვევებში. სხვა დანაშაულობების დროს კი სამართალდამრღვევი თავიდანვე იყო ცნობილი.

ჩადენილი დანაშაულის შესახებ სამართალდამრღვევს ჩამოერთმეოდა ახსნა-განმარტება, სადაც, როგორც წესი, არავინ უარყოფდა ჩადენილ ფაქტს. იგივე დახტურდებოდა დაზარალებულთა, მოწმეთა, მწახველთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტებებითაც. სრულყოფილი იყო აგრეთვე სამართალდამრღვევის პიროვნების დამახასიათებელი მასალები (ცნობა ნასამართლობის შესახებ, დახასიათებები სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილიდან და სხვა).

მოკვლევის ორგანოები მოქმედებდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად და სრულყოფილად, ყოველმხრივ ობიექტურად აღგენდნენ მომხდარი დანაშაულის გარემოებებს. ამის გამო სასამართლოებს თითქმის არ უხდებოდათ მოკვლევის ორგანოთა ხარვეზების შევსება. მართლაც, სასამართლოში წარმართული მასალებიდან დამატებითი გარემოებების გამოსარკვევად დაბრუნდა მხოლოდ 2,1 პროცენტი, სასამართლო სხდომის დარბაზიდან კი არცერთი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ხშირად ირღვევა მასალების მომზადებისა და სასამართლოში გადაგზავნის ვადები, რაც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებითაა განპირობებული. ზოგჯერ მასალები ასეთ საქმეებზე ორ-სამ დღეში გროვდება, მაგრამ სასამართლოში კი მეთექვსმეტე დღის ან უფრო გვიან იგზავნება.

⁸ ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ამ მოქმედებებს აღმინისტრაციული ხასიათი გააჩნია.

⁹ К о б л и к о в А. Новые изменения и дополнения УПК РСФСР и их значение для осуществления правосудия, «Советская юстиция», 1985, № 17, стр. 4.

კანონმდებლობა კი ამომწურავ პასუხს არ იძლევა იმის შესახებ, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ვადის გამოთვლა. ზოგჯერ მას დანაშაულის ჩადენის მომენტიდან ანგარიშობენ, ზოგჯერ — სამართალდამრღვევის წარმოდგენიდან, ზოგჯერაც — მოკვლევის ორგანოში დანაშაულის შესახებ განცხადების (შეტყობინების) შემოსვლის დღიდან ან იმ მომენტიდან, როცა თანამშრომელმა თავის წარბოებაში მიიღო მასალები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მასალების მომზადების ვადის გამოანგარიშება იწყება განცხადების (შეტყობინების) მიღების ან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის მერსე დღიდან სათანადო რეგისტრაციის შემდეგ და გაგრძელებას აღარ ექვემდებარება. მასალების სასამართლომდე მომზადების უკანასკნელი დღეა პროკურორის საწყვიტო მასალების სასამართლოში გადაგზავნის ან პროკურორის თანხმობით სამართალდამრღვევის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად მასალების გადაგზავნის თარიღი.

ჩადენილი დანაშაულის შესახებ ოქმი უნდა შედგეს ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მეხამე ნაწილის მოთხოვნილებათა დაცვით და ამიტომ დაუშვებელია ისეთი პრაქტიკა, როდესაც მას ადგენენ დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის პირველსავე დღეს, მომდევნო დღეებში კი აგროვებენ საქირო სხვა მასალებს.

მოკვლევის ორგანოს უფლება არა აქვს მასალების საოქმო ფორმით მომზადების დროს სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენოს დაკავება ან აღკვეთის სხვა ღონისძიება. ასეთ დროს პროცესუალური იძულების ერთადერთი ღონისძიებაა სამართალდამრღვევის ვალდებულება მოკვლევის ორგანოსა და სასამართლოს გამოძახებით გამოცხადებაზე (სსსკ 401-ე მუხ. მე-2 ნაწ.).

თუ საქირო გახდა სამართალდამრღვევის დაკავება, აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენება ან საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, დაუყოვნებლივ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და მოკვლევა ჩატარდება სრული მოცულობით.

ასეთი პრაქტიკა შეესაბამება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1985 წლის № 8 ბრძანების მოთხოვნას, რომლის თანახმადაც თუ განცხადებები (შეტყობინებები) შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომელთა ობიექტური და ყოველმხრივი შემოწმება საოქმო ფორმით შეუძლებელია, დაუყოვნებლივ უნდა აღიძვრას სისხლის სამართლის საქმე და ჩატარდეს გამოძიება.

მოკვლევის დროს აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებებიც, რომლებიც ასევე ეწინააღმდეგებიან მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმას. ესენია: დანაშაულის ჩამდენი პირის დაუდგენლობა; საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, სამართალდამრღვევის დაკავების ან მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის აუცილებლობა, მატერიალური ზარალის ანაზღაურების, ნივთების, დოკუმენტების ამოღების უზრუნველყოფა და სხვ.

ეს გარემოებანი უნდა დაადგინოს მოკვლევის ორგანოს უფროსმა და მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან მასალების გადაგზავნის შესახებ. აქვე დადგინდება უნდა მოიყვანოს წარმოების საოქმო ფორმის გამოყენების შეუძლებლობის მოტივები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლი შეიცავს პრინციპული მნიშვნელობის დებულებას, რომლითაც მოკვლევის ორგანოს უფროსი ვალდებულია შეისწავლოს ოქმი და მასალები, განიხილოს სამართალდამრღვევისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების შეფარდების შესაძლებლობა, ხოლო თუ იგი არასრულწლოვანია, პროკურორის თანხმობით გაგზავნოს მასალები არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაზე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის დროს საოქმო ფორმა არ გამოიყენება, რადგან ამ შემთხვევაში აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება (სსსკ 126-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსსკ 403-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თუ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოვლინდება საოქმო წარმოების მსვლელობის დროს, მოკვლევის ორგანოს უფროსმა ოქმის შედგენამდე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს არა სსსკ 401-ე, არამედ 91 და 110-ე მუხლებით.

პრაქტიკა მოწმობს, რომ მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა ამართლებს მიზანს და ხელს უწყობს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებას. ამიტომ, საქიროა მოკვლევის ორგანოებმა კვლავაც უზრუნველყონ კანონიერება და დადგინდეს ათდღიან ვადაში დაამთავრონ მასალების შეკრება.



ექსპერტიზის საპარტოპრიზო საფუძვლები

ოთარ ჟღენი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კრიმინალისტურ ექსპერტიზას საფუძვლად უდევს ორი საწყისი: ა) იურიდიული, რომელიც გულისხმობს ექსპერტიზის წარმოების სპეციფიკურ მიზნებს, პირობებსა და სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ზორციელდება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონის ფარგლებში; ბ) მეცნიერული და ტექნიკური.

ორივე საწყისი განსაზღვრავს სპეციალური ცოდნისა და ექსპერტიზის მეთოდების გამოყენების წესს, ექსპერტიზის ორგანიზაციას, საქსპერტო გამოკვლევის პროცესის მართვას, იურიდიულ და ტექნიკურ ნორმებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ თითოეული შემთხვევისათვის ცალცალკე გამოიცეს იურიდიული და ტექნიკური ნორმების შემცველი ნორმატიული აქტები. ექსპერტიზის ორგანიზაციისა და მართვის მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტი „დებულება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საქსპერტო დაწესებულებებში სასამართლო ექსპერტიზის ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მიერ 1972 წლის 6 დეკემბერს,¹ დაბეჭიბულია უარყოფს ამის აუცილებლობას. იურიდიულ ნორმებთან ერთად, ეს აქტი შეიცავს წმინდა ტექნიკურ ნორმებსაც.

ამასთან, ექსპერტის საქმიანობის მომწესრიგებელ თითოეულ ნორმატიულ აქტში უნდა გაირჩეს აგრეთვე საბუნებისმეტყველო — მეცნიერული და ტექნიკური ასპექტები, მაგრამ ექსპერტიზის ორგანიზაციისა და მართვის მარეგულირებელი ნორმების დამუშავებისას პრიმატი იურიდიულ ნორმებს ენიჭება. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავდა ნ. ა. სელივანოვი: ყოველგვარი ტექნიკური საშუალება კრიმინალისტიკაში უნდა იყოს არა მარტო მეცნიერულად დასაბუთებული და უზრუნველყოს შედეგის დამაჭერებლობა, არამედ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სამართლის პრინციპებს, არ უნდა არღვევდეს მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს². ამდენად, სავსებით შესაძლებელია შეიქმნას კომპლექსური ნორმატიული აქტები, რომელიც გაითვალისწინებს როგორც იურიდიულ, ისე ტექნიკურ ასპექტებს.

სწკეტური წესით გამოვითხეთ სსრ კავშირის საქსპერტო დაწესებულების 60 ხელმძღვანელე მუშაკი, ექსპერტიზის ლაბორატორიების ხელმძღვანელები, აგრეთვე რესპუბლიკის სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მუშაკთა ნაწილი. ყველა რესპონდენტმა გამოთქვა გულისტკივილი, რომ ჭერაც არ არის შემუშავებული ექსპერტიზის ჩატარების მომწესრიგებელი სათანადო ნორმატივები. გამოკითხულთა 28 პროცენტს მიაჩნია, რომ საქსპერტო დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩატარება საკმაოდ სრულყოფილად არის რეგულირებული ნორმატივით (კანონითა და ქვეკანონური აქტებით), ხოლო 62 პროცენტმა მიუთითა ნაკლებად მხარებით, კერძოდ, აღნიშნეს, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცდეს ექსპერტიზის, განმეორებითი და კომპლექსური ექსპერტიზის წარმოების წესები, დასკვნის თაობაზე ხელმძღვანელისა და ექსპერტის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელმძღვანელის უფლებამოსილება, ხელმძღვანელის მიერ ექსპერტიზის წარმოების მართვის უფლებები და სხვ.

გამოკითხულთა 88 პროცენტმა მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას — გამოიცეს „საქსპერტო დაწესებულებების ხელმძღვანელის დებულება“, რომელშიც განსაზღვრული იქნება

¹ შემდეგ ყველგან — „დებულება—1972“.

² Селиванов Н. А., научно-технические средства расследования преступлений, Автореферат докт. дисс. М., 1965 г.

ხელმძღვანელის ფუნქციები, უფლებები და მოვალეობანი დაწესებულების მუშაობის წარმართვასა და კონკრეტული ექსპერტიზის წარმოებაში. თითქმის ყველა ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციას გააუმჯობესებს ერთი პირის მიერ ექსპერტიზის რამდენიმე სახეობის ათვისება, მართვის თანამედროვე მეთოდების გაცნობა, მუშაობის გამოცდილების გაზიარება ხელმძღვანელთა თათბირებზე და საკავშირო კონფერენციის მოწვევა, რომელიც მიეძღვნება ექსპერტიზის წარმოების ორგანიზაციულ საკითხებს.

„სამართლისა და სამართალთან კავშირის გარეშე შეუძლებელია მართვის პრობლემათა ანალიზი დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ“³. ა. ე. ლუნევის ეს გამოხატვაში ეხება იმას, ვინც უშუალოდ იკვლევს სასამართლო საქმისწარმოების ორგანიზაციისა და მართვის პრობლემებს.

„ექსპერტიზის მართვის“ ცნება უჩვეულოა იურიისტებისათვის. გაცილებით უფრო ცნობილია ცნება „ექსპერტიზის წარმოების ორგანიზაცია“. საერთოდ კი, ორგანიზაციის ცნება მჭიდროდ უკავშირდება მართვის ცნებას, რადგან სწორედ იგი არის ყოველგვარი მართვის სისტემის საფუძველი. მას ცენტრალური ადგილი უჭირავს მართვის სტრუქტურის ელემენტებს შორის: დაგეგმარება (მიზნის განსაზღვრა), ორგანიზაცია, შესრულება, კონტროლი და შეფასება. ორგანიზაცია ხორციელდება სხვადასხვა ფორმით და განსაზღვრება მართვის პროცესში მონაწილე ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებით.

მართვის თეორიიდან ექსპერტიზის მართვისათვის უნდა ვისესხოთ არა მარტო ტექნიკა და ტექნოლოგია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციული საფუძვლები. ამიტომ ამ წერილში ძირითად ყურადღებას ვუთმობთ სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ და ეთიკურ ურთიერთობებს, მართვის პროცესში მონაწილეთა შეთანხმებული მოქმედების საკითხებს.

დავიწყეთ ექსპერტიზის მართვის სამართლებრივი საფუძვლების ანალიზით. ექსპერტიზის მართვის სამართლებრივი მოწესრიგების ამოცანათა შორის უნდა გამოიყოს შემდეგი: 1. საექსპერტო საქმიანობის ძირითადი მიზნების განსაზღვრა; 2. მართვის სისტემის ფუნქციის განსაზღვრა ექსპერტიზის პროცესში; 3. ექსპერტების (მართული სისტემები) ფუნქციების (უფლება-მოვალეობათა) დადგენა; 4. ურთიერთდამოკიდებულების რეგულირება; 5. პასუხისმგებლობის დადგენა; 6. საექსპერტო კვლევის პროცესის რეგლამენტაცია.

როგორც ვხედავთ, სამართლებრივი ფაქტორი განსაზღვრავს მიზანს, ამოცანას და მართვის ორგანიზაციას.

ექსპერტიზის მართვა თავისი იურიდიული არსით არის სამართალგამოყენებითი ქმედება, რომელიც სავსებით შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობას და ამ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ქვეკანონურ აქტებს. ექსპერტიზის წარმოების პროცესში „ნორმატიული აქტი რეალიზდება (გარდაქმნება) მართვის სუბიექტებისა და ობიექტების რეალურ მოქმედებად, სუბიექტებისა და ობიექტების მიმართ სამართლებრივი ნორმები გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში“⁴.

1. საექსპერტო საქმიანობის ძირითადი მიზნების განსაზღვრა

ექსპერტიზის წარმოების მარგულირებელ ნორმებში ჩამოთვლილი არ არის ექსპერტიზის წინაშე დასმული კონკრეტული მიზნები. გამოცხადების შეადგენს მხოლოდ აუცილებელი ექსპერტიზის წარმოების შემთხვევები (რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 79; საქართველოს სსრ სსსკ, მ. 71). აქ დასახელებულია სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების დადგენა და სხვა ამოცანები რასაც იკვლევს სასამართლო მედიცინის ექსპერტიზა. დასახელებულია საექსპერტო გამოკვლევის ობიექტებიც: ადამიანი ან ადამიანის გვამი.

ეუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საექსპერტო დაწესებულების საქმიანობის მიზნები ჩამოთვლილი და განსაზღვრული არ არის. ექსპერტიზას მიმართავენ ყველა შემთხვევაში, როცა სასამართლო საქმის წარმოებას სჭირდება არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა დადგენა.

³ Лунев А. Е. Правовые проблемы науки управления, «Советское государство и право» 1966, № 12, стр. 35.

⁴ Зуйков Г. Г., Правовые вопросы научной организации управления и труда в органах внутренних дел М., изд-во «Высшая школа МВД СССР» 1973 г. стр. 8.

ექსპერტიზის საგნის ცნება განხილულია მრავალ ნაშრომში, მათ შორის ყველაზე საფუძვლიანია ა. რ. შლიახოვის გამოკვლევა. აქ ნათქვამია, რომ ექსპერტიზის საგანი არის ფაქტი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმის გარემოებანი, რომლებიც დგინდება სპეციალური ცოდნის მეშვეობით⁵. ეს განსაზღვრება ზოგადია, მაგრამ თავისი შინაარსით და ინტერპრეტაციით შეესაბამება ექსპერტიზის მიზანს, რომელსაც ითვალისწინებს კანონი. გარდა ამისა, იგი შეესაბამება აგრეთვე „მტკიცებულების საგნის ცნებას და მასთან ისეთხავე მიმართებაშია, როგორც ექსპერტიზა მტკიცებულების პროცესთან საერთოდ“.

ექსპერტიზის საგნის ინტერპრეტაცია აშკარად გაუმართავია საქართველოს სსრ სსსკ-ში, სადაც ლაპარაკია „სისხლის სამართლის მასალებზე, რომლებიც ექსპერტიზის საგანს შეეხება“ (მ. 78). აქ ექსპერტიზის საგანი აშკარად აღრეულია ექსპერტიზის ობიექტებთან ე. ი. იმასთან, რასაც ექსპერტი იკვლევს.

ექსპერტიზის საგანს სხვაგვარადაც განმარტავენ, მაგალითად, „ექსპერტიზის მიერ გადასწვევით ამოცანების ერთობლიობა“, ან „ერთობლიობა იმ საკითხებისა, რომლებიც უნდა გადაწყვეტოს ექსპერტ-კრიმინალისტმა“⁶. ამ განმარტებებში ექსპერტიზის იურიდიული ბუნება რამდენადმე აბსტრაქტიზებულია, მაგრამ იგი კომპენსირდება კონკრეტულობით, რომლის ბაზაზედაც შეიძლება ჩამოყალიბდეს ექსპერტიზის მიზნის ახალი ნორმატიული განსაზღვრება. როგორც ჩანს, ექსპერტიზის მიზნის დასაკონკრეტებლად არ გამოდგება მისი ობიექტის ინტერპრეტაცია.

ექსპერტიზის ობიექტი იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეცნირები იძულებულნი არიან ჩამოყალიბონ ობიექტის ცნების მეტად ზოგადი განსაზღვრება.

2. მმართველი სისტემის ფუნქციონირება განსაზღვრა ექსპერტიზის წარმოების პროცესში

მკაცრად უნდა გაიმიჯნოს მართვის სიტუაში შემავალ პირთა ფუნქციები. უფლებამოსილების განაწილება სამართლიანად ითვლება მტკიცებულებათა შეკრების, გამოძიების, შეფასებისა და გამოყენების პროცესის სწორი მართვის შინაარსობად. მართვის პროცესში წამოიჭრება არა მარტო ფუნქციონირება განაწილების, არამედ ამ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აუცილებლობა. მართვის სისტემის შემდგომი რგოლიდან მართვის უფლება გადაეცემა ქვემდგომებს, ხოლო მათგან, აუცილებლობის შემთხვევაში, უბრუნდება ისევ შემდგომს.

კანონი (რსფსრ სსსკ, მუხლი 187, საქართველოს სსრ სსსკ, მუხლი 189) ექსპერტიზის მართვის სისტემის მხოლოდ ერთ რგოლს ასახელებს — საქსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს. ხოლო ქვეკანონური აქტი „დებულება — 1972“ ვაცილებით ვრცლად განსაზღვრავს საქსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის ფუნქციებს. ამ აქტის საფუძველზე ექსპერტიზის ორგანიზაცია წყვეტს საკითხს — არის თუ არა საფუძველი, აუცილებელი ამოსავალი მოწოდებები, ტექნიკური საშუალებანი და ჰყავთ თუ არა მათ სპეციალისტები კონკრეტული ექსპერტიზის საწარმოებლად.

ხელმძღვანელმა საქსპერტო მოკვლევის წარმოების საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეაფასოს ექსპერტიზის დანიშვნისა და მისი წარმოების საფუძველი. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველია გამოძიებისა და სასამართლოსათვის საინტერესო გარემოებათა დასადგენად აუცილებელი სპეციალური ცოდნა. ი. კ. ორლოვის აზრით, „ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი მიმართულია გამოძიების, სასამართლოს ან რომელიმე სუბიექტის მიმართ, ვინც უფლებამოსილია დანიშნოს ექსპერტიზა“⁷. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგან გარკვეულ წილად ეს საფუძველები მიმართულია აგრეთვე დაწესებულების ხელმძღვანელისადმი. ვიდრე ექსპერტიზის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, ხელმძღვანელი

⁵ Шляхов А. Р. Предмет и система криминалистической экспертизы в книге «Труды ВНИИСЭ» вып. 3. М., 1971 г., стр. 3.

⁶ Цимакурдзе Г. А., Процессуальные и методические вопросы криминалистической экспертизы в Грузинской ССР, Тбилиси 1969 г., стр. 5.

⁷ Орлов Ю. К. Основания назначения и проведения экспертизы, в кн. Правовые проблемы судебной экспертизы, Сборник научных трудов, № 22, М., 1976, стр. 81.

სწავლობს დადგენილებას და განსაზღვრავს საჭიროა თუ არა ამოცანის გადასაწყვეტად სპეციალური ცოდნა და განეკუთვნება თუ არა ის საექსპერტო დაწესებულების პრაქტიკოსს. თუ სპეციალური ცოდნა საჭირო არ არის, ანდა აღძრული საკითხი არ შედის ამ დაწესებულების კომპეტენციაში, მაშინ ხელმძღვანელი გამოძიებელს (სასამართლოს) უარს განუცხადებს ექსპერტიზის წარმოებაზე (დებულების პ. 18, შენიშვნა).

ექსპერტიზის წარმოების საფუძველია ექსპერტიზის წარმოების თაობაზე შესაბამისი პირის დადგენილება. ამგვარი საფუძველი მიმართულია მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელისა და ექსპერტის მიმართ. დაწესებულების ხელმძღვანელისათვის ვერავითარი სხვა საბუთი ვერ შეცვლის საექსპერტო გამოძიების დაწყების განკარგულების საფუძველს. დადგენილება ან განკარგულება, როგორც ამას კანონი მოითხოვს, გაცემული უნდა იყოს გამოძიების ან მომკვლევები პირის, პროკურორის, სასამართლოს ან ერთპიროვნულად — მოსამართლის მიერ⁸.

თუ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში არ არის დაცული სათანადო წესები, დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია ის არ მიიჩნიოს ექსპერტიზის წარმოების ჩატარების საფუძველად.

ექსპერტიზის საწარმოებლად ორი ან რამდენიმე ექსპერტის გამოყოფისას ინიშნება წამყვანი ექსპერტი; მასვე ენიჭება მართვის ზოგიერთი ფუნქცია — დანარჩენი ექსპერტების საქმიანობის კოორდინაცია, გამოკვლევის საერთო გეგმის დამუშავება და ექსპერტების თათბირების ხელმძღვანელობა.

საექსპერტო დაწესებულების ფუნქციებში შედის აგრეთვე კონკრეტული ექსპერტის დანიშვნა და ექსპერტიზის მასზე მინდობა; ექსპერტიზის წარმოების ვადების დადგენა; გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების გაცნობა, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური დახმარების აღმოჩენა; ექსპერტიზის ხარისხის კონტროლი; ექსპერტიზის დამთავრებისას ექსპერტიზის დანიშნავი ორგანოსათვის მასალების გადაგზავნა.

ქვეკანონური აქტის ნორმები ითვალისწინებს, აგრეთვე, მართვის უფლებათა გადაცემის შესაძლებლობას, კერძოდ, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია ზემოჩამოთვლილ უფლებათაგან ზოგიერთი დააკისროს სტრუქტურული საექსპერტო ქვეგანყოფილების ხელმძღვანელებს.

დებულება არ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს დაწესებულების ხელმძღვანელი, როცა ის არ ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას. „რუსის სსსკ-ის კომენტარების“ ავტორების აზრით, ხელმძღვანელსა და ექსპერტს შორის შეუთანხმებლობის ვითარებაში გამოძიებელს მაინც გადაეგზავნება დასკვნა: ამ დასკვნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანლის აზრი, რომელიც მან წერილობით უნდა გაგზავნოს.

სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის წარმოების ორგანიზაციის ინსტრუქცია დაწესებულების ხელმძღვანელს უფლებას ანიჭებს (თუ ის არ ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას) ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს საექსპერტო კომისიას წინანდელი ექსპერტის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება დებულებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ხოლო თუ ექსპერტები არ ეთანხმებიან სხვა ექსპერტების აზრს, თავიანთ დასკვნას იძლევიან ცალკე.

ეს გზა, ჩვენი აზრით, გაცილებით მისაღებია, ვიდრე სხვა შესაბამისი რეკომენდაციები, სადაც ბუნდოვანი რჩება, თუ როგორ მოიქცეს ხელმძღვანელი, როცა ის ეთანხმება დასკვნას, მაგრამ არ ეთანხმება იმ მეთოდს, რომელსაც იყენებდნენ ექსპერტები თავიანთი დასკვნის დასასაბუთებლად, ან, არც თუ იშვიათად, გამოკვლევის აღწერა უხარისხოდ მიაჩნია. დასკვნა სპაროცესო დოკუმენტია და მასზე პერსონალურად პასუხისმგებელია ექსპერტი. ამასთან, ხელმძღვანელობა ვრცელდება არა მარტო დასკვნაზე, არამედ საბუთის ყველა ნაწილზე.

ვფიქრობთ, რომ რადგან დაწესებულების ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს ექსპერტიზის დანიშვნისა და ხარისხის გაკონტროლების უფლება, მასვე უნდა დაეკისროს ექსპერტიზის წარმოებისა და მისი შედეგების გაფორმებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

⁸ ამხანაგურ სასამართლოებს, ნოტარიუსებს (გარდა ზოგიერთი შიდაკავშირე რესპუბლიკისა, სადაც ნოტარიუსი უფლებამოსილია უზრუნველყოს მტკიცებულება), სახალხო კონტროლის ორგანოებსა და ა. შ. უფლება არა აქვთ დანიშნონ ექსპერტიზა. მათი მიმართვის საფუძველზე სპეციალისტებმა შეიძლება გამოიკვლიონ წერილობითი დოკუმენტები და სხვა ობიექტები (დებულების პ. 2, შენიშვნა).



ექსპერტი უფლებამოსილია დასკვნაში აღნიშნოს, რომ გამოკვლევის ესა თუ ის მეთოდი მან გამოიყენა დაწესებულების ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად, მაგრამ მის შესრულებაზე უარის თქმის უფლება არა აქვს. ჩვენი აზრით, ეს უნდა აისახოს ექსპერტიზის წარმოების დებულებაში.

რაც შეეხება მიღებული შედეგის თაობაზე, თვით ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას, უნდა დავეთანხმოთ ი. გ. კორუხოვის მოსაზრებას: „საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია შეამოწმოს დასკვნის საფუძვლიანობა და აუცილებლობის შემთხვევაში დანიშნოს ექსპერტთა კომისია, რომლის შემადგენლობაში შეიყვანოს ის ექსპერტი, ვისაც ეკუთვნის საღაო დასკვნა. როცა ხელმძღვანელი არ ეთანხმება დასკვნას, უთანხმოების მოტივებს იგი აცნობს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს“, სპაროცესო მნიშვნელობის საყურადღებო მოსაზრებაა, მაგრამ ექსპერტიზის წარმოების პროცესის მართვისათვის არ გამოგვადგება ამიტომ, ჩვენი აზრით, მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ-ების შესაბამისი მუხლები უნდა შეივსოს შემდეგი ნოველით: „საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი მიუთითებს და აკონტროლებს ექსპერტიზის წარმოების ვადებს, ეცნობა გამოკვლევის შედეგებს და ახორციელებს კონტროლს შედეგების ხარისხზე. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების ხელმძღვანელი არ ეთანხმება დასკვნას, ექსპერტიზის წარმოებას ავალებს საექსპერტო კომისიას, რომელშიც მონაწილეობს დასკვნის შემდგენელი ექსპერტიც. თავისი მოქმედების თაობაზე ხელმძღვანელი ატყობინებს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს“.

ვერ გავიზარებთ ი. პ. კონინეკოს წინადადებას საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის იმ უფლებით აღჭურვის შესახებ, რომ „ექსპერტს დაუსახოს დამატებითი ამოცანები, რომელნიც მნიშვნელოვანია საკითხისათვის“. საკითხის დასა გამოძიებლის (სასამართლოს) სპაროცესო უფლებაა. მართალია, ექსპერტს შეუძლია გასცდეს მის წინაშე დასმული საკითხების ფარგლებს, მაგრამ დაუშვებელია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამატებითი საკითხების წამოჭრა. ეს, ცხადია არ გამორიცხავს იმის უფლებას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ხელმძღვანელმა ექსპერტის ყურადღება გაამახვილოს გამოძიებლის (სასამართლოს) მიერ დასახული ამოცანის ფარგლებიდან გასვლის სარგებლიანობაზე.

„სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სისტემის სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციის ძირითადი დებულება“ მიუთითებს ხელმძღვანელის კიდევ ერთ მმართველობით ფუნქციაზე: „ექსპერტიზის ჩასატარებლად, რომელიც დანიშნულია ერთი დადგენილებით, მაგრამ არ მოითხოვს ექსპერტების ერთობლივ მუშაობას კომპლექსური ექსპერტიზის ფორმით, ხელმძღვანელი გამოიყოფს ცალკეულ ნაწილებს“. ეს მნიშვნელოვანი მმართველობითი ფუნქციაა, რომელიც პრაქტიკაში ხორციელდება არა მარტო სასამართლო ექსპერტიზის, არამედ სხვა ექსპერტიზის წარმოების დროსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ხელმძღვანელს, ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოსათვის შეუტყობინებლად, შეუძლია შეცვალოს ექსპერტიზის ხასიათი.

მართვის სისტემა (ექსპერტები და ექსპერტიზის წარმოების პროცესი) არა მარტო განიცდის მმართველის ზეგავლენას, არამედ ფუნქციონირებს საკუთარი კანონზომიერების, მოთხოვნათა ტექნიკურ შესაძლებლობათა, კონკრეტული ექსპერტების ინტელექტუალური გაქანების შესაბამისად. ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენს მართვის ხასიათსა და შინაარსზე. ნორმატულ აქტებში უნდა აისახოს ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიან მართვას, ცხადია, ექსპერტიზის ჩატარების ტექნიკური თუ სხვა პირობების გათვალისწინებით.

8. სამართავი სისტემის (ექსპერტიზის) ფუნქციონირების უფლება-მოვალეობანი

ექსპერტიზის უფლება-მოვალეობანი გამოკვეთილია მრავალ ნაშრომში, რაც უფლებას გვაძლევს შემოვიფარგლოთ იმ დებულებათა განხილვით, რომლებიც მიტნაკლებად მნიშვნელოვანია ორგანიზაციული თვალსაზრისით:

1. ექსპერტი მოვალეა მის წინაშე დასმული საკითხის შესახებ გამოიტანოს ობიექტური დასკვნა. ამ მოვალეობიდან ექსპერტს კანონი ათავისუფლებს ორ შემთხვევაში: წარმოდგენილი მასალები არასაკმარისია დასკვნის გასაკეთებლად ან მისი გადაწყვეტა მოითხოვს საპირობით მენციერულ და სამართლებრივ ცოდნას, ექსპერტს კი ეს ცოდნა არ გააჩნია.
2. ექსპერტი მოვალეა მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამომხსენებელთა გამოცხადდეს დასკვნის მისაცემად, დაკითხვაზე დასკვნის გასამართავად ან შესავსებლად. ექსპერტს ევალება გამოძახებისთანავე გამოცხადდეს, თუნდაც ხელთ

არ ჰქონდეს დასკვნისათვის საჭირო მონაცემები. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკაში ძალზე იშვიათია გამოძიებლის ან პროკურორის მიერ საქსპერტო დაწესებულების თანამშრომელთა გამოძახება დასკვნისათვის, რადგან მათ კარგად იციან, რომ გამოკვლევა, როგორც წესი, მოითხოვს ლაბორატორიულ აღჭურვილობას და ამჟამინებენ მასალები გადაუგზავნონ საქსპერტო დაწესებულებას, ხოლო სასამართლო გაცილებით ხშირად იძახებს ექსპერტს დასკვნის გამოსატანად.

გამოძახებათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1971 წლის 16 მარტის პლენუმმა სასამართლოების ყურადღება გაამახვილა ექსპერტიზის ჩატარების დროს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ზედმიწევნით სწორად გამოყენების აუცილებლობაზე. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში სასამართლოზე ჩატარებული ექსპერტიზის რაოდენობა 1975 წლიდან 1985 წლამდე 90 პროცენტით გაიზარდა.

სასამართლოში ექსპერტის მოვალეობის შესრულება დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან. იგი დამოუკიდებელი საპროცესო ქმედებაა და არ უნდა განვიხილოთ როგორც წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული ექსპერტიზის დამატებად და განმეორებად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოებს განუშარტა, რომ სასამართლოს სხდომაზე ექსპერტად გამოძახებულ პირს გარემოების მიხედვით უფლება აქვს გამოძახებაში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ. ეს კი სასამართლოში ექსპერტიზის ჩატარების სამართლებრივი რეგლამენტირების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობაზე მიუთითებს. რეგლამენტაციამ, ცხადია, არ უნდა შეზღუდოს სასამართლოს მიერ ექსპერტის გამოძახების ორგანიზაცია, აგრეთვე სასამართლოზე ექსპერტისა და სასამართლოს მოვალეობანი ამ საპროცესო ქმედების აღსრულებისას.

3. ექსპერტი მოვალეა, რათა გამოძიებულს საქსპერტო კვლევაზე დასწრების ნება დართოს. გამოძიებლის ნებართვით კი ამ პროცესს შეიძლება დაესწროს ბრალდებულიც.

4. ექსპერტი ვალდებულია უარი განაცხადოს ექსპერტიზის ჩატარებაზე, თუ ხელთ აქვს რსფსრ სსსკ 58-ე და 67-ე მუხლით, საქართველოს სსრ სსსკ 58-ე და 58-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველი. ამთგან ექსპერტის უარის საფუძველის თაობაზე განმარტებას მოითხოვს ორი რამ: საქმეში მონაწილეობა, როგორც სპეციალისტისა და ექსპერტის არაკომპეტენტურობის გამოვლენა.

კარგა ხანია მსჯელობის საგანია შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა ერთი და იგივე პირი საგამოძიებო საქმეში მონაწილეობდეს ერთდროულად როგორც სპეციალისტი და როგორც ექსპერტი. ერთობლივი ფუნქციის მოწინააღმდეგეთა აზრით, ეს გარემოება ხელს უშლის ექსპერტს ობიექტური დასკვნის გამოტანაში (ა. რ. შლიახოვი). სხვებს მიაჩნიათ, რომ საქმეში თავიდანვე მონაწილეობა მეტად სასარგებლოა საქსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად. მაგალითად, არაფერია ცუდი იმაში, რომ კრიმინალისტი, რომელიც გამოძიების დროს მონაწილეობდა დათვალიერებაში, თვითონვე არჩევს კვალს, უღარებს შემთხვევის ადგილის სხვა ვითარებებს და შემდეგ მათ გამოიყენებს საქსპერტო კვლევის პროცესში.

მიზანშეწონილი იქნება თუ რსფსრ სსსკ 67-ე მუხლიდან ამოვიღებთ „ვ“ პუნქტს; ანდა ამ ნორმაში ექსპერტ-კრიმინალისტიკისათვის დავუშვებთ გამონაკლისს, როგორც ეს გაკეთდა ექიმი-სპეციალისტების მიმართ სასამართლო მედიცინის სფეროში. საქართველოს სსრ და ჯოგის სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სპეციალისტისა და ექსპერტის ფუნქციათა შეთავსებას არ აღკვეთავს და ეს გარემოება არამც თუ ხელს უშლის, არამედ რამდენადმე განაპირობებს კიდევ ობიექტურობას და ექსპერტიზის დასკვნის საფუძვლიანობას.

5. ქვეკანონური აქტი კანონით გათვალისწინებულ ექსპერტის მოვალეობას ავსებს შემდეგით: დაადგინოს დანაშაულის ან კანონის დარღვევის სხვა შემთხვევის ხელისშემწყობი გარემოებანი, როგორც ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოს ამოცანის შესაბამისად, ისე საკუთარი ინციატივითაც.

კანონმდებელი ექსპერტს ანიჭებს შემდეგ უფლებებს:

1. უარი განაცხადოს გამოკვლევაზე, თუ საკითხი გასცდება სპეციალურ ცოდნას, ან მას-

ლები არასაკმარისია დასკვნის მისაცემად. ამგვარ შემთხვევაში ექსპერტი წერილობით აცნობებს ექსპერტის დასკვნას, რომ შეუძლია დასკვნის მიცემა.

კანონის ნორმა მოქმედებაში შედის, როცა დაწესებულების ხელმძღვანელი გაეცნობა მასალებს, ცნობს მათ საკმარისად ექსპერტის კომპეტენციის შესაბამისად და გადასცემს ექსპერტის ჩასატარებლად.

როცა საკითხი გაცდებდა სპეციალური ცოდნის ფარგლებს, ექსპერტები პრაქტიკულად არ სარგებლობენ გამოკვლევაზე უარის თქმის უფლებით, რადგან საკითხი, რომელიც სპეციალური ცოდნის გარეშე აღმოჩნდება, ეხება არა ექსპერტის პირად კომპეტენტურობას, არამედ ცოდნის იმ დარგს, რომელშიც ექსპერტი სპეციალისტად ითვლება.

როცა ხელმძღვანელი გაეცნობა სექსპერტულ შემოსულ მასალებს და დაადგინს, რომ ისინი ცოდნის ფარგლებს გარეშე დგანან, „დებულება -72“-ის შესაბამისად ექსპერტებისათვის გადაუცემლად უკანვე აბრუნებს.

2. რსფსრ სსსკ 82-ე მუხლი და საქართველოს სსრ სსსკ 78-ე მუხლი მიუთითებს, რომ ექსპერტი უფლებამოსილია:

— გაეცნოს საქმის იმ მასალებს, რომლებიც ექსპერტის საგანს ეხება;

— დასკვნის მიცემისათვის მოითხოვოს შუამდგომლობა აუცილებელი დამატებითი მასალების გასაცნობად;

— დაესწროს დაკითხვასა და საგამოძიებო თუ სასამართლო ქმედებას და დაკითხულს მისცეს შეკითხვები ექსპერტის საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ექსპერტის წარმოების დროს ექსპერტს უფლება ეძლევა სასამართლოზე მონაწილეობა მიიღოს საქმის ვითარების გამოკვლევაში, დაუსვას შეკითხვები სამართალში მიცემულს, დაზარალებულს და მოწმეებს. ეს უფლებები ექსპერტს სჭირდება იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს და დაადგინოს ექსპერტის ამოხვეული დებულებანი.

კანონმდებელი მასალის გაცნობას ზღუდავს იმისათვის, რომ ყოველივე ეს უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ექსპერტის საგანს. ექსპერტისათვის საჭირო მასალების შეცვლა დაკავშირებულია ექსპერტისა და მის გადასაწყვეტად აუცილებელი საკითხების კონკრეტულ ვითარებასთან. ასეთ მასალებს განეკუთვნება:

— კვლევის ობიექტები: კვალი, ნივთიერი მტკიცებანი, ნიმუში, შემთხვევის ადგილი;

— კვლევის ობიექტის შესახებ გამოძიების მიერ შეგროვილი მასალები;

— ცნობები ნივთიერი მტკიცების გამოვლენის შემთხვევათა პირობებსა და გარემოებებზე.

ექსპერტი უფლებამოსილია არამარტო გაეცნოს საქმის არსებულ მასალებს, არამედ ითხოვოს შუამდგომლობა დამატებითი მასალების მიღების თაობაზეც. ამისათვის კი აუცილებელია აგრეთვე დამატებითი საგამოძიებო (სასამართლო) ქმედება. ექსპერტი უფლებამოსილია მონაწილეობდეს მასში¹⁰.

3. აღრე ექსპერტს შეეძლო გაცდენოდა თავისი ამოცანის ფარგლებს და დაედგინა დამატებითი გარემოებანი თუ მისი აზრით ისინი საქმისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით კანონმდებელი ექსპერტს უფლებას ანიჭებს მის მიერ დადგენილი გარემოებანი მიუთითოს არა ცალკე დოკუმენტში, არამედ შეიტანოს თავის საკუთარ დასკვნაში.

4. თუ ექსპერტისას აწარმოებს რამდენიმე ექსპერტი, მათ უფლება აქვთ მოითათბირონ ამა თუ იმ საკითხზე.

ექსპერტის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა უფლებებიც: ექსპერტმა დასკვნა და ჩვენება უნდა მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ არ ფლობს იმ ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სასამართლო საქმისწარმოება, დაკითხვისას პასუხები გაცემს პირადად. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს სსრ სსსკ 198-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება ექსპერტის დაკითხვას, არ ითვალისწინებს პასუხის პირადად გაცემას, მაგრამ ეს

9 მართალია, საქართველოს სსრ სსსკ 73-ე მუხლი ექსპერტისაგან არ მოითხოვს წერილობით შეტყობინებას, მაგრამ ექსპერტები წერილობით ყოველთვის იტყობინებიან დასკვნის მიცემის შეუძლებლობის თაობაზე.

¹⁰ რსფსრ სსსკ-ის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში სწორადაა აღნიშნული, რომ მართალია, სსსკ-ში ლაპარაკია ექსპერტის „დასწრებაზე“, მაგრამ აქ იგულისხმება მისი მონაწილეობა, რადგანაც მას მინიჭებული აქვს შეკითხვის მიცემისა და შენიშვნის გაკეთების უფლება.

უფლება გამომდინარეობს საქართველოს სსრ სსსკ 158-ე მუხლიდან, რომელიც მოწმის დაკითხვას ენება.

5. ექსპერტი უფლებამოსილია ითხოვოს შუამდგომლობა, რათა სასამართლოზე მისი დასწრების დრო შემცირდეს. სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს იმ დროით, რაც დასჭირდება ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა გამოკვლევას და დასკვნის მიცემის შემდეგ ექსპერტი გაათავისუფლოს სასამართლოზე დასწრებისაგან (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1971 წლის 16 მარტის დადგენილება პ. 15).

6. გასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამოძიებლისა და მოკვლევის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება, თუ ის შეეხება ექსპერტის პირად ინტერესებს, ანდა ხელს უშლის მის უფლებამოსილებათა რეალიზაციას (რსფსრ სსსკ, მ. 22; საქართველოს სსრ სსსკ, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსსკ-ები, გარდა უზბეკეთის სსრ სსსს-ისა, რომელიც ამგვარ ნორმებს არ შეიცავს.)

ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირების ნაკლია საკმაოდ არსებითი განსხვავებანი სხვადასხვა რესპუბლიკების სსსკ-სა და სსკ-ს შორის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1971 წლის 16 მარტის პლენუმის დადგენილებამ მოგვცა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ-ს სასამართლო ექსპერტიზის მთელი რიგი ნორმების ერთგვაროვანი განმარტება და ზოგიერთ შემთხვევაში შეავსო კიდევ არსებული ხარვეზი.

სასამართლო ექსპერტიზა საჭიროებს სასამართლო ექსპერტიზის შესახებ ერთიანი საკავშირო კანონის დონეზე სამართლებრივ რეგულირებას. ამგვარი კანონის პროექტი თავის დროზე მოამზადა კიდევ სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა¹¹.

სამწუხაროდ, პროექტი ყოველთვის ვერ შეესაბამება პრაქტიკის მოთხოვნებს პრაქტიკოსებმა გააშუქეს ექსპერტიზის ჩატარების სამართლებრივი საკითხები, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების საექსპერტო დაწესებულების ამოცანების, ფუნქციების, მათი საქმიანობის წესის განსაზღვრის ცხად ფორმულირებას (რაზედაც წერდა კიდევ ზოგიერთი ავტორი) არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება.

ჩვენი აზრით, ყოვლისმომცველი ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის გადასაჭრელ ძირითად ამოცანათა დახასიათებას, საექსპერტო დაწესებულებათა სისტემას, ექსპერტიზის კლასიფიკაციას, სტანდარტიზაციის წესს, ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანოსა და საექსპერტო დაწესებულების ფუნქციებს. მოაწესრიგოს მმართველი სისტემისა და ექსპერტიზის ურთიერთობა, დაადგინოს ექსპერტიზის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხები და მოცულობა, გამოთვლელი მანქანებისა და სხვა ახალი მეთოდებისა და ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის წესები, დაწვრილებით განსაზღვროს საექსპერტო გამოძიების პროცესი, მათ შორის საკომისიო, განმეორებითი და კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევებში.

იმედი გვაქვს მეცნიერები კვლავაც გააგრძელებენ მუშაობას ამგვარი სრულყოფილი კანონის შესაქმნელად.

¹¹ Проект общественного нормативного акта о судебной экспертизе М., 1975 г.



საქართველოს სსრ პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები

ირინა აჟუბარდია,
ასპირანტი

1922 წლის 22 მარტს საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა გააუქმა მანამდე არსებული სასამართლო, საგამოძიებო და საპროკურორო ზედამხედველობის ინსტიტუტები და შექმნა ამ ორგანოთა ახალი სისტემა. იმავე წლის 11 ნოემბერს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა № 19 დადგენილებით დაამტკიცა დებულება „საქართველოს სსრ პროკურატურის შესახებ“, რომელიც საპროკურორო ზედამხედველობის მარეგულირებელი პირველი საკანონმდებლო აქტია საქართველოში¹.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად დებულებას საქართველოს სსრ პროკურატურის შესახებ საფუძვლად დაედო რსფსრ-ის 1922 წლის 28 მაისის დებულება „რსფსრ-ში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“, რომლის ძირითადი პრინციპი იყო ვ. ი. ლენინის ცნობილი სიტყვები: „კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისთვისაც კი“².

კანონიერებისადმი ზედამხედველობის განსახორციელებლად და დანაშაულთან ბრძოლის გასააქტიურებლად შექმნილი საქართველოს სსრ პროკურატურა შევიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. დებულებით პროკურატურას დაევა: ა) სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულებების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციისა და კერძო პირთა მოქმედების კანონიერებაზე; ბ) ყველა საგამოძიებო და მოკვლევის ორგანოს, აგრეთვე სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედებაზე უშუალო მეთვალყურეობა; გ) სასამართლოში ბრალდებაზე მხარდაჭერა და საკასაციო პროტესტის დაცვა საკასაციო ინსტანციაში. დ) მეთვალყურეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე.

საბჭოთა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მშენებლობის მაშინდელი პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს სსრ პროკურატურა დაარსდა რესპუბლიკური ორგანოს სახით. იმ პერიოდში ეს საეხებით ბუნებრივი იყო, რადგან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ჯერ კიდევ არ გაერთიანებულყო ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ³.

რესპუბლიკის პროკურორის სახით პროკურატურის სათავეში იდგა იუსტიციის სახალხო კომისარი. მას ჰყავდა თანაშემწეები, რომელთაც რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით ამტკიცებდა და უკან გამოიწვევდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს პროკურორები, რევოლუციური ტრიბუნალის პროკურორი, აჟა-

1 საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომი ვიზმართ მოკლედ — „საქართველოს სახელმწიფო არქივი“), ფ. 281, აღწერა 1, საქმე 12, გვ. 60.

2 იქვე, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 30, გვ. 5.

3 ვ. ი. ლენინი; თხზ., ტ. 33, გვ. 428.

4 Путкарадზე Я. В. — «Учреждение и развитие прокуратуры в Грузинской ССР», в кн.: «Проблемы прокурорского надзора», М., 1972 г. стр. 299.

რის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პროკურორები. მათ ნიშნავდა და უკან გააწვევდა საქართველოს სსრ პროკურორი. ¹

რსფსრ-ში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ 1922 წლის 28 მაისის დებულება თავის ქვემდებარე პროკურორებს ავალდებულებდა სამ თვეში ერთხელ წარედგინათ ანგარიში რესპუბლიკის პროკურორის და გუბერნიის აღმასკომისათვის. ამ მხრივ განსხვავებულია დებულება საქართველოს პროკურატურის შესახებ. იგი ავალდებულებდა ქვემდგომ პროკურორებს, რომ თავინათი მუშაობის შესახებ ანგარიში წარედგინათ მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორისათვის. თვითონ რესპუბლიკის პროკურორი კი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ყოველწლიურად მოახსენებდა როგორც თავისი, ისე ხელქვეითი პროკურორების მუშაობაზე. ამასთან, რსფსრ-ის დებულებით მხოლოდ პროკურორს ჰქონდა სამაზრო აღმასკომების სხდომებზე დასწრების უფლება. საქართველოს სსრ პროკურატურის შესახებ დებულებით კი ასეთი უფლებით აღჭურვილი იყო როგორც პროკურორი, ასევე მისი თანაშემწე. სწორედ ამიტომ აღნიშნავს პროფ. ა. ფალიაშვილი: დებულებაში „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ უფრო ზუსტად არის გატარებული პროკურატურის ორგანოთა ცენტრალიზაციისა და ადგილობრივი ორგანოებისაგან მათი დამოუკიდებლობის პრინციპიონი.

დებულებამ კონკრეტულად განსაზღვრა პროკურორების უფლებები და მოვალეობები, იგი ზუსტად არეგულირებდა, აგრეთვე, საერთო ზედამხედველობასა და ზედამხედველობას მოკვლევასა და გამოძიებაზე.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შედიოდა ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო-რევოლუციურ ტრიბუნალთან არსებული სამხედრო პროკურატურაც (ამასთან დაკავშირებით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 25 აპრილის № 38 დადგენილებით შესაბამისი დამატება შევიდა 1922 წლის 17 ნოემბრის დებულებაში)⁶. მას ევალდებოდა საოლქო პროკურატურის ყველა უფლებით განეხორციელებინა ზედამხედველობა ქართული მსროლელი დივიზიისა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებზე.

1924 წლის 22 სექტემბრის დებულებით — „კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ“⁷ ეროვნულ დივიზიებში შეიქმნა პროკურატურები. პროკურორის კანდიდატურას აქ ამტკიცებდა კავკასიის რევოლუციური სამხედრო საბჭო.

1924 წლის 19 აპრილს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებებისა და დამატების შესახებ“⁸, რომლითაც რესპუბლიკის პროკურორის უმცროს თანაშემწეს დაეკისრა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პროკურორის მოვალეობის შერულება. ამავე დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავდნენ და უკან გამოიწვევდნენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები (1922 წლის 11 ნოემბრის დებულება ამ უფლებას ანიჭებდა რესპუბლიკის პროკურორს).

დადგენილება აგრეთვე პირველად აწესებდა პროკურორის მონაწილეობას სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

136-ე მუხლის შესაბამისად შრომის საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში შეიქმნა შრომის საქმეთა პროკურორის თანამდებობა, რომელსაც რესპუბლიკის პროკურორი ნიშნავდა შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. შრომის საქმეთა პროკურორი ემორჩილებოდა უშუალოდ რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს, რომლის თანამდებობაც უზენაეს სასამართლოში დაწესდა. შრომის საქმეთა პროკურორის უფლებამოსილება განსაზღვრა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1924 წლის 25 სექტემბრის დადგენილებამ „შრომის საქმეთა პროკურა-

⁵ Палиашвили А. Я. — «Развитие законодательства о прокурорском надзоре в Грузии», в журн.: «Социалистическая законность», 1972, № 1, стр. 26.

⁶ საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 85, გვ. 21.

⁷ ვაჭეთი „კომუნისტი“, 1924 წ. 24 ოქტომბერი, № 244.

⁸ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1924 წ. № 1, თბ., 1925 წ.

ტურის შესახებ⁹ და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ 1930 წლის 21 ივლისს დამტკიცებულმა ახალმა დებულებამ „შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“¹⁰.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დროს საქართველო დაყოფილი იყო მაზრებად და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მისი აღმასკომები წარმოადგენდნენ. რსტსრ-ში მაზრის აღმასკომის გარდა არსებობდა აგრეთვე საგუბერნიო აღმასკომიც და მათი შესაბამისი პროკურატურები ამართლებდნენ კიდევ თავიანთ დანიშნულებას. ჩვენს რესპუბლიკაში მაზრის პროკურორის თანაშემწეებთან ერთად მოქმედებდნენ ოლქის პროკურორებიც და ეს მაშინ, როდესაც ჩვენთან ოლქის აღმასკომები არ არსებობდა, ოლქის პროკურორის თანამდებობის და სახელწოდების შენარჩუნება კი გამოწვეული იყო უმთავრესად ოლქის სასამართლოების არსებობით.

1927 წლის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურას ეწოდა აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოს პროკურატურა. მის შემადგენლობაში შევიდნენ: პროკურორი, მისი მოადგილე, პროკურორის ექვსი თანაშემწე, ერთი მდივანი, მდივნის ორი თანაშემწე, ერთი საქმის მწარმოებელი, ერთი რეგისტრატორი და ორი მემანქანე. დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურა დაერქვა დასავლეთ საქართველოს პროკურატურასაც და იგი შემდეგი შემადგენლობით განისაზღვრა: პროკურორი, პროკურორის სამი თანაშემწე, ერთი მდივანი, მდივნის ერთი თანაშემწე, ერთი საქმის მწარმოებელი, ერთი რეგისტრატორი და ერთი მემანქანე. რესპუბლიკის პროკურორის ი. ვარძიელის № 17 ბრძანებით (1927 წ. 7 თებერვალი) პროკურორის თანაშემწეებს მაზრაში და ქალაქის უბნებში დაერქვათ მაზრისა და ქალაქის უბნის პროკურორები.

საკანონმდებლო წესით მაზრის პროკურატურა ჩამოყალიბდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 31 ოქტომბრის № 90 დადგენილებით — „საქართველოს სსრ-ში საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოების და სამაზრო პროკურატურის დაარსების შესახებ“¹¹. ამ დადგენილებით გაუქმდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურათა ორგანოები და მათ ნაცვლად დაწესდა სამაზრო პროკურატურები.

სამაზრო პროკურატურის შექმნა პროკურატურის ორგანოთა ცენტრალიზაციის ერთ-ერთი ეტაპია. ოლქის სასამართლოების გაუქმებამდე მაზრისა და უბნის პროკურატურას და რესპუბლიკის პროკურატურას შორის მოქმედებდა ოლქის პროკურატურა, რაც, ცხადია, ხელს უშლიდა პროკურატურის ერთიანი ორგანოების ჩამოყალიბებას. მხოლოდ ოლქის სასამართლოს პროკურატურის გაუქმების შემდეგ დაეკისრა მაზრის პროკურორს ოლქის სასამართლოს პროკურორის ფუნქციები როგორც საერთო, ისე სასამართლო ზედამხედველობის დარგში. ამ რეფორმით მნიშვნელოვნად გაიზარდა მაზრის პროკურორის უფლებამოსილება და მას უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭა. ამით რესპუბლიკის პროკურატურას მეტი შესაძლებლობა მიეცა მტკიცე ხელმძღვანელობისა და ინსტრუქტირებისათვის.

ამრიგად, საპროკურორო სისტემის ძირითადი რგოლი გახდა სამაზრო პროკურატურა, რამაც მნიშვნელოვნად დაახლოვა პროკურატურის ორგანოები მასებთან და შექმნა საპროკურორო ზედამხედველობის უფრო ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობა.

საქართველოს სსრ პროკურატურის განვითარების შემდგომი ეტაპია მისი გამოყოფა იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან, რაც განხორციელდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 17 იანვრის № 61 დადგენილებით — „იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“¹².

პროკურატურის ორგანოთა ორგანიზაციული მოწესრიგებისათვის საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ 1930 წლის 21 თებერვალს დაამტკიცეს დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის შესახებ¹³. ამ დებულებით

⁹ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის, თბ., 1924 წ. № 54 გვ. 38-40.

¹⁰ საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 1551-ა, გვ. 356.

¹¹ საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 388, გვ. 65.

¹² საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის, თბ., 1930 წ. № 7, გვ. 161-169.

¹³ იქვე, 1930 წ., № 9, გვ. 217-222.

საქართველოს სსრ პროკურატურა დაექვემდებარა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. პროკურატურის სათავეში იდგა რესპუბლიკის პროკურორი, რომელსაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევდა.

რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველო შედგებოდა: ა) საერთო, ბ) საერთო ზედამხედველობის, გ) სასამართლო ზედამხედველობის, დ) გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოთა, აგრეთვე საპატიმრო ადგილების ზედამხედველობის, ე) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა ზედამხედველობისა და ვ) შრომის საქმეთა ზედამხედველობის განყოფილებებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი განყოფილებების შექმნა პირველი დებულებით არ იყო გათვალისწინებული.

რესპუბლიკის პროკურორს ჰყავდა თანაშემწეები, რომლებსაც რესპუბლიკის პროკურორის წარდგინით ამტკიცებდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. სამმართველოს პროკურორებს კი ნიშნავდა და ითხოვდა თვითონ რესპუბლიკის პროკურორი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორებსაც რესპუბლიკის პროკურორი ნიშნავდა და ისინიც უშუალოდ მას ემორჩილებოდნენ.

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით თბილისში შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისში დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურათა სამმართველოები.

ახალი დებულებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურას დაეკისრა: ა) ზედამხედველობა სახელმწიფოს სახელით ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციისა და კერძო პირების მოქმედების კანონიერებაზე. დამნაშავეს წინააღმდეგ იგი აღძრავდა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წესით დევნას და გააპროტესტებდა კანონით დადგენილი წესით ყველა ისეთ დადგენილებას, ბრძანებას, ციკულიარს და განკარგულებას, რითაც კანონი იქნებოდა დარღვეული (აღსანიშნავია, რომ პირველ დებულებაში განსაზღვრული არ იყო პროკურორის მიერ ზედამხედველობის განხორციელებისას გამოყენებული სამართლებრივი საშუალებები), ბ) უშუალო ზედამხედველობა, ინსტრუქტირება და ხელმძღვანელობა გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოს მუშაობაზე. იგი თვალყურს ადევნებდა აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა საქმიანობას. (პირველი დებულებისაგან განსხვავებით ახალი დებულება ზედამხედველობასთან ერთად ითვალისწინებდა გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოთა ხელმძღვანელობასაც), გ) თვალყური ედევნებინა განაჩენის აღსრულებისა და პატიმრობის კანონიერების, აგრეთვე საპატიმრო ადგილების მუშაობაზე (ახალი დებულება უფრო აკონკრეტებდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პროკურორის ზედამხედველობას).

დებულება ავალბებდა რესპუბლიკის პროკურორს, რომ განხორციელებინა დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია, საზოგადოებრივ საწყისებზე შეეკმნა პროკურატურის დამხმარე უჯრედები და ხელმძღვანელობა გაეწია მათთვის, დაეწესებინა მეთვალყურეობა დამცველთა კოლეგიებისა და იურისკონსულტთა მუშაობისათვის. რესპუბლიკის პროკურორს მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

როგორც ვხედავთ, ახალი დებულება უფრო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებდა პროკურატურის ორგანოებს და აკონკრეტებდა მის ამოცანებს.

საქართველოს სსრ პროკურატურა დამოუკიდებლად 1933 წლამდე არსებობდა. ამ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი საქმიანობა, გატარდა პროკურატურის ორგანოთა ცენტრალიზაციისა და დამოუკიდებლობის პრინციპი, გაძლიერდა ქვემდგომი პროკურატურის ხელმძღვანელობა, აღმოიფხვრა პარალელიზმი სახელმწიფო ორგანოთა მუშაობაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1933 წლის 4 იანვარს მიიღეს დადგენილება იუსტიციის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ¹⁴.

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გააერთიანა სასამართლო ორგანოები, საგამოძიებო აპარატი და პროკურატურა. ეს მოითხოვა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში

13 იქვე, 1930 წ., № 9, გვ. 217-222.

14 საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულო, თბ., 1953 წ. № 4, გვ. 119-120.

4. „საბჭოთა სამართალი“, № 3



რევოლუციური კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობით.

პროკურატურის ორგანოთა შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო სსრ კავშირის პროკურატურის შექმნამ (1933 წლის 20 ივლისი). პირველი დებულება სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ დამტკიცდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1933 წლის 17 დეკემბრის დადგენილებით. ამ დებულებით სსრ კავშირის პროკურატურის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურათა საქმიანობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა. საქართველოს სსრ პროკურატურა სხვა რესპუბლიკების პროკურატურების მსგავსად ამ დროს შედიოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში და თავისთავად ორმაგ დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, იგი ექვემდებარებოდა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ხოლო მეორე მხრივ, სსრ კავშირის პროკურატურას.

პროკურატურის განვითარების შემდგომი ეტაპი გახდა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შექმნა და მისი სისტემიდან საპროკურორო და საგამომიებო ორგანოების გამოყოფა, რაც სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 ივლისის დადგენილებამ დააქანონა¹⁵. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ 1936 წლის 9 აგვისტოს მიიღეს დადგენილება № 139 — „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემიდან საპროკურორო და საგამომიებო ორგანოების გამოყოფის შესახებ“¹⁶.

ამრიგად, პროკურატურის ორგანოები კვლავ დამოუკიდებელ ორგანოებად ჩამოყალიბდნენ და უშუალოდ სსრ კავშირის პროკურატურას დაექვემდებარნენ. ამან შემდგომში თავისი ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში.



¹⁵ «Советская прокуратура в важнейших документах», М., 1956 г., стр. 423 — 424.

¹⁶ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის, თბ., 1936 წ. № 23.



თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები

რენე ღავილი

1967 წელს განმეორებული „პროგრესი“ რუსულ ენაზე გამოცდა რენე ღავილის ნაშრომი „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“.

პარზის უნივერსიტეტის პროფესორის, „ფილანთროპიის სამართლის-მცოდნეობის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საპატიო პროფესორის ეს წიგნი მსოფლიოში მოქმედი სამართლებრივი სისტემების ერთ მონობა-ფიგურს ასახავს პირველი და ერთადერთი ცდაა.

კონტინენტური, ინგლისის, ამერიკული, სოციალისტური, აზიისა და აფრიკის ძველების მართლშეგნების, სამართლებრივი დაწესებულებების საშინაოების ანალიზით ავტორი თანამედროვე იურიდიული სამართალს ფართო კანონიერებას გვთავაზობს.

მიუხედავად არსებითი ხასიათის მეთოდოლოგიური ნაკლებობებისა, ნაშრომს უდავო უმნიშვნელო ღირებულება გააჩნია. გრანდიოზული მასალის ორიგინალური გააზრების და მისი ოსტატურად გადმოცემის წყალობით წიგნმა ფართო აღიარება ჰპოვა. იგი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ავსტრალია, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ შრომითობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია მართულ ენაზე გამოცდაცემად აწარმოებს ამ წიგნს, რომელიც თარგმანს იურიდიულ მნიშვნელობათა კანდიდატმა თედო ნინიძემ. გთავაზობთ ნაწყვეტებს წიგნის შემავლიდან.

* * *

სამართლებრივი სისტემების ოქსანებად დაჯგუფება. მსოფლიოს ყოველ პოლიტიკურ საზოგადოებას თავისი საკუთარი სამართალი აქვს. გარდა ამისა, არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე სახელმწიფოში რამდენიმე სამართლებრივი სისტემაა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში ფედერალური სამართლის გვერდით არის ცალკეული შტატების, მამულების ან კანტონების სამართალი. სამართლის სიმრავლე მხოლოდ ფედერაციული სახელმწიფოებისთვის როდია დამახასიათებელი: ძველ საფრანგეთში კუტიუმების უამრავი რაოდენობა იყო, კატალონიასა და არაგონში ესპანეთის საერთო სამართლის გვერდით პარტიკულარული სამართალი არსებობდა; ინგლისში შოტლანდიური სამართალი განსხვავდებოდა ინგლისურისაგან.

მათ წინაშე, ვინც თავისი ქვეყნის იურისტების ყურადღებას სხვა სახელმწიფოთა სამართლისაკენ მიაპყრობს, სამართლებრივი სისტემების ამგვარი მრავალფეროვნება, ერთი შეხედვით, გადაუჭრელ პრობლემებს აყენებს; მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ამოცანას ამარტივებს. პარტიკულარული სამართლებრივი სისტემების მრავალფეროვნების მიუხედავად, სამართალში, ისე როგორც სხვა მეცნიერებათა სფეროში, შეიძლება რამდენიმე ზოგადი კატეგორია გამოიყოს და მათი დახმარებით ეს სისტემები დაჯგუფდეს. ისე როგორც თეოლოგი ან პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტი გამოყოფს რელიგიის ცალკეულ ტიპებს (ქრისტიანობას, ისლამს, ბრამანიზმს, ბუდიზმს, ფუტიზმს) ან მმართველობის რეჟიმის სხვადასხვა სახეს (მონარქიის, ოლიგარქიის, დემოკრატიის — პარლამენტურს ან სა-



პრეზიდენტოს), კომპარატივისტს შეუძლია დააჭაფუფოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა, დაიყვანოს ისინი რამდენიმე სამართლებრივ ტიპამდე.

ეს რამდენიმე ტიპი ზოგჯერ სამართლის სისტემად იწოდება. ტერმინი ცოტა მოუხერხებელია, რადგან მისი გამოყენება უმჯობესია სხვა გაგებით. კერძოდ, დარგების კომპლექსების აღნიშვნისათვის, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში ეროვნულ სამართლს ქმნიან. ჩვენი აზრით, უფრო მოხერხებულია, თუმცა ნაკლებად იყენებენ გამოთქმას: სამართლებრივ სისტემათა ოჯახი.

სამართლის მუდმივი და ცვალებადი ელემენტები. მაინც როგორია სამართლებრივ სისტემათა სხვადასხვა ოჯახები თანამედროვე მსოფლიოში? ამ კითხვავ პასუხის გაცემა შეიძლება თუკი ის კრიტერიუმები დავუხსტდებთ, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ კლასიფიკაციას. მაგრამ შედარებითი სამართალი ახალგაზრდა მეცნიერებაა და კომპარატივისტებმა; სამწუხაროდ; დღემდე ვერ შეძლეს იმის განსაზღვრა, თუ სამართლებრივი სისტემების ოჯახებად დაჯგუფებისათვის რომელი ელემენტები ჩათვალონ არსებობდა.

მოცემული საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალი წერტილი სამართლის ცნების ანალიზში უნდა ვეძიოთ. საკითხი ცოტა არ იყოს ბუნდოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ თვით სამართლის განსაზღვრებაში არ არის მიღწეული ერთიანობა, თუმცა აზრთა სხვადასხვაობასთან ერთად, პოზიციების საერთო, სოლიდური საწყისი მაინც არსებობს. უფრო მეტიც, უთანხმოება შეეხება იმ თვისებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს მოცემულ წესს, რათა იურიდიულ ნორმად იქცეს. მაგრამ სამართალი, ფართო გაგებით, არ არის მხოლოდ ეპოქისა და ქვეყნების მიხედვით ცვალებად ნორმათა ერთობლიობა. ამის დასტურა სამართლის მემკვიდრეობითობის ჩვენი გაგება, საიდანაც გამოვდივართ ხოლმე სამართლის სწავლებისას.

ფრანგული სამართალი მისი შემცველი ნორმების მუდმივი ცვლილებების გზით ვითარდება და ევოლუციას განიცდის; მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ იგი თავისთავადობას კარგავს. სამართალი, სტუდენტებს რომ ვასწავლით, თავისი შინაარსით ბევრად განსხვავდება სამართლისაგან, რომლის გამოყენება მათ ათი ან ოცი წლის შემდეგ მოუწევთ. ზოგჯერ მთელი დისციპ-

ლინებიც კი, დღეს რომ ვასწავლით, ზოგერთი სტუდენტისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი არ არის მის მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგრამ საერთო განათლება, რასაც სტუდენტს ვაძლევთ, სასარგებლოა — იგი ჩამოაყალიბებს იურისტს, რომელსაც პროფესიული მოღვაწეობის პერიოდში ფრანგული სამართლის ნებისმიერ საკითხში გარკვევის უნარი ექნება.

ჩვენი სამართლის მემკვიდრეობითობა, რაც საგრძნობია მისი ნორმების ცვლილებათა მიუხედავად (და რასაც სამართლის სწავლების შესაძლებლობა ემყარება), გვიჩვენებს, რომ თითოეულ სამართლებრივ სისტემაში არსებობს რაღაც სხვა, გარდა მოცემულ ქვეყანასა და გარკვეულ ეპოქაში მოქმედი ნორმებისა.

რა სამართლებრივი ოჯახები არსებობენ მსოფლიოში ამჟამად?

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახი. პირველ ოჯახს (მასში შედის ფრანგული სამართალიც) რომანულ-გერმანული შეიძლება ეწოდოს. ეს ოჯახი იმ ქვეყნებს მოიცავს; სადაც იურიდიული მეცნიერება რომაული სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბდა. აქ წინა პლანზე წამოწეულია სამართლის ნორმები, რომლებიც განხილვებთან, როგორც სამართლიანობისა და მორალის მოთხოვნების შესაბამისი ქცევის ნორმები. აღნიშნული ნორმების განსაზღვრა იურიდიული მეცნიერების ძირითადი ამოცანაა; ამ ამოცანით გატაცებული დოქტრინა ნაკლებად ინტერესდება მართვის, მართლმსაჯულების განხორციელებისა და სამართლის გამოყენების საკითხებით; ამ საქმით დაკავებულია სასამართლო პრაქტიკა, მმართველობის ორგანოები და იურისტი პრაქტიკოსები. ისტორიული მიზეზების გამო სამართალი მოქალაქეთა შორის ურთიერთობის რეგულირების საშუალებაა; სამოქალაქო სამართალი თან შედარებით სხვა დარგები მოგვიანებით დამუშავდა და ნაკლებად სრულყოფილია, იგი კვლავ რჩება იურიდიული მეცნიერების საფუძვლად.

რომანულ — გერმანული სამართლებრივი სისტემების ოჯახი ევროპაში შეიქმნა. იგი ჩამოყალიბდა ევროპული უნივერსიტეტების ძალისხმევით, რომლებმაც XII საუკუნიდან ისპოლიტოლოგი, იმპერატორ იუსტინიანეს კოდეფიკაციის ბაზაზე შეიმუშავეს და განავითარეს ყველა სათვის საერთო, თანამედროვე

1 ამ მიზეზით, თუ არა ხუმრობად, სხვანაირად ვერ მივიღებთ კიოხმანის მრავალგზის ციტირებულ გამოთქმას: „კანონმდებლის სამი თეკები მაკულატურად იქცეს“.

მსოფლიოს პირობებს ფეხაწყობილი იურიდიული მეცნიერება. ტერმინი „რომანულ-გერმანული“ იმიტომ შეიარჩა, რომ თავისი წილი მიეწოდოთ ლათინური და გერმანული ქვეყნების უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად გაწეული შრომისათვის. რომანულ-გერმანული სისტემა გავრცელდა დიდ ტერიტორიაზე, სადაც აშუამად მოქმედებენ ამ სამართლებრივი ოჯახის ან მისი მონათესავე სამართლებრივი სისტემები. ამასთან ერთად, ხდებოდა მისი ნებაყოფლობითი რეცეფციაც, რის შედეგად რომანულ-გერმანულ სისტემას მთელ რიგ ისეთ ქვეყნებში ვხვდებით, სადაც ევროპელებს არ უბატონიათ, მაგრამ შეადწინეს ევროპულმა იდეებმა, ან არსებობდა პროდასავლური ტენდენციები. ევროპის გარეთ რომანულ-გერმანული ოჯახის სამართლებრივმა სისტემებმა ზოგიერთი სპეციფიკური თვისება შეიძინეს, რომლებიც სოციოლოგიური თვალსაზრისით შიანც ითხოვენ. სხვადასხვა ქვეყანაზე დაყოფას. ევროპული სამართლის „შეთვისება“ ბევრ ქვეყანაში შეძლეს, მაგრამ რეცეფციამდე ყველა მათგანში არსებობდა თვითმყოფადი ცივილიზაცია ქვეყნის შეფასების საკუთარი წესებითა და ადგილობრივი ინსტიტუტებით. ზოგიერთ ადგილობრივ ინსტიტუტს რეცეფცია არ შეეხებია. ეს ცხადად ჩანს მუსულმანური ქვეყნების მაგალითზე. აქ ევროპული სამართლის რეცეფცია და რომანულ-გერმანული სამართლებრივ ოჯახთან შეერთება ხშირად მხოლოდ ნაწილობრივი იყო: სამართლებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული ნაწილი კვლავ მუსულმანური სამართლის პრინციპებით რეგულირდებოდა. მეორე მხრივ, ადრინდელი წესები სამართლის გამოყენებაზე უფრო განსხვავებულ გავლენას ახდენენ, ვიდრე ევროპაში. ეს საკითხი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სინამდვილეში სპეციალურ შესწავლას ითხოვს, რადგან დასავლური სამართლის რეცეფციამდე აქ არსებობდა ძველი და მდიდარი ცივილიზაცია.

რაც შეეხება აფრიკის და ამერიკის ქვეყნებს, იბადება კითხვა, ევროპელებისაგან სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ პირობებს (სივრცეს და დასახლებას) ზომ არ გამოუწვევიათ სამართლებრივი სისტემების მკვეთრი განსხვავება?

სამართლ სამართლის ოჯახი საერთო სამართალს, ინგლისის სამართალს და ინგლისური ნიშნის მიმდევარი ქვეყნების სამართალს მოიცავს. ამ სამართლისათვის დამახასიათებელია რომანულ-გერმანული ოჯახის

ხის ყოველი სისტემისაგან განსხვავებული თვისებები. ხეერთო სამართალი შექმნა მოსამართლეების მიერ, რომლებიც ცალკეულ პირებს შორის დავებს წყვეტდნენ. მოცემულ სამართლებრივ სისტემას დღემდე თავისუფლების ბეჭედი ახის. საერთო სამართლის ნორმა ნაკლებად აბსტრაქტულია და მიმართულია არა მომავალი ქვეყნის წესის ზოგადი ფორმულირებისაკენ, არამედ კონკრეტული პრობლემის გადაჭრისაკენ. ამ ქვეყნების იურისტების თვალსაზრისით, ნორმებს, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელებას, სასამართლო პროცესს, მტკიცებულებებს და თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას ეხება, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ნორმებს, რომლებიც მატერიალურ სამართალს წარმოადგენენ; მათი ძირითადი საზრუნავი სტატუს-კვოს დაუყოვნებლივ აღადგენა და არა სოციალური წესრიგის საფუძვლების დამკვიდრება. დაბოლოს, საერთო სამართალი თავისი წარმოშობით სამეფო ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული. საკუთარი განვითარებისათვის ბიძგს იგი მაშინ იღებდა, როცა ქვეყანაში საფრთხის ქვეშ იდგა წესრიგი, ან მაშინ, როცა რაიმე მნიშვნელოვანი გარემოებანი მეფის ხელისუფლების ჩარევას ითხოვდნენ ან ამართლებდნენ მას. ასეთ შემთხვევებში იგი საჯარო სამართლის თვისებებს იძენდა, რადგან კერძო ხასიათის დავები მოსამართლეებს მხოლოდ იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც ისინი ტახტის ან სამეფოს ინტერესებს ეხებოდნენ. საერთო სამართლის ფორმირების და განვითარების დროს სამოქალაქო სამართალზე დაფუძნებული რომანული სამართალი მეტად შეზღუდულ როლს თამაშობდა. საერთო სამართლის კლასიფიკაციაში, მისი კონცეფციები და ამ ფორმაციის იურისტების ლექსიკონი სულ სხვაა, ვიდრე რომანულ-გერმანული ოჯახის სამართლებრივი სისტემებისა.

ისევე, როგორც რომანულ-გერმანული ოჯახის სამართალმა, საერთო სამართალმაც, იგივე კოლონიზაციის ან ნებაყოფლობითი რეცეფციის გამო, გარკვეულ პერიოდში ფართო გავრცელება პოვა მსოფლიოში. ამგვარად, თავის მნიშვნელობას აქაც ინარჩუნებენ ის მოსაზრებები, რაც რომანულ-გერმანულ ოჯახთან დაკავშირებით გამოითქვა; შეიძლება განვასხვაოთ ევროპული საერთო სამართალი (ინგლისი, ირლანდია) გარეევროპულიდან. ევროპის გარეთ (მაგალითად, ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში ან ინდოეთში) საერთო სამართალი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა ათვისებული. აქ მნიშვნელო-



ვანია ის შედეგი, რაც საერთო სამართლის გამოყენებამ გამოიწვია სხვა ცივილიზაციის ტრადიციებთან მისი თანაარსებობის პირობებში. გარემოს სხვაობას შეუძლია დიდი ცვლილება გამოიწვიოს ადგილობრივ სამართალსა და იმპორტირებულ სამართალს შორის. საერთო სამართალი ამის ნათელ მაგალითს იძლევა. საერთო სამართლის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ ან კანადა, მრავალ ასპექტში ინგლისურისაგან განსხვავებული კულტურა ჩამოყალიბდა. ამიტომ ამ ქვეყნების სამართალმა საერთო სამართლის ოჯახის ჩარჩოებში ფართო ავტონომია მიიღო.

პაპშირი ორ ოჯახს შორის. რომანულ-გერმანული სამართლის და საერთო სამართლის ქვეყნებს ასეთი წლების მანძილზე ხშირი კონტაქტები ჰქონდათ. ამ ორი ოჯახის სამართლებრივ სისტემებს შორის, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, დაახლოების ტენდენცია შეიმჩნევა, რაც გარკვეულ საკითხებში უკვე საკმარისადაც შეიძლება ჩაითვალოს იმისთვის, რომ ვილაპარაკოთ ორი ოჯახის — რომანულ-გერმანულ და საერთო სამართლის ჯამერთიანებელ დასავლური სამართლის დიდ ოჯახზე.²

საერთო სამართალი ინარჩუნებს რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ საკუთარ სტრუქტურას. მაგრამ განუწყვეტლივ უახლოვდებიან ერთმანეთს მათ მიერ გამოყენებული მეთოდები. როგორც საერთო სამართლის, ისე რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში, სულ უფრო და უფრო ერთნაირად ესმით სამართლის ნორმა. აქედან გამომდინარე, არსებითად, ორივე სამართალში მრავალ საკითხზე ერთსა და იგივე სამართლებრივ იდეებზე დამყარებულ ერთმანეთის მსგავს გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

დასავლური სამართლის ერთიან ოჯახზე საუბრის სურვილს ის გარემოება უფრო აძლიერებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არის ისეთი სამართლებრივი სისტემები, რომლებმაც ბევრი რამ მითვისეს როგორც ერთი, ისე მეორე სამართლებრივი ოჯახისაგან. ასეთ შერეულ სამართლებრივ სისტემებად შეიძლება ჩავთვალოთ შოტლანდიური სამართალი, ისრაელის, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის, კვებეკის პროვინციის, ფილიპინების სამართალი. რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ოჯახები სოციალისტური ქვეყნების ბანაკის იურისტების მიერ ხშირად

ერთიანდება ზოგადი ტერმინით „ბურჟუაზიული სამართალი“.

სოციალისტური სამართლებრივი სისტემები შეადგენენ მესამე სამართლებრივ ოჯახს და განსხვავდებიან პირველი ორისაგან. იმ ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, რომლებიც ამჟამად სოციალისტურ ბანაკში შედიან, წინათ რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახს მიეკუთვნებოდნენ. მათ ბევრი ის თვისება შეინარჩუნეს, რაც ზემოთ შევნიშნეთ, როცა სამართლის რომანულ-გერმანულ ოჯახზე ვლაპარაკობდით. სამართლის ნორმა იქ ყოველთვის გაიგებოდა როგორც ქცევის ზოგადი ნორმა; ევროპული უნივერსიტეტების გარკვეულ მნიშვნელოვანწილად შენარჩუნდა რომანულ სამართალზე დაფუძნებული იურიდიული მეცნიერების მიერ შექმნილი სამართლის სისტემა და იურიდიული ტერმინოლოგიაც.

მაგრამ ზოგიერთ მსგავსებასთან ერთად სოციალისტური ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს სამართლის რომანულ-გერმანულ ოჯახთან შედარებით ისეთი თავისებურებებიც გააჩნია, რომელთა გამო სოციალისტური სამართლებრივი სისტემები კანონზომიერია ჩაითვალოს, რასაც ერთობ საფუძვლიანად აკეთებენ კიდევ სოციალისტური ქვეყნების იურისტები, რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახისაგან გამოცალკევებულ, დამოუკიდებელ სამართლებრივ ოჯახად.

სოციალისტური სამართლებრივი სისტემების ორიგინალობა კონკრეტულად მათთვის ჩვეულ რევოლუციურ ხასიათში ვლინდება. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემების, ცოტა არ იყოს, სტატკური ბუნების საპირისპიროდ, სოციალისტური ქვეყნების იურისტების მიზანი არსებული წეს-წყობილების კონსერვაცია კი არ არის, არამედ საზოგადოების გარდაქმნა და ახალი წეს-წყობილებისათვის ისეთი პირობების შექმნა, როცა გაქრება სახელმწიფო და სამართალი. სოციალისტური სამართლის ძირითადი წყარო არის კანონმდებლის საქმიანობა, რომელსაც კომუნისტური პარტია წარმართავს და ხალხის ნებას გამოხატავს. ამასთან, იურიდიული მეცნიერება არ განიხილება როგორც ახალი წეს-წყობილების შექმნის ძირითადი საშუალება. როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი

² R. David, Existe-t-il un droit occidental? ob. Hessel E. Intema Twentieth Century Comparative and Conflicts Laue, 1961.

ამბობს, სამართალი მჭიდრო და მოკიდებულდება შიდა გაბატონებულ ეკონომიკურ პირობებთან. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოქალაქეთა შორის ურთიერთობის სფერო ადრინდელთან შედარებით შევიწროებულია, კერძო სამართალმა დაკარგა თავისი უპირატესობა, ყველაფერი საჭარო სამართლის სფეროში მოექცა. ეს მითუმეტეს სწორია, როცა ახალი კონცეფცია სამართლის სფეროდან იღებს ნორმათა მთელ სერიას, რომელიც ბურჟუაზიული ქვეყნების ავტორების აზრით, სამართლებრივ ნორმებად ითვლებიან.

სოციალისტური სისტემების სამართლებრივი ოჯახი საბჭოთა კავშირში დაიბადა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ახალი სამართალი განვითარდა. საბჭოთა სამართლისაგან აუცილებელია განვასხვაოთ ევროპის სახალხო რესპუბლიკებისა და აზიის სახალხო რესპუბლიკების სამართლებრივი სისტემები, რომლებიც დამოუკიდებელ ჯგუფებს ქმნიან. ეს სამართლებრივი სისტემები განეკუთვნებიან სოციალისტურ სამართლებრივ ოჯახს, მაგრამ პირველ ჯგუფს ზოგიერთი მხავსება ახასიათებს სამართლის რომანულ-გერმანულ ოჯახთან, ხოლო რაც შეეხება მეორე ჯგუფს, აქ უნდა გაირკვეს, თუ როგორ ეთანხმებიან ახალი კონცეფციები იმ ცივილიზაციის პრინციპებს, რომლებიც აქ სოციალიზმის ეპოქამდე ბატონობდნენ.

ფილოსოფიური ან რელიგიური სისტემები. სამი სამართლებრივი ოჯახი, რომლებიც წმინთ ჩამოვთვალეთ და თითოეული საკმაოდ მრავალრიცხოვან ვარიანტებს მოიცავს, თანამედროვე მსოფლიოში არსებული უთუოდ ძირითადი სამართლებრივი ოჯახებია. ისინი გავრცელებულია მსოფლიოში და არ არსებობს არცერთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც ერთ-ერთი ოჯახისაგან ამა თუ იმ ელემენტს არ სესხულობდეს.

მითითებულ სამ სამართლებრივ ოჯახთან ერთად უნდა აღინიშნოს ზოგიერთი სისტემები, რომლებიც რელიგიური ან ფილოსოფიური ხასიათის უფროა, ვიდრე იურიდიულისა და რომელთა მიხედვითაც მრავალ ქვეყანაში, მთლიანად ან ნაწილობრივ, ადამიანთა ურთიერთობები რეგულირდება. ეს სისტემები არ ქმნიან ოჯახებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისინი ერთმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი არიან და არც ერთი მათგანი არ მოიცავს რამდენიმე ეროვნულ სისტემას, სამართალს თუ წარმოადგენენ, ხსენაც საეკლესიო. ყველას მათ არა, მათ უმრავლესობას მაინც, აქცენტი წმინდა წესის მოვალეობებზე გადააქვს და არცერთ

მათგანში არ მოიპოვება უფლების ცნება. ამ სისტემებში ტერმინი „სამართალი“ გამოიყენება უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო.

მიუხედავად ამისა, იგი ფართოდ და რაიმე გართულებების გარეშე ყოველდღიურ პრაქტიკაში მაინც გამოიყენება, რადგან ნორმების კომპლექსი, რომელსაც ეს სისტემები შეიცავენ, აგრეთვე მათთვის დამახასიათებელი ცნებები და ტერმინი, ამ სისტემის მომხრეთა აზრით, ასრულებენ იმ როლს, ჩვეულებრივ, სამართალს რომ აკისრია ხალხში.

ამ სისტემებს შორის უმნიშვნელოვანესია მუსულმანური სამართლის სისტემა. მუსულმანური სამართალი მხოლოდ რომელიმე მუსულმანური სახელმწიფოს სამართალი როდია, ისლამის რაოდენ ერთგულიც არ უნდა იყვნენ მისი გამგებლები თუ მოსახლეობა. ქრისტიანთა კანონიკური სამართლის ან იუდაიზმის მსგავსად, იგი განიხილება, როგორც ისლამის აღმსარებელ მორწმუნეთა საზოგადოების სამართალი; ეს იმდენად სამართალი არ არის (თუმცა კი ცდილობს, რომ სამართალი შეცვალოს), რამდენადაც ნორმების ჯამი, რომელთა ობიექტი მუსულმანურ რელიგიურ დოგმებზე დაფუძნებული ადამიანების ურთიერთობაა.

რელიგიასთან კავშირით, სრულიად ორიკინალური კონცეფციებითა და სამართლის წყაროების თეორიით მუსულმანური სამართალი მკვეთრად განსხვავდება სამართლის იმ ოჯახებისაგან, რომლებსაც ჩვენ უკვე გავეცანით. მუსულმანური სამართალი, მივიჩნევთ მას თუ არა როგორც სამართალს ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, მთელი რიგ ქვეყნებში იმ ვაკუუმს ავსებს, რომლებიც დატოვებულია სამართლის სხვა სისტემების ნორმების მიერ. ყოველ შემთხვევაში, იგი ადამიანებს შორის შეტად მნიშვნელოვან ურთიერთობებს არეგულირებს. პირადი, საოჯახო, მემკვიდრეობის უფლებები მრავალ ქვეყანაში, სადაც სხვა დარგებში რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ან საერთო სამართლის ოჯახის კონცეფციები გადმოიდეს, მუსულმანური სამართლის ნორმებით რეგულირდება. გარდა ამისა, მუსულმანური სამართლის პრინციპები სერიოზულ პრაქტიკულ გავლენას ახდენს დასავლეთისაგან გადმოღებული ან მისი გავლენით შემოტანილი ნორმების განმარტებისა და გამოყენების ფორმებზე ქვეყნებში, რომელთა ცივილიზაცია ისლამის გავლენის ქვეშ მოექცა.

რაც მუსულმანური სამართალზე ითქვა,



შეიძლება ინდუსურ სამართალთან დაკავშირებითაც გავიგეოროთ. ის არ ითვლება მხოლოდ ინდოეთის სამართალად, არის წესების კომპლექსი, სავალდებულო ინდუიზმის ყოველი აღმსარებლისათვის, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობს.

შესამე სისტემა, რომელიც მუსულმანურ და ინდუსურ სამართალს შეიძლება შეედაროს, იუდაური სამართალია. თუმცა მისი გავლენის სფერო მნიშვნელოვნად ვიწროა ორივე სამართლის გავლენის სფეროსაგან განსხვავებით.

ჩვენ აქ არც კანონიკურ სამართალს ვიხილავთ, რადგან კანონიკური სამართალი არ ასრულებს ისეთ როლს მსოფლიოში, რომ მისი შედარება შეიძლებოდეს მუსულმანური სამართლის როლთან შემდეგი ორი მიზეზით: მუსულმანურ სამართალთან შედარებით იგი დამოუკიდებელი სამართალი არ არის და პრეტენზიას არ აცხადებს აღამიანებს შორის ურთიერთობათა კომპლექსის რეგულირებაზე; მუსულმანურ სამართალთან შედარებით მეტად ფრაგმენტულია და უმთავრესად გამოდის როგორც ეკლესიის მიერ შექმნილი, განსაკუთრებული საზოგადოების საჯარო სამართალი. რაც შეეხება კერძო სამართალს და მთელ რიგ სხვა საკითხებს, კანონიკური სამართალი მათ შესაბამისი სახელმწიფოების მოქმედ სამართალს უტოვებს გადასაწყვეტად.³

კანონიკები კმაყოფილდებიან ზოგიერთი პრინციპის ფორმულირებით. მათ ქრისტიანული მორალის დასაცავად ძალა უნდა მისცეს საერთო სამართალმა, რის შემდეგაც სავალდებულო სახელმძღვანელოდ იქცევა ქრისტიანებისათვის.

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ შორეული აღმოსავლეთის სამართლის კონცეფციებზეც. შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი სისტემები ამჟამად ფორმალურად დაკავშირებულია ან რომანულ-გერმანულ სამართ-

ლებრივ ოჯახთან ან სოციალისტურთან. მაგრამ საზოგადოებები, რომლებსაც ამჟამად მოდერნიზების ან რაიმე ფორმით ვესტერნიზების სურვილი აქვთ, საუკუნეების მანძილზე ნომ სხვა ცივილიზაციებით ცხოვრობდნენ. გამგებლების მიერ დეკრეტირებული რეცეფციამ დასავლეთის იდეების და ინსტიტუტებისა შთაიწინა როდი გამოიციხა ის კონცეფციები, ტრადიციის თანხმად რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის საფუძვლად ითვლებოდნენ. თანამედროვე სამართალი ეწევა რისკს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება უბრალო გარსად, რომლის შიგნით არსებობას განაგრძობს ტრადიციებთან დაკავშირებული მოქმედების, აზროვნებისა და ცხოვრების განსხვავებული მეთოდები.

სხვა მდგომარეობაა შავ აფრიკაში და მადაგასკარზე. ამ ქვეყნებში არ არსებობდა მსგავსი რამ, რისი შედარებაც შეიძლებოდა აღმოსავლეთის ბრწყინვალე ცივილიზაციასთან. მაგრამ აქაურ მოსახლეობას, სულ უკანასკნელ დრომდე სრულიად სხვა გაგების ჩვეულებებით რომ ცხოვრობდა, ამჟამად სთავაზობენ რომანულ-გერმანული ან საერთო სამართლის კონცეფციებს. ჩვენ სპეციალური კარი მივუძღვენით აფრიკისა და მადაგასკარის სამართალს. ეს სამართლებრივი სისტემები, ცხადია, ფართო სამართლებრივი ოჯახების, რომანულ-გერმანულის და საერთო სამართლის შიგნით უნდა იქნეს განხილული ცალკე ჯგუფის სახით. აღნიშნული ჯგუფის ცალკე განხილვის დროს გვსურდა მათზე, განსაკუთრებული ყურადღება მიგვეხეიროვინაიდან ვგრძობდით იმ პასუხისმგებლობას, რაც ამ ქვეყნებთან გვმართებს. „შესამე სამყაროს“ ქვეყნების განუვითარებლობა და სიღარიბე ლაქა და სირცხვილია კაცობრიობისა, რომელსაც უკვე აღარ ძალუძს ისე დაიჭიროს თავი, თითქოს ამ სამარცხვინო მოვლენებს ვერ ამჩნევდეს.

3 ამას ცხადად მოწმობს ფორმულა: ეკლესია ცხოვრობს რომანული კანონით.

ზოგიერთი შენიშვნა სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი გამოცემის გამო

სამართლებრივ სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი გამოცემით უდავოდ კარგი საქმე გაკეთდა, რადგან იგი მანამდე მხოლოდ 1965 წელს გამოიცა და უკვე დიდხანს იშვიათობად იქცა. ახალი გამოცემა იმითაც იყო აუცილებელი, რომ ოცი წლის მანძილზე სამოქალაქო კანონმდებლობაში ბევრი ისეთი ცვლილება და დამატება შევიდა, რაც აუცილებლად უნდა ასახულიყო კოდექსში. და აი, ხელთ გვაქვს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე. (დასახებლად მოაშადა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, დასტამბა გამოცემილია „საბჭოთა საქართველომ“). გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ კარგ საქმეს ჩრდილს აყენებს ის შეცდომები, გამოცემაში რომ გაიპარა. მართალია, მათგან ზოგიერთი წინა გამოცემაშიც იყო, მაგრამ ვფიქრობთ, ახალ გამოცემაში აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო. ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როცა შეცდომა გაპარულია ქართულ ტექსტში, ხოლო რუსულში ყველაფერი რიგზეა. იქნებ ამაზე არც გაგვიმახვილებინა ყურადღება, მაგრამ ასეთმა განსხვავებულობამ შინაარსობრივად სხვადასხვაგვარი აზრი შეიძინა და უნერხულობაც შექმნა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 მუხლში ჩამოთვლილია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძვლები. მათ შორის მითითებული უნდა იყოს იმ ხდომილებებზე, რომელთაც კანონი სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას უკავშირებს. ასეა ეს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში, 1965 წელს გამოცემულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში და ახალი

გამოცემის რუსულ ტექსტში. კოდექსის ახალი გამოცემის ქართულ ტექსტში კი ვკითხულობთ, რომ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა „იმ ცდომილებათა შედეგად, რომელთაც კანონი სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას უკავშირებს“. ვფიქრობთ, საჭირო არ არის იმის განმარტება, თუ რა განსხვავებაა ცდომილებასა და ხდომილებას შორის.

შეიძლება აქ კორექტურული შეცდომა იყოს, მაგრამ კანონის ტექსტი ასეთ შეცდომებს ვერ იტანას, რადგან იგი მთლიანად ცვლის ნორმის შინაარსს. მართლმსაჯულების განხორციელების დროს კი შეიძლება ამან სავალალო შედეგაც კი გამოიწვიოს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 448-ე მუხლი სახლის გასხვიების პირობით გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფას ეხება. მოვიყვანთ ამ მუხლს მთლიანად — „გასხვიებული სახლი (ან მისი ნაწილი) გირაოდ რჩება გამსხვიებულის რჩენის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში, მას დაედება ნოტარიალური ყაღალა და გამსხვიებულის სიცოცხლეში შემძენს არ შეუძლია გაასხვიოს ან დააგირავოს იგი“. აქ გაუგებარია, თუ ვის რჩება სახლი (ან მისი ნაწილი) გირაოდ. უნდა იყოს — „გასხვიებული სახლი (ან მისი ნაწილი) გირაოდ რჩება გამსხვიებულს რჩენის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში“. სწორედ ამგვარად არის მითითებული კოდექსის რუსულ ტექსტში «Отчужденный дом (или его часть) остается в залоге у отчуждателя на все время действия договора...».

აქ ყველაფერი რიგზეა, გარკვევით არის ნათქვამი, რომ სახლი (ან მისი ნაწილი) გირაოდ რჩება გამსხვიებულს. ამ შემთხვევაშიც ალბათ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს

საქმე, მაგრამ ერთმა ზედმეტმა ასომ შინაარსი რომ დაუკარგა ნორმას, ეს, ცხადია. (უნდა აღნიშნოს, რომ ეს შეცდომა დაშვებული იყო 1965 წლის გამოცემაშიც).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 452-ე მუხლის I ნაწილი „— სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ სავანგებო ჯილდოს (პრემიის) საჯარო აღთქმა რაიმე სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის (კონკურსის გამოცხადება) ვალდებულად ხდის ამ ორგანიზაციას გადაუხადოს აღთქმული ჯილდო იმ პირს, რომლის ნაშუშევარიც ცნობილი იქნება ჯილდოს ღირსად კონკურსის პირობების შესაბამისად“. აქ ისეთი შეცდომა დაშვებული, რომელიც სულ მთლიანად ცვლის კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს. თუ ნორმის ასეთი რედაქციით ვინელომდევანელები, მოქალაქეს შეუძლია საკონკურსოდ წარმოადგინოს ფოტოსურათი, როცა კონკურსი გამოცხადებულია მეტალურგთა შრომის ამსახველი საუკეთესო ნარკვევის შესაქმნელად. თუ ჯილდოს საჯაროდ აღთქმა ხდება „რაიმე სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის“, საუკეთესოდ შესრულებული „რაიმე სამუშაო“ ფოტოსურათიც შეიძლება იყოს. კონკურსის გამოცხადების დროს ჯილდოს საჯაროდ აღთქმა რაიმე სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის კი არ ხდება, არამედ კონკურსის პირობებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის, როგორც ეს მითითებულია აღნიშნული ნორმის რუსულ ტექსტში — «Публичное обещание государственной, кооперативной и другой общественной организацией специального вознаграждения

(премии) за лучшее выполнение определенной работы (объявление конкурса) обявляет эту организацию уплатить обещанное вознаграждение лицу, работа которого признана достойной вознаграждения в соответствии с условиями конкурса»

აქ გარკვევითაა მითითებული, რომ ჯილდოს საჯაროდ აღთქმა ხდება განსაზღვრული სამუშაოს და არა რაიმე სამუშაოს შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 529-ე მუხლი (ქართული ტექსტი) აღმოჩენის ავტორის სინონიმად მიიჩნევს აღმოჩენს. ამ მუხლის სათაურია „აღმოჩენის ავტორის (აღმოჩენის) უფლებები“ მიგვაჩინა, რომ „აღმოჩენის ავტორი“ და „აღმოჩენი“ ერთიდაიგივე არ არის. სიტყვა — აღმოჩენი უფრო ფართო მნიშვნელობისაა და მასში იგულისხმება ის მოქალაქეც, რომელმაც აღმოაჩინა სასარგებლო წიაღისეული, არქეოლოგიური მასალა და ა. შ. ასეთ აღმოჩენებზე კი არ ვრცელდება „დებულება აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ“. რაც შეეხება ტერმინს — „აღმოჩენის ავტორი“, იგი იმაზე მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს აღმოჩენის სამართლის ნორმებით დაცული აღმოჩენის ავტორთან. თუ კანონმდებელი მათ სინონიმებად თვლის, მაშინ — „აღმოჩენის“ მითითებული უნდა იყოს აღნიშნული ნორმის რუსულ ტექსტშიც. მსგავსი ხასიათის შეცდომები სხვაც გვხვდება. ვფიქრობთ, იგი მომავალი გამოცემის დროს აუცილებლად უნდა გასწორდეს.

ზურაბ ახვლედიანი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ელშარდ შიფანი, თამაზ ზაგზულიძე

„არა კაც ჰქალა“

სიჩუმე მამიამ დაარღვია.

— არც ისე დიდი ხნის წინ ორპირის აფთიაქის გამგეს ორი მძარცველი დაეცა ღამით. გამგემ, ხუციბერძემ დასწრო მძარცველს, ორლულიანი თოფით ერთი იქვე მოკლა, მეორე გაექცა. ასე იყო ნამდვილად!

— ე.ყუშუათ, რომ ასე იყო, რა გინდა მაგიტო სთქვა — ფეხზე წამოდგა ბიძინა.

— ის კაცი, თავში რომ უმიზნებდა თოფს, ითვალისწინებდა თუ არა, რომ საფეთქელში მოხვედრილი ტყვია კაცს მოკლავდა?

— ალბათ.

— ჰოდა, სასამართლომ გაამართლა მკვლელები, მერე ხმები დადიოდა, მოსამართლე მოისყიდაო ხუციბერძემ.

— ეს საქმეც ვიცი. ხუთი თუ ექვსი წლის წინ მოხდა.

— თუ ეს საქმე იცი, ისიც გეტყვინებ

თუ რა მოხდა, რატომ გაამართლეს მკვლელები?

ბიძინა დარბაზში შევიდა, დიდი კონვერტი გამოიტანა.

— აუცილებელი მოგერიება ჰქვია ამას, ახალგაზრდობაში მცირე ბროშურა დაწერე ამ საკითხზე, გამოქვეყნებაც მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე.

— რატომ?

— სხვა საკითხმა გამიტაცა. აი, წაიღეთ, ხვალ წაიკითხეთ, შემდეგ კი გოჩას წამოჭრილ თემაზე ვილაპარაკოთ.

— რომელზე?

— შეურაცხადებზე.

ბაბუა-შვილიშვილი ფეხზე წამოდგა.

— უყუტე შენ, რა დრო გასულა. — თქვა მამიამ და კონვერტი გამოართვა ბიძინას.

„აუცილებელი მოგერიება“

მოქალაქეს, თუ მოკვლას ან გაძარცვას უპირებენ, კანონი აძლევს თუ არა უფლებას დააშავოს ან მოკლას თავდამსხმელი?

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცხად პასუხს იძლევა: აქვს უფლება! საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში საგანგებო მუხლია შეტანილი. მასში ნათქვამია, რომ მოქალაქეს უფლება აქვს სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკუთარი ან სხვისი უფლებების დაცვისას ზიანი მიაყენოს მოძალადეს. ამას იურისტები აუცილებელი მოგერიების უფლებას უწოდებენ.

ამ მცირე ნაშრომის მიზანია ახსნას აუცილებელი მოგერიების უფლების შინაარსი. ეს საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ თუ რისი უფლება გვაქვს და რისი არა. საჭიროა ცხადად დადგინდეს ის საზღვრები, რაც აუცილებელი მოგერიებისას უნდა დავიცვათ.

მცირე ისტორიული წილსვლა...

აუცილებელი მოგერიების უფლება კანონ-

თა უძველეს კრებულებშია მოხსენიებული. მაგალითად, მანუს კანონები (ინდოეთი, 1200-900 წლები ჩვ. წ. აღ-მდე), დრაკონის კანონები (საბერძნეთი, 691 წ. ჩვ. წ. აღ-მდე), 12 ტაბულის კანონები (რომი, 400 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) და ა. შ.

ძველი იურისტები თვლიდნენ, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება მარადიული, ყოველი ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი უფლებაა, ტიტუს ანიუს მელანის დაცვისას ციკერონმა მჭევრმეტყველურად გადმოსცა ეს აზრი. მოსამართლენო! — თქვა მან, — არსებობს დაუწერელი, მაგრამ ბუნებრივი კანონი. იგი არ გვისწავლია, მემკვიდრეობით არ მიგვიღია, არც ამოგვიკითხავს სადმე, — ბუნებიდან შეგვითვისებია, მისგან შეგვისისხლხორცებია. იგი შექნილი კი არ არის, არამედ — თანდაყოლილია. თუ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე, ძალადობა, ყაჩაღობა ან მტრის იარაღი ემუქრება, მაშინ დაცვის ყველა სა-

შუალემა გამართლებულია. იარაღის უღარუნისას კანონი არ უნდა დადუმდეს. ნუ მოგვთხოვენ, ვუცადოთ მას, რადგან, ზოგჯერ, კანონის მომლოდინე, თვით განდება უკანონობის მსხვერპლი, ვიდრე მოძალადეს კანონი დათრგუნავს!.. ამიტომ, მოსამართლენო, დაე, ეს დებულება სისამართლო განხილვის ამოსავალ წერტილად იქცეს! არ მეშვებება, ჩემი დაცვის-სამართლიანობა დაგიმტკიცოთ, თუკი მტკიცედ გემხსოვრებათ ის, რაც არ უნდა დაივიწყოთ!.. ის, ვინც სხვას ჩაუსაფრდება, კანონის ძალით თავად უნდა მოკვდეს!

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებას თავდაცვის „ბუნებრივი უფლებით“ ხსნიდნენ შუა საუკუნეების ხანის იურისტები კლარესი, დომეგუდერი და მათიუსი. მათი აზრით ეს კაცის საღვთო ვალი იყო. მისი უგულებელყოფა ღვთის წინაშე ჩადენილ ცოდვად ითვლებოდა.

ამვე აზრს ადგენენ სამართლის ბუნებითი სკოლის ცნობილი წარმომადგენლებიც — პუგო გროციუსი, პუკენდორფი და სხვები. სამართლის ბუნებითა შეხედულებამ გავლენა იქონია XVIII საუკუნის კანონმდებლობაზე, მაგალითად დასავლეთ გალიციის კოდექსი (1799 წ.) საკუთარი თავის და ახლობელის დაცვას თანდაყოლილ უფლებად თვლიდა.

თავდაცვის ბუნებითი უფლებით აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ახსნას ცდილობდა XIX საუკუნის ზოგი ბურჟუაზიული იურისტიც: ორტოლანი, ელი (საფრანგეთი), შეტცი, გეიბი (გერმანია), კისტიაკოვსკი, ანციფეროვი (რუსეთი).

ფ. ელის აზრით აუცილებელი მოგერიების უფლებას კანონმდებელი კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ აღიარებს.

რევოლუციამდელი რუსი იურისტი ანციფეროვი თვლიდა, რომ მოგერიება კაცის ბუნებ-

რივი თანდაყოლილი უფლებებია; იგი სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე, დამოუკიდებლად არსებობს.

აუცილებელი მოგერიების ამგვარი გაგება, მის ბუნებრივ უფლებად აღიარება, მცდარია. კაცს არავითარი თანდაყოლილი და მარადიული უფლება არა აქვს, მით უმეტეს, ისეთი უფლება, რაც სახელმწიფოს მხარდაჭერას არ საჭიროებდეს. ყველა უფლება დაკანონებულია სახელმწიფოს მიერ და გაბატონებული კლასის ნებას გამოხატავს.

აუცილებელი მოგერიების უფლება ყველა ექსპლუატატორულ სახელმწიფოში გაბატონებული კლასის უფლებაა. მართალია, მონათმფლობელური სამართლის წარმომადგენლები აუცილებელ მოგერიებას თანდაყოლილ ბუნებრივ უფლებას უწოდებენ, მაგრამ ეს უფლება მონათმფლობელს ჰქონდა და არა — მონას. მონათმფლობელს შეეძლო მონის მოკვლა, სამაგიეროდ, მონას აუცილებელი მოგერიების უფლება, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა.

ეს უფლება გაბატონებული კლასის უფლებად დარჩა ფეოდალურ სახელმწიფოშიც, რაც იმდროინდელ საკანონმდებლო აქტებშიც აისახა. მაგალითად, ჰენრიხის კანონმდებლობა (1090-1145 წ.წ. ინგლისი) გლეხს ბატონისაგან თავდაცვას უკრძალავდა. პეტრე I სამხედრო დებულება სიკვდილით დასჯით კრძალავდა უფროსთაგან თავდაცვას. რაღა შორს წავიდეთ; ვახტანგ VI სამართალი (§ 42) პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, თუ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების დროს იქნებოდა ჩადენილი. ამ კანონს ერთი „მცირე“ შენიშვნა ჰქონდა. კერძოდ, იგი ძალას ჰკარგავდა, თუ მოძალადე ბატონი იყო, ხოლო მომგერიებელი — ყმა.

რა არის აუცილებელი მოგერიების უფლება

1. თუ კაცი ვინმეს მოკლავს, დააშავებს ან განზრახ გაანადგურებს სხვის ქონებას, მას კანონი სჯის, მაგრამ ხანდახან, შეიძლება, ასეთი ქცევის ჩამდენმა კანონის წინაშე პასუხი არც აგოს. უფრო მეტიც, ასეთი ქცევა საზოგადოებისათვის საზიანო არც კი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევებს იურისტები საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებს უწოდებენ.

აუცილებელი მოგერიება არის სწორედ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება. თუ აუცილებელი მოგერიებისას კაცი მოკლავს ან დააშავებს სხვას, იგი კანონის წინაშე პასუხს არ აგებს.

2. აუცილებელი მოგერიება კაცს უფლებას ანიჭებს საკუთარი, სხვისი, საზოგადოებრივი ან სახელმწიფო კეთილდღეობის დაცვისას მოძალადე დააზიანოს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში წერია: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნებისა და უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად“



საშიში ხელყოფისაგან, ხელშყოფისათვის ზიანის მიყენების გზით. თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგალი“.

კანონი უფლებას აძლევს კაცს მოძალადე დააზიანოს, მაგრამ ყოველთვის არა. გარკვეული პირობების დაცვა აქაც არის საჭირო. თუ მომგერიებელი ამ პირობებს არ დაცევს, მისი მოქმედება მართლზომიერი აღარ იქ-

ნება. ეს კი ბევრ რამეს შეცვლის. კერძოდ, მომგერიებელი თვითონ აღმოჩნდება საბრალდებო საქმეზე.

ამ აუცილებლად დასაცავ პირობებს იურისტები აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებს უწოდებენ. ამ პირობების გარკვეული წილი თავდასხმას განეკუთვნება, ნაწილი კი — თვით მოგერიებას.

როგორი თავდასხმა წარმოუშობს აუცილებელი მოგერიების უფლებას?

1. მოქალაქე კანონით არ ისჯება, თუ იგი იძულებულია, მოგერიებისას დააზიანოს მოძალადე. ყველა თავდასხმა ერთგვაროვანი არ არის. ამიტომ, თავდასხმის ბუნება განსაზღვრავს, აქვს თუ არა კაცს აუცილებელი მოგერიების უფლება.

95 წლის მოხუცი ვანო გაბლიანი შვილთან, რძალთან და ბატარა შვილიშვილთან ერთად სოხუმიდან კელასურში მიდიოდა. გზაზე, საქმოდ უკაცრიელ ადგილას, მათ სამი ძმა კირვალიძე შემოხვდა. ძმები მთვრალეები იყვნენ და უმოზნოდ აუხირდნენ გაბლიანის შვილს — ეშარა გაბლიანს. წაიკვლავდნენ. სანდრო კირვალიძემ თავში რკინა ჩაჰკრა ეშარას. ეშარამა გონება დაკარგა. მოხუცი შვილს წამოეშველა. სანდრო კირვალიძემ ახლა ის მოიგდო ქვეშ და მასაც უპირებდა თავში რკინის დარტყმას, მაგრამ ვანო გაბლიანმა იმარჯვა, თავდასხმელს ბარძაყში საკეცი დანა გაუყარა. სანდრო კირვალიძემ ბევრი სისხლი დაკარგა და გარდაიცვალა.

თავდასხმა საზოგადოებრივად საშიში იყო. ამიტომ, მოხუცს აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდა. არც დაუსჯიათ, რადგან ასეთი თავდასხმა წარმოუშობს სწორედ აუცილებელი მოგერიების უფლებას.

რა დროს არის თავდასხმა საზოგადოებრივად საშიში? მაშინ, თუ იგი საფრთხეს უქმნის ვინმეს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უფლებებს და სხვა.

თავდასხმა მართლზომიერიც შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ მილიციელი ან სხვა ვინმე შესაბამისად თავს ესხმის დამნაშავეს, დამნაშავეს არა აქვს უფლება ასეთი „თავდასხმელი“ დააზიანოს.

მართალია, აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში თავდასხმისას წარმოიშობა, მაგრამ ასეთი თავდასხმა ყოველთვის არ იძლევა აუცილებელი მოგერიების უფლებას.

ასეთი ამბავი მოხდა. ებრალიძემ ეზოში


უნებართვოდ ააშენა სათავსო. ამით მან მეზობელ სოხაძეს ოთახი დაუბნელა, რომელმაც სთხოვა, ერთი წყება აგურით მიინც დაედაბლებინა სათავსო, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ, სოხაძე თავად შეუდგა კედლის დადაბლებას. ებრალიძემ სანადირო თოფი გამოიტანა შინიდან და ორჯერ ესროლა, ერთი ტყვია მკერდში მოარტყა, მეორე კი — სახეში. სოხაძე მძიმედ დაშავდა.

თითქოს, ებრალიძე საკუთარ ქონებას იცავდა და მოძალადე მოიგერია, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ეს საქციელი აუცილებელ მოგერიებად არ ჩათვალა, და სრულიად სამართლიანადაც.

ამრიგად, თავდასხმა, შეიძლება, საზოგადოებრივად საშიში იყოს, მაგრამ არც ისეთი, რომ საფრთხეს უქმნიდეს ვინმეს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მნიშვნელოვან ქონებას. ასეთ დროს კაცს აუცილებელი მოგერიების უფლება არ აქვს.

გაზეთ „ივესტიაში“ გამოქვეყნდა წერილი — „შემთხვევა ბაქანზე“. წერილის ავტორი ერთ საბედისწერო შემთხვევას აღწერდა. ღამით ინჟინერი ბეზგაჩოვი საცოცხლეთან ერთად რკინიგზის ბაქანზე მატარებელს ელოდა. მათ მთვრალი კაცი აეკვიტა გვარად ელნი. მან ხელების ფათური დაუწყო ბეზგაჩოვის საცოცხლს, მოხვევაც კი დაუბირა. ბეზგაჩოვი მის დაშოშინებას შეეცადა, პაპიროსიც კი სთხოვა ელნიმ პაპიროსი მიაწოდა, მაგრამ თავისი მიანიც არ დაიშალა. ბოლოს, ბეზგაჩოვმა ხელი ჰკრა მას. მთვრალმა თავი ვერ შეიმარგა, ბეტონის კიბეზე ისე უხერხულად წაიქცა, რომ იქვე გარდაიცვალა.

ხელისკვრის შედეგი მოულოდნელი და მძიმე აღმოჩნდა. ბეზგაჩოვს, რა თქმა უნდა, მოძალადის მოკვლა არ სურდა. ხელის კვრით კაცის მოკვლას აბა, ვინ ცდილობს?! ელნი მთვრალი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც წაიქცეოდა, ანდა, თუ წაიქცეოდა, სასიკვდილოდ მაინც არა.



ელინის თავდასხმა, რა თქმა უნდა, ისე საშვიში არ იყო, რომ ვინმეს სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. მისი საქციელი წვერილმან ხულიგნობად თუ ჩაითვლებოდა. ამიტომ, ბეზგაჩოვს, თითქოს, არ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების უფლება, მას მოძალადის მოკვლა კი არა, მოცილება სურდა. ხომ ვერ დაელოდებოდა, როდის გადაიზრდებოდა ელინის წვერილმანი ხულიგნობა საზოგადოებრივად საშვიში თავდასხმად, რომ მხოლოდ მაშინ შებოძდა? კი, მას შეეძლო, ხელი მოეკიდა საცოლისათვის და იქაურობას გასცლოდა, ან თავი დაემდაბლებინა და ხვეწნა დაეწყო მთვრალისათვის, რათა დასწრაფდა. რომელი თავმომწონე კაცი იზამს ამას? ბეზგაჩოვმა არც ის იცოდა, რომ ხელისკერით მოკლავდა მას.

„ჩვენ ხშირად გავურბივართ ხოლმე ხულიგნებს, — განაცხადა საზოგადოებრივმა დამცველმა ბეზგაჩოვის სასამართლო პროცესზე, — მაგრამ ამით ხულიგანთა რიცხვი არ შემცირებულა. ხულიგანს კი არ უნდა დაეუთმოთ, არამედ გაბედულად უნდა შევეუთოთ... ბეზგაჩოვს დანაშაული არ ჩაუდენია. წესრიგის დამრღვევ ულთებს და ხულიგნებს, „სპორტული ინტერესებისათვის“ რომ ეტორილილებიან ხალხს, საკადრისი პასუხი უნდა გაცემთ, ეს არის ჩვენი აზრი!“

კაცს არ უნდა ეშინოდეს ხულიგნის, პირიქით, ხულიგანს უნდა ეშინოდეს მისი. ამიტომ, თუ ადამიანს თავდაცვის უფლება არ ექნა, დამნაშავის წინაშე სრულიად განიარაღდება.

თავისთავად ცხადია, რომ, თუ რაიმე მოქმედება არავის არ უქმნის საფრთხეს, აუცილებელია მოგერიების საჭიროება არც აღმოცენდებოდა.

ქ. ფოთში, ღამით, სამანიშვილმა საკუთარ სარდაფში შეასწრო ვიქტოროვს, ნაჯახი დაჰკრა და მძიმედ დაჰკრა. ფოთის სახალხო სასამართლომ სამანიშვილი გაამართლა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა ეს განაჩენი. კოლეგიის აზრით სამანიშვილს არ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების უფლება. მას არაფერ დასხმია თავს. ვიქტოროვი მის სარდაფში საჭიროებისთვის შევიდა — ამით მას ვინმეს სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეში არ ჩაუვდია!

მოგერიება დაუშვებელია აუცილებელი მოგერიებისას. ამ, თითქოს ბუნდოვან აზრს, მაგალითით განვმარტავთ. მთვრალი ეგოროვი სასადილოდან გააძევეს. ამით განაწყენებულმა, შინიდან ნაჯახი მოიტანა და სასადილოში მყოფთ დაერია. მას არ შეუშინდა რიგითი ჯარისკაცი სემიონოვი და ხელები გაუკავა. ეგ-

ოროვი მაინც დაუხსლტა და ნაჯახი დაჰკრა. სემიონოვი მძიმედ დაიჭრა.

სასამართლომ ეგოროვს ხულიგნობა და კაცის მძიმედ დაშავება დასდო ბრალად. პროკურორმა მსჯავრი გაასაჩივრა. იგი ამტკიცებდა — ეგოროვმა სემიონოვის თავდასხმა მოიგერიო და, ამიტომ, აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდაო. მისი საჩივარი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რა თქმა უნდა, არ გაიზიარა. მან განმარტა, რომ ეგოროვი თავად ესმოდა სხვებს, სემიონოვი კი ხალხს მისგან იცავდა. ესე იგი, აუცილებელი მოგერიების უფლება სწორედ სემიონოვს ჰქონდა და მისი დაჰკრა კანონსაწინააღმდეგო საქციელი იყო.

კაცს აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, როცა თავდამსხმელი საფრთხეს უქმნის ვინმეს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს და სხვა ამგვარს. თავდამსხმელი დამნაშავეა. აუცილებელი მოგერიება კი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა.

ისიც შეიძლება მოხდეს, რომ თავდასხმა საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს ან მნიშვნელოვან ქონებას, მაგრამ თავდასხმელი დამნაშავე მაინც არ იყოს. მაგალითად, როცა თავდამსხმელი სულით ავადმყოფია მას არ ძალუძს საკუთარი ქცევა ნებისყოფას და უმორჩილოს, ანგარიში გაუწიოს, ამიტომ, კანონის წინაშე არც აგებს პასუხს.

იზადება კითხვა: თუკი თავდასხმის გამო სულით ავადმყოფი არ იძვება, აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება, მოგერიებისას დაანაშალოს ან, თუნდაც, მოკლას იგი? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: აქვს თუ არა კაცს უფლება სულით ავადმყოფის წინააღმდეგ გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება? რა თქმა უნდა აქვს, რადგან აუცილებელი მოგერიება დაცვის საშუალებაა. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებას საშვიშროება განაპირობებს და არა თავდამსხმელის სულიერი მდგომარეობა. განა, სულ ერთი არ არის, ვინ მოგკლავს, დამნაშავე თუ სულით ავადმყოფი?! თუნდაც წინასწარ იყოს ცნობილი თავდამსხმელის ავადმყოფობა, კანონი მაინც ვერ შეზღუდავს კაცს, თავი დაიღვას და სულით დაავადებული მოძალადე მოიგერიოს.

2. აუცილებელი მოგერიების უფლება კაცს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მას საფრთხე ელის. თუ თავდასხმა მომავალშია მოსალოდნელი, ან უკვე შეწყდა, დასაცავი აღარაფერი იქნება, „თავდამსხმელის“ დაშავე-

ბა დაცვის საშუალებად აღარ გამოდგება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომგერიებელი აუცილებლად მშვიდად უნდა დაელოდოს პირველ დარტყმას. ეს აზრი მოხდენილად გამოხატა პეტრე პირველმა „სამხედრო არტიკულებში“: მომგერიებელი არ უნდა ელოდოს პირველ დარტყმას, თორემ შეიძლება ისეთი მოხვედეს, წინააღმდეგობის თავი აღარც ჰქონდესო.

ამის ნათესაყოფად მოვიყვანოთ სასამართლო პრაქტიკის ერთი მაგალითი: ომის ინვალიდ ივანოვს ორივე ფეხი ჰქონდა მოკვეთილი. მას ექვს თვეს მკურნალობდნენ ჰოსპიტალში. ამ პერიოდში მის ბინაში მდგმურად ცხოვრობდა ტოლიაშვილი. მალე ტოლიაშვილს და ივანოვის ცოლს შორის სასიყვარულო კავშირი გაიბა. შინ დაბრუნებულმა ივანოვმა ეს შეიტყო და ტოლიაშვილი დაითხოვა. ტოლიაშვილი გადავიდა, მაგრამ ივანოვების ოჯახი მაინც არ მოასვენა: მთვრალი მიდიოდა მათთან, აურხაურს ტეხდა, თხოვდა ქალს მასთან კავშირი არ გაეწყვიტა. ივანოვმა მილიციას მიმართა — ტოლიაშვილს ხელწერილი ჩამოართვეს. ივანოვმა სანადირო თოფი შეიძინა და მოძალადეს შეუთვალა, თუ კიდევ მოხვალ, თოფით დაგიხვდებიო. ტოლიაშვილი მაინც მივიდა, იგი მთვრალი იყო. კარი არ გაუღეს, შეამტვრია და შესვლა დააპირა. წინ ქალი გადაუდგა. თავდამსხმელი ყელში სწვდა მას. ივანოვმა შესაშინებლად ჰაერში გაისროლა. ტოლიაშვილი ქალს დაეხსნა, ქმარს შესძახა, სროლაც არ გცოდნია, შე გლახა, გიჩვენებ, როგორ უნდა სროლაო და ოთახში შესვლა დააპირა, მაგრამ, სწორედ იმ დროს, როცა კარში შედიოდა, ივანოვმა ხელმეორედ ესროლა. ტოლიაშვილი გარდაიცვალა.

ჰქონდა თუ არა ტოლიაშვილის მოკვლის უფლება ივანოვს იმ დროს, იმ ვითარებაში? იმ დროს მას ჰქონდა ამის უფლება. იგი საშიშ თავდასხმას იგერიებდა ესე იგი, მისი საქციელი მართლზომიერი იყო. მართალია, ტოლიაშვილი შესული არ იყო ოთახში, მაგრამ მომგერიებელი საფრთხის წინაშე იდგა და დაგვიანება, შესაძლოა, საბედისწერო ყოფილიყო მისთვის.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა თავდასხმის შეწყვეტისთან ერთად წყდება. თავდასხმის შეწყვეტა, შეიძლება გამოიწვიოს: 1. მომგერიებლის წინააღმდეგობამ; 2. სხვა პირის ჩარევამ; 3. თვით მოძალადის სურვილ-

მა, შეწყვეტოს თავდასხმა; 4. მიზნის მიღწევამ (მოძალადემ მოკლა უკვე ვინმე, ან განადგურა მისი ქონება).

თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ კაცს აღარ აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება. ამის განსამარტავად მივმართოთ მაგალითს (ყველა აქ მოყვანილი მაგალითი ცხოვრებაში ნამდვილად მოხდა): წინამძღვრიანთარში ბებიაშვილი დანაამოღერებული გამოეკიდა თანასოფელს ღარიბაშვილს. ღარიბაშვილმა იმარჯვა და დანა წაართვა თავდამსხმელს. ბებიაშვილმა ჩხუბი შეწყვიტა და სთხოვა დახსნოდა, მაგრამ ღარიბაშვილმა დანის რამდენიმე დარტყმით მოკლა იგი.

სასამართლომ ღარიბაშვილის მოქმედება განზრახ მკვლელობად ჩათვალა, რადგან მან დანა მაშინ ჩასცა მსხვერპლს, როცა თავდასხმა უკვე შეწყვეტილი იყო.

3. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის აღმოსაკენებლად საჭიროა თავდასხმა რეალური იყოს და არა მოჩვენებითი. ზოგჯერ ხდება, რომ კაცს ეჩვენება თითქოს ვინმეს ან რაიმეს იცავს და „თავდამსხმელს“ აშავებს, თუმცა, „თავდასხმა“ სინამდვილეში არ არსებობს. ასეთ მოგერიებას იურისტები „მოჩვენებით მოგერიებას“ უწოდებენ.

თბილისის გარეუბანში ღამის ათ საათზე დათუნაშვილმა თავის ეზოში ვიღაც უცნობი შენიშნა. კაცი ძალღთან ჩაცუქტულიყო. დათუნაშვილი შეშინდა, უცნობი ყაჩაღი ეგონა, ჯერ ძაღლს მომიკლავს, და შემდეგ, მეც მომიღებს ბოლოსო. მან შინიდან დანა გამოიტანა, უცნობს მიეპარა და ბეჭებში ჩასცა. უცნობი მძიმედ დაშავდა. ბოლოს, გამოირკვა რომ ის კაცი მთვრალი იყო, ეზოში უმიზნოდ შესულიყო და ძაღლს ეფერებოდა.

ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, აუცილებელი მოგერიება არ არის და დამნაშავე ისჯება.

სხვაგვარადაც ხდება. მაგალითად თავდასხმა შეიძლება მოჩვენებითი იყოს, მაგრამ იგი ისე ჰგავდეს ნამდვილს, რომ მომგერიებელს პასუხს ვერ მოვთხოვთ. ასეთ დროს კაცი შეიძლება სწორედ ვერ გაერკვეს მდგომარეობაში და შეცდომა დაუშვას. ერთ-ერთ სოფელში ზედიზედ მოხდა ქურდობა. ზარანდიას ბინაც გაქურდეს. ზარანდია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეუთანხმდა და ღამით მეზობლებთან ერთად ქურდებს ჩაუსაფრდა. შუალამისას ორღობეში მართლაც გა-

მოხდა ოთხი მამაკაცი. ისინი საეჭვოდ იქცეოდნენ: ჩუმად მოდიოდნენ, ჩერდებოდნენ, ეზობებში იხედებოდნენ. ზარანდიას სახლს რომ მიჰახლოვდნენ, ერთი მათგანი დაწინაურდა და ჰიშკრისკენ გაემართა. „სდექ, ხელე-ბი მალა!“ — შესძახა შეშინებულმა ზარანდიამ. უცნობმა ჰაერში ნაგანი ისროლა. ზარანდია დარწმუნდა, რომ ქურდები დაესხნენ თავს და თოფი ესროლა მომხდელურს. უცნობი გარდაიცვალა. ბოლოს გამოირკვა, რომ უცნობები მილიციის მუშაკები იყვნენ, თურმე, ისინიც ქურდებს ეძებდნენ.

ზარანდიამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, მილიციელი მოკლა, თუმცა, სინამდვილეში, თავს არავინ დასხმია. მოგერიება მოჩვენებით იყო.

სასამართლომ ზარანდია გაათავისუფლა.

მართალია, მას აუცილებელი მოგერიების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ უნებური შეცდომა მოუვიდა. იგი, მართლაც ისეთ ვითარებაში მოხვდა, რომ არ შეეძლო მეტი წინდახედულება გამოეჩინა.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მომგერიებულმა აუცილებლად უნდა იცოდეს მოძალადის ვინაობა და მიზანი.

მარნეულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მამედოვი კოლმეურნეობის ბოსტანს იცავდა. მძინარეს შუალაშით ხმაური შემოესმა. მან, უეცრად, წინ აღმართული ლანდი დაინახა, შეშინდა და ფეხებში ტყვია დაახალა. დაჭრილი იუსუპოვი, თურმე, კარტოფილის მოსაპარად მოსულიყო. მამედოვმა აუცილებელი მოგერიების უფლებით ისარგებლა, თუმცა წესიერად არც იყო გარკვეული, საფრთხე მას ემუქრებოდა თუ საკოლმეურნეო ქონებას.

რა უიძლევა დაიცვას მოგერიება?

მომგერიებულმა შეიძლება დაიცვას სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, საკუთრება და სხვა. კაცმა აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების დროს შეიძლება დაიცვას ყველაფერი, რასაც საერთოდ იცავს სისხლის სამართლის კანონი. ღირსების დაცვაც თუ შეიძლება?

სოფელ მაიაკოვსკში სარიძემ უშვერი სიტყვებით აგინა ლევანიძეს. შემდეგ, ეზოში შეჰყვა და გინებით აიკლო. ლევანიძემ შინიდან სანადირო თოფი გამოიტანა და შეურაცხყოფელს ესროლა. სარიძე მძიმედ დაიჭრა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ლევანიძეს აუცილებელი მოგერიების უფლება არ ჰქონდა. იგი დასაჯეს.

მეორე მაგალითი: ცოლთან ერთად პეტრიაშვილი ღამით შინ ბრუნდებოდა. ქუჩაში სამი მთვრალი ვაჟი აედევნა. ერთი წინაც გადაუდგა და ცოლის დათმობა მოსთხოვა. პეტრიაშვილმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ხულიგანს თავში ჩაჰკრა. მოძალადე მძიმედ დაშავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ პეტრიაშვილს აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდა. იგი არ დაუსჯიათ.

ამ ორივე შემთხვევაში კაცი საკუთარ ან ახლობლის ღირსებას იცავდა — ამის შედეგად ორივეგან თავდასხმელი მძიმედ დაშავდა.

სასამართლომ ერთი მათგანი დასაჯა, მეორე კი — არა. რატომ მოხდა ასე?

მთავარი ის კი არ არის, რას ხელყოფს თავდასხმელი, არამედ, როგორ სჩადის ამას. თუ კაცი მხოლოდ ლანდვით იფარგლება, მის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიება დაუშვებელია, ხოლო, თუ ღირსების შელახვა ძალადობით ხდება, მაშინ, აუცილებელი მოგერიების უფლება ყველას აქვს.

ერუ ჩვენების მიცემა, ალიმენტის გადახდასაგან ბოროტად თავის არიდება, გადასახლებულის თვითნებურად დაბრუნება და სხვა ამგვარი საქციელი დანაშაულია, მაგრამ ამ დროს არ შეიძლება აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება. ასეთ დროს არ არსებობს თავდასხმის უშუალო საგანი, არც ის უშუალო მატერიალური შედეგი, რაც დანაშაულებრივმა მოქმედებამ უნდა გამოიწვიოს.

ამგვარად, აუცილებელი მოგერიებისას შეიძლება, დავიცვათ ყველაფერი ის, რასაც სისხლის სამართლის კანონი იცავს. თუმცა მის წინააღმდეგ მიმართული ყოველნაირი თავდასხმა ვერ გაამართლებს აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებას. აუცილებელი მოგერიება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა თავდასხმა სამართლით დაცულ ინტერესს უქმნის ფიზიკური და მატერიალური ზიანის მიყენების ნამდვილ და უშუალო საფრთხეს.

პინი უფლავაზი შეიძლება დაიცვას მოგვარიზაზაზა?

მომგვარიზებელმა შეიძლება დაიცვას როგორც საკუთარი, ისე სხვა მოქალაქის, აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უფლებები — თუნდაც საამისოდ თავდამსხმელის დაზიანება დაჭირდეს.

ბეგიაშვილი, ჯავახია და მინდორაშვილი არაერთ დათვრნენ, სადილოს შემდეგ ერთმანეთს წაეკიდნენ და კინკლაობისას საწოლზე დაეცნენ. ამაზე ჯავახია განაწყენდა და, ახლა, ბეგიაშვილს ჰკრა ხელი. ბეგიაშვილი მოერიდა მას, თავის ოთახში გავიდა და ჩაიკეტა. ჯავახიამ ხორცის საკვებ ნაჭაზს წამოავლო ხელი, ბეგიაშვილის ოთახის კარის მინა ჩაამტვრია, ყვირილით შეეარდა, უნდა აგჩხვო. ბეგიაშვილმა დაასწრო, მაგიდიდან დანა აიღო და მომხდურს მეკრდში ჩასცა. ჯავახია მძიმედ დაიჭრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ბეგიაშვილი გაამართლა. მან

თავის გადასარჩენად აუცილებელი მოგვარიზების უფლება გამოიყენა.

ახლა, მეორე მაგალითი!

ხულოს რაიონში მცხოვრებ დოლიძეს ტყის პირას ქალის კვილი შემოესმა. ტყეში შესულმა დაინახა რომ ვიღაც მამაკაცი ქალის გაუბატურებას ცდილობდა. დოლიძემ ქვას წამოავლო ხელი და მოძალადეს თავში ჩასცხო. მოძალადე მძიმედ დაშავდა. დოლიძემ უცხო ქალის ხელშეუხებლობა დაიცვა. ისიც გაამართლეს.

მოსკოვში, ღვინის ერთ-ერთ ქარხანას სისტემატურად აკლდებოდა ღვინო. კარგა ხნის შემდეგ დაცვის მუშაკებმა კარლოვმა და დელოვმა როგორც იქნა მიაკვლიეს ქურდებს, რომლებმაც დედოვს შეუტოეს, წააქციეს და დახრჩობა დაუპირეს. ამხანაგს კარლოვი წამოემხარა. მან რკინის ჯოხი დაჰკრა ერთ-ერთ ქურდს და სასიკვდილოდ დააშავა. კარლოვი სახელმწიფო ქონებას და ამხანაგს იცავდა ამიტომ იგი არ დაუსჯიათ.

პინ და რა ვნება შეიძლება მიაყენოს მოგვარიზაზაზა?

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად აუცილებელი მოგვარიზების უფლების გამოყენების საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ მაშინ, როცა თავდასხმის მოგვარიზება ხერხდება „ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით“. ეს მოქმედება სხვა შემთხვევაში — თუ მოგვარიზება არ არის — გამოიწვევდა სისხლის სამართლის სასჯელს. ეს დებულება კანონიდან გამომდინარეობს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლით „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგვარიზების მდგომარეობაში“.


ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კაცი თავის დაცვისას მოვალეა, აუცილებლად დააზიანოს თავდამსხმელი. რა თქმა უნდა, უკეთესია, თუ მომგვარიზებელი უმტკივნეულოდ მოიცილებს მოძალადეს, მაგრამ ასეთ დროს საგანგებო მსჯელობა და კანონის მოშველიება არც არის საჭირო. ასე, რომ „აუცილებელი მოგვარიზება“ თავდამსხმელის დაზიანებას გულისხმობს. იგი შეიძლება თავდამსხმელის ცემით, დაჭრით, დაშავებით, მოკვლით, და

საერთოდ, ისეთი ქცევით გამოვლინდეს, რაც, ერთი შეხედვით დანაშაულს ჰგავს.

წყალტუბოს ერთ-ერთ რესტორანთან აბუთიძეს და ბერიძეს ცემა დაუწყეს. მათაც ცემითვე უბასუხეს ხულიგნებს. ატყდა აყალმაყალი, შეგროვდა ხალხი. აბუთიძე და ბერიძე ხულიგნობისათვის პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ისინი გაამართლა. პრეზიდიუმის დადგენილებაში მითითებული იყო: „მართალია, აბუთიძის და ბერიძის მოქმედება გარეგნულად ხულიგნობას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში ისინი თავს იცავდნენ და ამიტომ აუცილებელი მოგვარიზების უფლება ჰქონდათ“.

2. აუცილებელი მოგვარიზების დროს მოგვარიზებელს უფლება აქვს მხოლოდ მოძალადეს მიაყენოს ზიანი. მესამე პირის დაზიანება დაუშვებელია.

მთვრალი რევაზოვი სამკერვალო ფაბრიკის ეზოში შევიდა, დარაჯმა ბეზარაშვილმა მისი გაძევება სცადა, მაგრამ რევაზოვმა თოფზე უტაცა ხელი და წართმევა დაუპირა. მოსაგვარიზებლად დარაჯმა ფიცარი ჩაჰკრა თავში. ფიცარი ასხლტა და თავდამსხმელის დე-



დას მოხვდა. ქალი დაშავდა. რაკი ის თავს არავის ესხმოდა, მისი დაშავება არ შეიძლებოდა. დარაჯმა გაუფრთხილებლობისათვის აგო პასუხი; მან უდანაშაულო კაცი დააშავა! თუ მას არ შეეძლო ამ მარცხის გათვალისწინება, საერთოდ გათავისუფლებოდა პასუხისმგებლობისაგან.

3. საკუთარი ქონების დასაცავად ზოგი აწყობს ხაფანგს, სარკმელს ან ღობეს დენს უერთებს, ფეოქებად ნივთიერებას იყენებს მოსალოდნელი ქურდობის თავიდან ასაცილებლად და სხვ.

პახომოვმა შენიშნა, რომ ვიღაც სამშენებლო მასალას და შეშას ბარავდა. საკუთარი ქონების დასაცავად მან დინამიტი მოათავსა შესთან. ქურდი მართლაც დასწვდა შეშის ნა-

კერს, დინამიტი აუფეთქდა და მარჯვენა მოსწყვიტა. პახომოვს მსჯავრი დასდეს. საბჭოთა კანონი კრძალავს ამგვარ საქციელს. ეს არ არის აუცილებელი მოგერიება. აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს მოქალაქეს, როცა საფრთხე იმწუთიერი და რეალურია. სავარაუდო თავდასხმის მოსაგერიებლად ამგვარი ხერხის გამოყენება არ შეიძლება. დენის, დაგებული ხაფანგის და ფეოქებადი ნივთიერებების გამოყენება თავისთავად არის საზოგადოებრივად საშიში მოქმედება. ასეთი „თავდაცვით“ სულ ადვილად შეიძლება უდანაშაულო კაცი დაშავდეს.

აუცილებელი მოგერიება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ თავდასხმელის წინააღმდეგ ისე, რომ გამორიცხული იყოს მესამე პირის დაშავების შესაძლებლობა.

რა მიზანი უნდა ამოძრავებდეს მოგერიებულს?

1. მოგერიება მხოლოდ მაშინ იქნება მართლზომიერი, თუ კაცი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად მოქმედებს. თუ ამგვარი მიზანი არ არის, ვერაფრითარი თავდასხმა ვერ გაამართლებს მოსაზრების დაზიანებას.

ეს დებულება თვით აუცილებელი მოგერიების უფლების არსიდან გამომდინარეობს. მოგერიება მხოლოდ იმიტომ კი არ არის მართლზომიერი, რომ მომგერიებელი საზოგადოებრივ წესრიგს იცავს, არამედ იმიტომაც, რომ მას საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი ამოქმედებს.

ერთი ლოთი კაცი შინ გამუდმებით ჩხუბობდა და აბუჩად იგდებდა ოჯახის წევრებს. მას მოზრდილი გერი ვაჟი ჰყავდა, რომელმაც ამდენი დამცირება ვერ აიტანა და მამინაცვლის მოკვლა გადაწყვიტა. ღამით იგი ნაჯახმომარჯვებული შეიპარა დედის და მამინაცვლის ოთახში. სიბნელეში დაინახა, რომ მამინაცვალი ცოლის საწოლთან იდგა. ბიჭმა ნაჯახი თავში დაჰკრა მას. მამინაცვალი მოკვდა.

შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე იმ წამს კაცს რევოლვერი ეჭირა და ცოლის მოკვლას აპირებდა. მართალია, გერის საქციელმა, ფაქტობრივად, დედა სიკვდილისაგან იხსნა, მაგრამ მისი საქციელი მაინც არ იყო მართლ-

ზომიერი, რადგან მისი მიზანი მამინაცვლის მოკვლა იყო და არა — დედის ხსნა.

შეიძლება ისიც მოხდეს, რომ კაცი რამეს ან ვინმეს იცავდეს, მაგრამ მას ქცევის უზნეო მოტივი ჰქონდეს. ვთქვათ გასამრჯელოს მიღების მოტივი, მლიქვნელობა და რამე ამგვარი.

ისჯება ასეთი კაცი, თუ — არა? საყურადღებო კითხვაა!

ამ კითხვას კანონი ცხადად და გადამჭრილად პასუხობს. მთავარი არის ის, რომ კაცი ვინმეს ან რამეს იცავდეს — მისი მიზანი უნდა იყოს მართლზომიერი. თუ რატომ, რა მოტივით სჩადის ამას, მნიშვნელობა არ აქვს.

2. ვთქვათ, კაცმა განგებ გამოიწვია სხვა და შემდეგ თავად გაუსწორდა „თავდასხმელს“, მაშინ? მივმართოთ მაგალითს: ამირიძეს მეზობლის, ამბოკაძის დაჩაგვრა სურდა. ხშირად იწვევდა საჩხუბრად. ბოლოს, მოახერხა, ორღობეში შეხვდა და საჩხუბრად გამოიწვია. ამბოკაძემ ვეღარ მოითმინა და მეზობელს ეძგერა. ამირიძე მზად დახვდა მას, ნაჯახი მოუქნია და მხარი ჩამოაჩხა.

ასეთი საქციელი აუცილებელი მოგერიების ვითარების გამოწვევად ითვლება და იმიტომ ისჯება.

მოგვერიგებელმა არ უნდა გადაამეტოს აუცილებელი მოგერიების საზღვრები

1. უკვე ითქვა, რომ აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება საზოგადოებრივად სასარგებლოა. იგი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. მოქალაქე ვალდებულიც კი არის ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს. აუცილებელი მოგერიებისას დამნაშავეს და კანონის დამცველი მოქალაქის მოთხოვნათა დაპირისპირება ხდება. დამნაშავე ამ დროს კანონს არღვევს, მომგერიებელი კი იცავს მას — დამნაშავემ თვით ჩაიყენა თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ შიში უფლებები, მომგერიებლის უფლებებთან შედარებით, შეზღუდულია. მომგერიებლის წინააღმდეგ თავდამსხმელს არ აქვს მოგერიების უფლება.

დამნაშავეს ამგვარმა მდგომარეობამ ისეთი წარმოდგენა არ უნდა შეგვიქმნას, თითქოს, სახელმწიფო მის ბედს გულგრილად ეკიდებოდეს. აუცილებელი მოგერიებისას თავდამსხმელის მოკვლა ან დაშავება იმიტომ კი არ არის დასაშვები, რომ საზოგადოებას არაფრად უღირს მისი. სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, არამედ, იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ მოვიგერიებთ მის თავდასხმას. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი აუცილებელ მოგერიებას მართლზომიერად თვლის მხოლოდ მაშინ, როცა „გადაცილებული არ არის აუცილებელი მოგერიების ფარგლები“.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების დაწესებით კანონმდებელი გარკვეულ ზღვარს უდებს მომგერიებლის მოქმედებას და მისი გადალახვის უფლებას არ აძლევს. ამით კანონი ერთგვარად იცავს თავდამსხმელს, იმაზე მეტად არ დააზიანონ, რაც მისი თავდასხმის მოგერიების აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული.

თუ მომგერიებელმა უცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას თავდამსხმელი დააზიანა, იგი პასუხს აგებს. ასეთი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია. მართალია, ამ დროს მომგერიებელი მეთ ზიანს აყენებს თავდამსხმელს, ვიდრე მოსაგირებლად იყო აუცილებელი, მაგრამ მაინც ნაკლებ საშიში მოქმედებაა ჩვეულებრივ მკვლელობასთან ან დაშავებასთან შედარებით. ასეა თუ ისე, კაცი მაინც თავს იცავს, თან მას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისას მართლზომიერი მიზანი ამოძრავებს.

სწორედ ამას გულისხმობს კანონმდებელი: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის VI პუნქტი შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის დანაშაულის ჩადენას „საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დაცვის დროს, თუნდაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით „მკვლელობა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ისჯება თავისუფლების აღკვეთით — სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, „სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმედ დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ამავე ვადით“.

რა არის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება?

1. ამ კითხვის პასუხი თვით კანონშია მოცემული. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლით „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“.

ხელყოფის და დაცვის შეუსაბამობა ყოველთვის შეიძლება იყოს, როცა დარღვეულია დაცვის მართლზომიერების რომელიმე პირობა. თუმცა, თავდასხმის და დაცვის ყოველგვარი

შეთესაბამობა არ ნიშნავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების მაინცდამაინც გადაცილებას. მაგალითად, თუ მომგერიებელი თავდამსხმელს კი არა, სხვა პირს ჰკლავს, ეს გადაცილება კი არაა, ჩვეულებრივი მკვლელობაა.

მაშ, რას ნიშნავს ხელყოფის და დაცვის აშკარა შეუსაბამობა?

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს ჩადენილი დანაშაულის სა-



კითხვის განხილვისას იურისტები ორ შემთხვევას გამოკყოფენ:

ა) როცა დაცვა დროით არ შეესაბამება თავდასხმას — არადროული მოგერიება, და
ბ) როცა დაცვა თავდასხმას არ შეესაბამება თავისი ინტენსივობით — არათანაზომიერი მოგერიება.

2. თავდასხმის არადროული მოგერიება, ესე იგი, თუ მომგერიებელი მოძალადეს თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ დაზიანებს სწორედ ეს არის მოგერიების უფლების გადაცილება.

შინ დაბრუნებულ სურენს პაპა გასისხლიანებული ნაჯახით შეხვდა — დედაშენი ავჩენე, მიდი და ნახეო. სურენმა მართლაც ნახა ძირს დაგდებული, გასისხლიანებული დედა. შეძრწუნებული სურენი პაპისაკენ გაიქცა. იმ დროს მიუწურო, როდესაც მოხუცი ახლა რძალს — სურენის ცოლს — მისდევდა ნაჯახმომარჯვებული. სურენი დაეწია მას, ნაჯახი წაპვლიჯა, თავში ჩაპკრა და მოკლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სურენის საქციელი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩათვალა. მართალია, პაპამ შვილი დაასახიჩრა და რძალს მოსაკლავად მისდევდა, მაგრამ რა წამს შვილიშვილმა ნაჯახი გამოსტაცა, თავდასხმა შეწყდა კიდევ. ამის შემდეგ მისი მოკვლა აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმის „საშიშროებასა და ხასიათთან“.

ზოგჯერ, თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ განხორციელებული მოგერიება მისი ფარგლების გადაცილებად აღარ ითვლება, არამედ, ჩვეულებრივ დანაშაულად. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებამ ნათქვამია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არ არის ის შემთხვევები, როდესაც მოგერიება ხორციელდება „უკვე მას შემდეგ, როცა თავდასხმა აცილებული, ანდა, დამთავრებულია. დაცვითი ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობამ აშკარად გაიარა და, მაშასადამე, ეს მოქმედება გვეკლინება, როგორც შურისძიების აქტი — ანგარიშის გასწორება. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დგება საერთო საფუძველზე, როგორც განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის“.

ბაირამაშვილს ღამით ქუჩიდან ხმაური შემოესმა, გადაიხედა და დაინახა ბავშვები მისი მანქანის ბორბლებს ხუფებს ხსნიდნენ. მან აივანზე თოფი გამოიტანა და შესძახა, ხელეები ზეგითო. შეშინებულმა ბავშვებმა ხუფები დაპყარეს და ხელეები ასწიეს. ბაირამაშვილმა

ერთ-ერთ მათგანს თოფი თავში დაუმინა, ესროლა და იქვე მოკლა. ეს არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეცემა. კერძომესაკუთრული გრძობით გონებაწართმეულმა კაცმა ბავშვს მანქანის ხელყოფა არ აპატია და ხელებაწეულს ესროლა. მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში იყო ჩადენილი. ბაირამაშვილი მკაცრად დაისჯა.

სხვაგვარი შემთხვევებიც არის. ვთქვათ, თავდასხმა უკვე შეწყვეტილია, კაცმა იცის ეს, მაგრამ მაინც ჰკლავს ან ასახიჩრებს თავდამსხმელს. მიუხედავად ამისა, კანონი მაინც შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულად თვლის ამ საქციელს. ცხადია, ეს მაშინ, თუ დანაშაული აფექტისას ხდება.

შანშიაშვილმა თოფის ხმა გაიგონა, საკუთარ ეზოში შეიბრინა და ერთადერთი შვილი ტყვიით განგმირული დაინახა. მისი მკვლელობა მიდიოდა ტყისკენ. გამწარებული მამა დაედევნა მას და წაღლით თავი გაუჩხა.

მამის მოქმედება არ არის აუცილებელი მოგერიება, რადგან კარგად დაინახა, რომ შვილი უკვე მკვდარი იყო და თავს აღარავინ ესხმოდა. მისი შურისძიება აფექტური იყო. აფექტური შურისძიება უკანონო ძალდობამ გამოიწვია. ამიტომ, საპატიოა. ამგვარ მკვლელობაზე მსუბუქი სასჯელია დაწესებული — იგი უეცარი და ძლიერი სულიერი აღღვრების დროს არის ჩადენილი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით კი აფექტში ჩადენილი მკვლელობისათვის დამნაშავეს არ შეიძლება ხუთ წელზე მეტი ვადით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა.

ვთქვათ, თავდასხმა შეწყდა, მაგრამ რატომღაც მომგერიებელმა ეს ვერ გაიგო, თანაც ისეთი ვითარება იყო, რომ არც შეეძლო გაეგო და მაინც დაზიანა მოძალადე. ეს არადროული მოგერიებაა, მაგრამ მისი ჩამდენი პასუხს არ აგებს. მაგალითად, ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობის მეგვლეს, ღვინეფაქს აუხიჩრდა მთვრალი თანასოფელი ღვარწყავა და ორჯერ ესროლა რევოლვერი. ტყვია ვერ მოახვედრა. ღვინეფაქემ იმ წამსვე გადმოიღო თოფი და ესროლა. მას არ აუცილებია — ღვარწყავა გარდაიცვალა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოკლულს მეტი ტყვია აღარ ჰქონდა რევოლვერში. თურმე, თავდასხმა იმ ორი გასროლის შემდეგ შეწყვეტილიყო, მაგრამ ღვინეფაქემ ეს არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. ამიტომ, იგი არ დაუსჯიათ.

თუ მომგერიებელს შეუძლია, ან მოვალეც არის, იცოდეს, რომ თავდასხმა შეწყვეტილია და მაინც აშავებს მოძალადეს, მაშინ იგი პასუხს აგებს, რადგან ეს უკვე აუცილებელი მოგერიების ფარგლების დარღვევაა.

თუ მომგერიებელმა იცის, რომ თავდასხმა დამთავრდა, ან შეწყდა, და მაინც აშავებს, კლავს მოძალადეს — შურისძიების ან სხვა მოტივით — ეს აღარ იქნება აუცილებელი მოგერიების ფარგლების დარღვევა. ეს ჩვეულებრივი დანაშაულია. ამიტომ, მისი ჩამდენი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაისჯება.

3. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების სხვა სახეც არსებობს. ეს არის „არათანაზომიერი მოგერიება“ ესე იგი, როცა აშკარად არის დარღვეული დაცვის და თავდასხმის სიმწვავის თანაფარდობა, აგრეთვე, თუ მიყენებული ზიანი აშკარად არ შეესაბამება თავდასხმის მოსალოდნელ ზიანს.

თუ როდის არის დაცვა შეუსაბამო და როდის — არა, ეს თითოეულ შემთხვევაში ცალკე უნდა გადაწყდეს. ესე იგი, გათვალისწინებული უნდა იყოს, თავდასხმის ადგილი, დრო, ვითარება, თავდასხმელის და მომგერიებლის ასაკი, ჯანმრთელობა, მოქიშპეთა რაოდენობა, იარაღის სახე და სხვა მრავალი რამ.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების განხილვისას არ შეიძლება განყენებული მსჯელობა — თავდასხმა „მწვავია თუ არა“. თუ არ გავითვალისწინებთ მომგერიებლის დაცვით უნარს ისე ცალმხრივობას ვერ გავეჭვავით. თავდასხმა საშიში ან არასაშიშია სწორედ მომგერიებლის დაცვის უნართან შეფარდებით და არა — დამოუკიდებლად.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა თავდასხმის საშიშროების განსაზღვრის დროს ამ თვალსაზრისს ადგას.

ავკლის გზატკეცილზე აკიმიანი და ჯაბადარი შეაკმათდნენ. აკიმიანმა მკერდში დანა ჩაჰკრა ჯაბადარს. დაჭრილმა იმდენი შესძლო, რომ თავდასხმელს დანა გამოსტაცა და მუცელში დასჭრა. თხუთმეტი დღის შემდეგ აკიმიანი გარდაიცვალა. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ჯაბადარის საქციელი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩათვალა. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა სასამართლო კოლეგიამ მხარი არ დაუჭირა ამ განაჩენს. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავდასხმელის ხელიდან მომგერიებლის ხელში იარაღის გადასვლა და ამის შემდეგ თავდასხმელის მოკლა, ყოველთვის არ ჩათვლება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად. მართალია, ჯაბადარმა შესძლო დანის წართმევა და თავდასხმაც რითაც თითქოს შეწყდა კიდევ საფრთხე; განიარაღებული კაცი ხომ ნაკლებ საშიშია, მაგრამ იგი მძიმედ იყო დაჭრილი და გონება რომ დაეკარგა, აკიმიანს კვლავ აელო თუნდაც იგივე დანა და დაჭრილი მოეკლა ან ყოველივე ამის აწონდა-წონის დრო და საშუალება ხომ არ ექნებოდა ჯაბადარს! ამიტომ, სასამართლო კოლეგიამ ჯაბადარის ქცევა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად არ ჩათვალა. იგი გაამართლეს.

მომგერიება რომ მართლზომიერი იყოს, სულაც არ არის აუცილებელი, მომგერიებელმა ზუსტად ისეთი იარაღი იხმაროს, როგორითაც თავს ესხმიან.

რიაბინი და მისი ამხანაგი ჩილავეი კლუბის წინ იდგნენ და მუსიკას უსმენდნენ. მათ მიუახლოვდნენ მთვრალები, ვალკინი და ტროფიმოვი, რომლებიც უმიზეზოდ აუხირდნენ. ვალკინმა სახეში შემოჰკრა რიაბინს. რიაბინი წაიქცა. მას ცემა დაუწყო ტროფიმოვამაც. რიაბინმა მოახერხა, იქვე დაგდებული ხის პალო აიღო და მოსაგერიებლად თავში ჩასცხო ვალკინს. დაშვებულნი მეორე დღეს გარდაიცვალა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ რიაბინი გაამართლა. განჩინებაში ეწერა ვალკინს თავდასხმისას იარაღი არ უხმარია, მაგრამ მომგერიებელმა იცოდა, რომ იგი ლოთი ჩხუბისთავი და მრავალჯერ ნასამართლევი იყო. ამიტომ რიაბინი დარწმუნებული არ იყო, რომ თავდასხმა უფრო საშიშ სახეს არ მიიღებდა.

კანონი არ მოითხოვს თავდასხმელს გვექცეთ, ან მასთან შებრძოლებას მოვერიდოთ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით ამგვარი მოთხოვნა იქნებოდა „საბჭოთა ზნეობის და სოციალისტური მართლმეგნების პრინციპებთან შეუთავსებელი მსოფლმხედველობის გამოვლინება“.



პაპუაშვილს თავს დაესხა მისივე მეზობელი ეძვევრაძე და ცული მოუღერა. პაპუაშვილმა დაასწრო, სარი დაპკრა მას და მიიმედ დააშავა. მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ პაპუაშვილი გაამართლა. მან ჩათვალა, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არ ყოფილა. რაიონის პროკურორმა განაჩენი გააპროტესტა, პაპუაშვილს თავდასხმის აცილება გაქცევით შეეძლო და, რადგან ასე არ მოიქცა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები დაარღვიათ. ეს იყო პროტესტის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა პროტესტი. პაპუაშვილი სულაც არ იყო ვალდებული თავდასხმელს გაქცეოდა. ღირსებას რომ თავი დავანებოთ, იქნებ ეძვევრაძე უფრო ფეხმარდი აღმოჩენილიყო! ნათქვამია, გაქცეულის დაჯაბნა უფრო ად-

ვილია, ვიდრე — ვაჟაკურად დამხვდური-საო.

თუ თავდასხმელის დაშავება არ შეესაბამება მოსალოდნელ ზიანს, მოგერიება არათანაზომიერი იქნება (ვთქვათ, ყმაწვილმა გოგოს ნაწნავის შეჭრა დაუპირა, რისთვისაც გოგოს მამას ის ბიჭი შემოაკვდა.)

ქალაქ პიატიგორსკში გუმბას ვაშლის ბაღი ჰქონდა. ერთ საღამოს მას რაღაც ფაჩუნი შემოესმა. გუმბა თოფით გაიჭრა გარეთ. ვიღაც ბავშვი ვაშლის მოწყვეტას ლამობდა. გუმბამ თოფი დაუმიზნა მას და ესროლა. დაჭრილი ბავშვი შინისკენ გაიქცა, მაგრამ იქმდე ვერ მიადწია — გზაში გარდაიცვალა. რათქმა უნდა, აქ თავდასხმაზე და მის მოგერიებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. გუმბამ ერთი ვაშლის გამო არ დაინდო ბავშვი და იგი დასაჯეს არა როგორ მომგერიებელი, არამედ, როგორც განზრახ მკვლელი.

რა უფლებები აქვს მოქალაქეს დამნაშავის შეპყრობისას?

მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭიროა დამნაშავის შეპყრობა. დამნაშავის შეპყრობა შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა მოვალეობაა, მაგრამ ამ საქმეში განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საზოგადოების აქტიურ მხარდაჭერას.

დამნაშავე ცილობს მართლმსაჯულებას დაუძვრეს და შეპყრობის დროს ხშირად წინააღმდეგობასაც მიმართავს ხოლმე. ამ დროს, ცხადია, ძალის გამოყენება საჭირო და შეპყრობისას დამნაშავე შეიძლება დაშავდეს კიდევ. ბუნებრივია, იბადება კითხვა თუ კაცმა შეპყრობისას დააზიანა დამნაშავე, აგებს თუ არა პასუხს?

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის შეტანილი მუხლი, რომელიც ამ უფლებას იძლეოდეს. ასეთი მუხლი არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებშია. გამონაკლისი დამწებულია მხოლოდ უკრაინის, უზბეკეთის და ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსებში.

უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დამნაშავის შეპყრობისას ჩადენილი მოქმედება გააზრებულია როგორც აუცილებელი მოგერიება, ესე იგი, ასეთი მოქმედება მართლზომიერია. ესეც მხოლოდ იმ დროს, თუ ის მოქმედება აუცილებელი იყო

დამნაშავის შესაპყრობად და მისი სათანადო ორგანოში წარსადგენად.

დამნაშავის დაკავებას მართლზომიერად თვლის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება „ხელოვნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1969 წლის 4 დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „მოქალაქეთა მოქმედება, მიმართული დამნაშავის შესაპყრობად, რომელიც განხორციელებულია დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად, ანდა უშუალოდ ხელყოფის შემდეგ ხელისუფლების სათანადო ორგანოში დამნაშავის წარდგენის მიზნით, სასამართლომ უნდა განიხილოს როგორც ჩადენილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, აღნიშნულ შემთხვევაში დამნაშავისათვის ზიანის მიყენების გამო, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ მოქმედება, რომელმაც ზიანი მიყენა დამნაშავეს, არ იყო აუცილებელი მის დასაკავებლად, აშკარად არ შეესაბამებოდა ხელყოფის ხსიათსა და საშიშროებას და დაკავების ვითარებას“.

ასე, რომ საბჭოთა სისხლის სამართალი მო-

ქალაქეს უფლებას აძლევს, რათა შეპყრობი-
სას ზიანი მიაყენოს დამნაშავეს. ამას დამნა-
შავის შეპყრობის უფლება ეწოდება. მართლ-
ზომიერების თვალსაზრისით იგი აუცილებელ
მოგერიებასთან არის გათანაბრებული. აქვე
უნდა ითქვას, რომ დამნაშავის შეპყრობა სა-
ზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი
დამოუკიდებელი გარემოებაა და მას აუცი-
ლებელი მოგერიებისაგან განსხვავებული
მართლზომიერების პირობები აქვს. ამასთან
დამნაშავის შეპყრობა უნდა მოხდეს დანაშაუ-
ლის ჩადენისთანავე. კანონი ამას იმიტომ მო-
ითხოვს, რომ გარკვეული დროის გასვლის შე-
მდეგ კაცი, შეიძლება, შეცდეს და დამნაშავე
კი არა, სხვა პირი დააშავოს.

დამნაშავის შეპყრობისას მოქალაქეს უფ-
ლება აქვს, ძალა გამოიყენოს, შებოჭოს იგი,
ჩაეკეტოს სადმე, გაქცეულს ქვა ესროლოს
ფეხებში. ესე იგი, ისეთი საშუალებანი გამო-
იყენოს, რაც სხვა შემთხვევაში დანაშაულად
ჩაითვლებოდა. ამ დროს მოქალაქეს ზედ-
მეტი არ უნდა მოუვიდეს. თუ დამნაშავის
შესაპყრობად ზიანის მიყენება არ იყო აუ-
ცილებელი, ან უფრო მეტი ზიანი მიაყენეს
დამნაშავეს, ვიდრე ეს მის დასაკავებლად
იყო საჭირო, დამნაშავის შეპყრობის უფ-
ლების გადაშეცემა იქნება. ასეთი საქციელი
გარკვეულწილად ისჯება.

ორი მაგალითით განვმარტოთ ეს დებულება:
ვთქვათ, კაცმა შინ ქურდი შეისწრო. ქურდ-
მა გაქცევა დააპირა. ბინის პატრონს ორი
მეზობელი წამოეშველა. მათ შეეძლოთ
ქურდის შეპყრობა, მაგრამ ბინის პატრონმა
დაუშვებელი ხერხი გამოიყენა და ქურდს
წალდით მკლავი მოკვეთა. ბინის პატრონი

პასუხს აგებს, რადგან ქურდის შესაპყრობად
სულაც არ იყო აუცილებელი ასეთი უკიდუ-
რესი ღონისძიება.

ახალგაზრდა კაცმა ქალიშვილს სილა გააწ-
ნა. ქალის მამა შეურაცხყოფელს დაედევნა.
ახალგაზრდა სწრაფად გარბოდა. მდედარმა
შეატყო, ვერ დაეწოდა, რევოლვერი ამოი-
ღო და გაქცეულს ესროლა. ვაჟი შშიმედ და-
იჭრა. რა თქმა უნდა, მამა სხვანაირად ვერ
შეიპყრობდა შეურაცხყოფელს, მაგრამ შეპ-
ყრობაც არის და შეპყრობაც! სილის გაწინ-
სთვის კაცის მოსაკლავად გამეტება ცხადია,
შეპყრობის უფლების გადაშეცემაა. იარაღი,
ვთქვათ, მკვლელის წინააღმდეგ რომ გამოე-
ყენებინა, მისი საქციელი, მშენ, მართლ-
ზომიერი იქნებოდა.

დამნაშავის შეპყრობის უფლების გადაშე-
ცემა საზოგადოებრივად საშიში მოქმედებაა,
მაგრამ იგი უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე
ჩვეულებრივ ვითარებაში ჩადენილი იგივე
მოქმედება. ამას გარკვეული გამართლება
აქვს. ამ დროს მოქალაქე რაიმე საძრახისი
მოტივით არ მოქმედებს — მას დამნაშავის
შეპყრობა სურს. მართალია, შეიძლება უფ-
ლებებს გადააჭარბოს კიდევ, მაგრამ სინამ-
დვილეში მაინც უწყობს ხელს მართლმსაჯუ-
ლებას (თუ შეტაკებისას დამნაშავე არ დაი-
ლუბა).

დამნაშავის მოკვლა დაკავების მართლზომიერ-
ი მოქმედება არასდროს არ არის, თუნდაც
იმიტომ, რომ მოკლულის გასამართლება შე-
უძლებელია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



იურისტების ნობათი ჩერნობილელს

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შემდეგ ერთხელ კიდევ წარმოჩინდა საბჭოთა ხალხის ღირსება და სიკეთე, საუკეთესო ადამიანური თვისებები, პატრიოტიზმი, გაჭირვების ყამს თანადგომა, გმირობისა და ვაჟკაცობის გამოჩენის უნარი...

ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაკებმა შეიტყვეს თუ არა ჩერნობილში მომხდარი ამბავი, გამართეს კრება, სადაც ერთხმად დაადგინეს, რომ ავარიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გაგზავნონ ივნისის თვის ერთი დღის ხელფასი.

ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაკთა პატრიოტული თაოსნობა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში. ქუთაისელთა კეთილშობილურ საქციელს მხარი დაუჭირა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ყველა უწყებამ, ყველა თანამშრომელმა და გადაწყვიტეს 1986 წლის ივნისის თვის ერთი დღის ხელფასი — 7482 მანეთი გადარიცხონ № 191016 ანგარიშზე, რომელიც ავარიის გამო დაზარალებულთა კეთილდღეობას მოხმარდება.

საველი ჯიქია,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრებისა და სპეცმუშაობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული აქტივის კრება

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც ამასწინათ გაიმართა, მოწვეულ იყვნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორები, პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების პარტიული ორგანიზაციის მდივნები, საქართველოს სსრ პროკურატურის აპარატის კომუნისტები.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ნ. შოშიაშვილი, ამავე განყოფილების ინსტრუქტორი ა. დაუთაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსი დ. ღორია, საქართველოს სსრ უმაღლესი

სა სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ელიშერაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. კვიციანი.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. შარაშენიძემ.

მოხსენება — „საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების ამოცანები სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე“, გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა ვ. რაზმაძემ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე რ. გილიგაშვილი.

ლი, ქ. თბილისის პროკურორი ს. ნანიტაშვილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი პ. გათიკოვი, სამტრედიის რაიონის პროკურორი დ. იმნაიშვილი, მარნეულის რაიონის პროკურორის მოადგილე კ. ავაჯანოვი, საქართველოს სსრ პროკურატურის პირტიული კომიტეტის მდივანი ზ. მიქაბერიძე, აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ვაშვარდია, ქ. ქუთაისის პროკურორის მოადგილე თ. ბობოხიძე, ქ. ბათუმის ტრანსპორტის პროკურორი ვ. კლიუკოვსკი, მახარაძის რაიონის პროკურორი ვ. მიქაბაძე, ქ. ზუგდიდის პროკურატურის გამომძიებელი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ნარშენია.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ერთხელად აღნიშნეს, რომ სკკპ და საქართველოს კომპარტიის ყრილობათა გადაწყვეტილების შესაბამისად კიდევ უფრო მტკიცედ დაიარსდნენ პროკურატურის ორგანოები რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ისინი უფრო თანმიმდევრულად, ეფექტურად იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებისათვის ქვეყნის ეკონომიკის განსამტკიცებლად. გაძლიერდა ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, უყარათობის, სახელმწიფო გვიგებში წამატების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევების წინააღმდეგ.

მიზანდასახული და კონკრეტული ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა ოპერატიული მდგომარეობა, შემცირდა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, შესამჩნევად იკლო სახელმწიფო ქონების ქურდობის, მძიმე შედეგებით დამთავრებული ავტოსაგზაო შემთხვევების, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების და ზოგიერთი სხვა დანაშაულის რიცხვმა.

თანმიმდევრული და შედეგიანი გახდა ბრძოლა ისეთი გავრცელებული დამნაშავეობის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების წინააღმდეგ, როგორცაა მუქთახორობა, ლოთობა და ალკოჰოლიზმი. ამან ხელი შეუწყვა, აგრეთვე, ზოგიერთი მძიმე კატეგორიის დანაშაულობათა შემცირებას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება ძირითადად პირთის ყრილობათა მითითების შესაბამისად მიმდინარეობს. სწორედ ამის შედეგია, რომ პროკურატურის

ორგანოებში ყოველმხრივ განმტკიცდა პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა, გაძლიერდა დაქვემდებარებული ორგანოებისადმი მომთხოვნელობა, ამაღლდა პასუხისმგებლობა. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელ ორგანოებს, მის პარტიულ ორგანიზაციას მიჩნიათ, რომ პრინციპულად უნდა შეიცვალოს აპარატის თითოეული მუშაკის, კომუნისტის დამოკიდებულება მიწოდებითი საქმისადმი. დაძლიერდა იყოს მუშაობაში ჭეშ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, ყველამ შეიტანოს სათანადო წვლილი და მთელი პასუხისმგებლობით იზრუნოს ახალი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გასაუმჯობესებლად.

აქვე, პარტიული აქტივის მონაწილეებმა მწვავე შეფასება მისცეს რესპუბლიკაში შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და აღნიშნეს, რომ პროკურატურის ორგანოების, მისი პარტიული აქტივის საქმიანობა ჭეშ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის გავრდიდ სადღესო მოთხოვნებს. როგორც ანალიზმა ცხადყო სამართალდაცვითი, მაკონტროლებელი და ზოგიერთი სხვა ორგანოს უშედეგობის შედეგად ხშირად ირღვევა კანონი მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და მშენებლობის სამინისტროების სისტემებში. წამატების, უხარისხო, არასტანდარტული და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვების შედეგად კვდა დიდ ზარალს განიცდის რესპუბლიკის ეკონომიკა. ბევრ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში აღმოცხვრილი არ არის უყარათობის და უკონტროლობის ფაქტები, ბევრჯან ფორმალურად სორციელდება ზედამხედველობა შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის შესრულებაზე.

რთული ოპერატიული ვითარება შეიქმნათელავის, ზესტაფონის, წალკის, ლანჩხუთის, გარდაბნის, წულუკიძის და ზოგიერთ სხვა რაიონებში, სადაც თანმიმდევრული მუშაობა არ მიმდინარეობს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის.

ამ რაიონებში ჭეშ კიდევ არ არის აღმოცხვრილი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების გაკვიანრების, უსაფუძვლოდ შეჩერებისა და შეწყვეტის ფაქტები, დიდია გაუხსნელ დანაშაულობათა ხვედრითი წილი.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს საპროკურორო ზედამხედველობას შრომაგანსორების დაწესებულებებში, არადაამკმაყოფილებელია სასჯლის აღმზრდელობით

როლი, ხშირია კანონიერებისა და დადგენილი რეჟიმის დარღვევის ფაქტები.

აქტივის კრების მონაწილეებმა ყურადღება გამახვილეს იმაზეც, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში კვლავ აქვს ადგილი საქმეთა განხილვის ვაჭიანურებას, ლიბერალური განაჩენებისა და უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანას, ზოგიერთ სხვა სერიოზულ დარღვევებს.

არსებითად მოითხოვს გარდაქმნას საპროკურორო ზედამხედველობა ტრანსპორტზე, რადგან აქ დიდია სახელმწიფო ქონების ქურდობის, ტრანსპორტის მოცდენის ფაქტები და ა. შ.

არ უნდა შევუჩივდეთ სოციალისტური კანონიერების დარღვევებს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში და საჭიროა პრინციპული, მწვავე შეფასება მივცეთ უკანონო დაკავებებს, პატიმრობებს, ჩხრეკებს, მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი ფორმალურად მიდგომის, ბიუროკრატიზმის მაგალითებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის

პროკურატურის, მისი სისტემის მუშაობის სტილი და მეთოდები არსებით გაველენას ახდენს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე. ზოგჯერ ქალაქებისა და რაიონების პროკურორები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საპროკურორო მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან უბანს, როგორცაა მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა. ასეთი დამოკიდებულება კი უარყოფითად მოქმედებს მთელი პროკურატურის საქმიანობაზე.

მომხსენებლისა და კამათის მონაწილეთა გაშვებულში სხვაც ბევრი რამ იყო საგულისხმომო, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებას, ამაღლებს პროკურატურის როლსა და ავტორიტეტს, განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებას.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია მართლწირობისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების კონკრეტული ამოცანები გამომდინარე სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყირლობების გადაწყვეტილებებიდან.



საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაფართოებული კოლეგია

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაფართოებული კოლეგია, რომელიც სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყირლობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხებს მიეძღვნა. კოლეგიაზე მოწვეულ იყვნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები, მათი მოადგილეები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები და უმცლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების უფროსი და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები, სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვ.

მოსენება, „საქართველოს სსრ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ამოცანები სკკპ XXVII ყირლობისა და საქართველოს კომპარ-

ტიის XXVII ყირლობების შექმნა“, გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

სკკპ XXVII ყირლობამ, — თქვა მომხსენებელმა, — ლენინური სიბრძნითა და სიღრმით გააანალიზა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, განსაზღვრა პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, შეაჯამა პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების ცვლილებათა განხილვის შედეგები, დაამტკიცა ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები. ყირლობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აგრეთვე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

მართლწირობის განმტკიცებისათვის მიმდინარე პრინციპულ ბრძოლაში დიდია იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების როლი, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელონ შემდგომი სადირექტივო მითითებები და შესაბამისი დადგენილებები. ამი-

სათვის საჭიროა მათ მნიშვნელოვნად გაააქტიურონ ბრძოლა დამნაშავეობასთან და სამართალდარღვევებთან, განახორციელონ ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განუხრებლად დაცვისათვის, აღკვეთონ ბიუროკრატიაში და ფორმალიზმში, აამაღლონ საშემსრულებლო და სახელმწიფო დისციპლინა.

სკკპ XXVII ყრილობამ პირდაპირ მიუთითა, რომ საკანონმდებლო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კვლავაც უნდა ამაღლდეს საბჭოთა კანონიერების ხარისხი, დაიხვეწოს და უფრო კონკრეტული, აქტიური გახდეს იგი, რათა ხელი შეუწყოს მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედით კონტროლს.

რესპუბლიკაში მოქმედი კოდექსების უმეტესობა ხელახლა გამოიცა ყველა ცვლილებითურთ, დანარჩენები კი მომზადებულია დასაბუქდად. აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და ნორმატიული აქტების კრებული, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამამულო ომის ინვალიდთა შეღავათების შესახებ, უკვე გადაცემულია დასაბუქდად. მათ უახლოეს პერიოდში მიიღებენ მკითხველები.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სისტემატურად სწავლობს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, თვალყურს ადევნებს მოკავშირე რესპუბლიკების, სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და თუ საჭიროდ ცნობს, შეაქვს კიდევ წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებებისათვის. ჩვენი ინიციატივით მომზადდა პროექტები ფიქტიური ქორწინებისა და განქორწინების შესახებ, ვენახის უკანონოდ აჩეხვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებაზე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში და სხვა. იუსტიციის სამინისტრომ აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტების მომზადებაში, როგორცაა კანონები ატმოსფერული ჰაერის დაცვაზე, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ და სხვ.

გამოვიდა და ხელისმომწერებს უკვე დაგზავნათ რესპუბლიკის კანონთა წიგნის პირველი ტომი. მთლიანი გამოცემის 7 ტომიც უახლოეს წლებში დამთავრდება და აქ შევა ათასამდე საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტი თავისი ქრონოლოგიური ნუსხითა და ანბანურ-საგნობრივი საძიებლებით.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა

სასამართლო ორგანოების სამმართველოს მუშაობაზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო სასამართლოები მკაცრად, მაგრამ სამართლიანად სჯიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, მექრთამეებს, სპეკულანტებს, ნარკომანებს, ქურდებს, ხულოდებებს და სხვა საშიშ დამნაშავეებს, კვალიფიციურად ავლენენ დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის გამომწვევ კონკრეტულ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს, დროულად გამოაქვთ კანონით გათვალისწინებული ზომები მათ აღსაკვეთად და აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძინება მთელი რიგი ნაკლოვანებები სასამართლოების საქმიანობაში. ვხვდებით ფაქტებს, როდესაც გაუმართლებელ ღმობიერებას იჩენენ საშიში დამნაშავეების მიმართ, ხოლო თავისუფლების აღკვეთას უფარდებენ ისეთ პირებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული, არ არიან საზოგადოებრივად საშიში და შეიძლება ადვილად გამოსწორდნენ იზოლაციის გარეშე.

მინისტრმა მოიყვანა საამისო მაგალითები სამტრედიის და ზესტაფონის სახალხო სასამართლოების პრაქტიკიდან, ხოლო საქმეთა განხილვის ვადების დარღვევაში დაასახელა ახმეტის, მესტიის, გორის რაიონის სასამართლოები.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში დიდი როლი ენიჭება სასამართლოების პროფილაქტიკურ საქმიანობას. სტატისტიკით სასამართლოებს სისხლის სამართლის ყოველ მესამე საქმეზე გამოაქვთ ექრო განჩინება ყოველი მეოთხე საქმე იხილება გამსვლელ სესიაზე, ყოველი მეექვსე საქმის განხილვაში მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ რუსთავის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ვანის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, წაულენჯის, გეგეჭკორის და ზოგიერთ სხვა ქალაქისა და რაიონის სახალხო სასამართლოებს. სამწუხაროდ, გვაქვს ცუდი მაგალითებიც არც ერთი საქმის განხილვაში არ მიუღიათ მონაწილეობა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ახალქალაქისა და ქარლის რაიონის სახალხო სასამართლოებში, ხოლო არასდროს გამოსულან პრესის ფურცლებზე მომხდარ დანაშაულობათა შესახებ გორის, მახარაძის, სიღნაღის რაიონების სახალხო სასამართლოები. ზოგან ისიც შეინიშნება, რომ სახალხო სასამართლოები ფორმალურად უდგებიან პროფილაქტიკურ საქმიანობას და გამსვლელ სხდომებს ხშირად ისეთ ორგანიზაცი-



ებში ატარებენ, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ განსახილველ საქმესთან.

მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისა და სამართლის პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ლექციებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე, მიწის, შრომის, საბინაო კანონმდებლობების, სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე. მაგრამ მთავარი ის არის, თვითონ ლექტორი მოეცილოს გულისყურით ჩასატარებელი ლექციის მომზადებას, წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი აუდიტორიის წინაშე უნდა წაიკითხოს იგი, გაითვალისწინოს მსმენელთა ინტერესები. აქვე ყურადღება ექცევა იმასაც, თუ ვინ და როგორ კითხულობს ლექციას, რადგან ყველას არ აქვს უფლება იყოს კანონის პროპაგანდისტი. ის, ვინც თვითონ არღვევს ზშირად კანონს, არ არის მორალურად წმინდა და სპეტაკი, რა თქმა უნდა, არ იმსახურებს სხვების დამრიგებლობას.

შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იუსტიციის სამინისტროს ყველა სამმართველოსა და განყოფილების მუშაობაზე, წარმატებებთან ერთად აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, მოიყვანა კონკრეტული მაგა-

ლითები სასამართლო თუ სანოტარო საქმიანობიდან, ღრმად გაანალიზა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობა, საკადრო პოლიტიკა, საადვოკატო მოღვაწეობა და სხვ.

მოსხენების ირგვლივ გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე**, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **შ. არღუნი**, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **გ. ბორჩხაძე**, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. რიხიანიშვილი**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **შ. გორგოძე**, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე **რ. გილიგაშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ედიშერაშვილი**, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი **პ. ფუხაევი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **გ. გუმბარიძე**. კოლეგიის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ა. შუშანაშვილმა**.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო ადგენილება.

მოზარდი და სამართლებრივი აღზრდა

მიმდინარე წლის 15 მაისს ქ. თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიებისა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქარკვლოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისა და მათ შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კომპლექსურ ღონისძიებათა შემდგომ სრულყოფას.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. გურგენიძემ**. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თქვა მან, დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობას, მის სულიერ და ფიზიკურ

სრულყოფას, ამ მიზნით განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების რეფორმა. როგორც კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **მ. ს. გორბაჩოვმა** აღნიშნა: რეფორმამ გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ საბოლოოდ მაინც სრულყოფილად არ არის გადაჭრილი საკითხი და დღეს „... უფრო სრულად უნდა განვახორციელოთ სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის შეხამების ლენინური პრინციპი, უფრო მტიცივად ვიღვაწოთ, რათა გავზარდოთ სწავლების ეფექტიანობა, ძირეულად გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის; აღვზარდოთ ახალი საზოგადოების შეგნებული მშენებლები“. ეს სახელმძღვანელო მითითებები ჩვენი საპროგრამო ამოცანაა და ყოველი ჩვეთაგანი მოვალეა აღვზარდოთ პარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნებები. ამ მიმართებით სე-

რიოზული მუშაობა გემართებს პროფტექვა-
ნათლების სისტემის მუშაებას.

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმ-
ჯდომარის მოადგილემ ა. კაპანაძემ თავის
მოსხენებაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ პე-
რიოდში საგრძნობლად განმტკიცდა პროფ-
ტექვაანათლების სახელმწიფო კომიტეტის,
შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროე-
ბისა და საქართველოს ალკე ცენტრალური
კომიტეტის ერთობლივი საქმიანობა, რამაც,
თავის მხრივ, ხელი შეუწყო სამართალდარ-
ღვევათა პროფილაქტიკის და სამართლებრი-
ვი პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების
სრულყოფას. ამ ღონისძიებების შედეგად
პროფტექვაანათლების სისტემის მოსწავლე-
თა შორის შემცირდა სამართალდარღვევ-
ები. იუსტიციის სამინისტროში შექმნილია
საკოორდინაციო მეთოდიკური საბჭო, რო-
მელიც კარგა ხანია უაღრესად ქმედით ღო-
ნისძიებებს ახორციელებს ახალგაზრდობის
სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმ-
ჯობესებისათვის.

ასეთი კომპლექსური საქმიანობის შედეგად
სისტემატურად კლებულობს დანაშაულში
მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა,
ქერ კიდევ გვაქვს სერიოზული ხარვეზები.
სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგ სას-
წავლებელში შესუსტებულია კონტროლი,
ნაკლები ყურადღება ექცევა თეორიულ და
პრაქტიკულ მეცადინეობებზე მოსწავლეთა
დასწრების აღრიცხვას, ზოგჯერ პედაგოგიუ-
რი კოლექტივები და კომკავშირის კომიტე-
ტები მხოლოდ სამართალდარღვევის აღ-
რიცხვით კმაყოფილებიან, სრულ უმოქ-
მედობას იჩენენ დანაშაულის თავიდან ასა-
ცილებლად.

ცუდად მუშაობს, თქვა შემდეგ მომხსენე-
ბელმა, ზოგიერთი რაიონული და საქალაქო
საბჭოს არასრულწლოვანთა კომისია. ხშირად
ისინი სისხლის სამართლის დამნაშავეები, რო-
მლებსაც მისჯილი აქვთ პირობითი სასჯელე-
ბი, სპეციალური სასწავლებლების ნაცვლად
აგზავნიან ჩვეულებრივ საშუალო პროფე-
სიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რის გამოც
ჩვენს სისტემაში ხელოვნურად იზრდება ძნე-
ლად აღსაზრდელთა რაოდენობა.


ახალგაზრდების შრომითი და სამართლებ-
რივი აღზრდა რთული საქმეა და ყველამ
ერთად, კომპლექსურად უნდა ვიბრძოლოთ
მათ მალალიდურ მოქალაქეებად ჩამოყალი-
ბებისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინის-
ტრის მოადგილემ გ. კვანტალიანმა ისაუბრა

იმ ღონისძიებებზე, რასაც ახორციელებს ში-
ნაგან საქმეთა სამინისტრო ახალგაზრდობის
სამართლებრივი აღზრდისათვის, მათ შორის
დანაშაულის დროული პროფილაქტიკისათ-
ვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო, აღნიშნა
მან, სისტემატურად ატარებს რეიდებს, შე-
მოვლებს, შემომწვებებს, რასაც დადებითი
შედეგები მოსდევს. სასიხარულოა ის ფაქ-
ტი, რომ უკანასკნელი 8 წლის მანძილზე
არასრულწლოვანთა დანაშაული შემცირდა,
ხოლო რესპუბლიკის 44 ქალაქსა და რაიონ-
ში მდგომარეობა სტაბილურია, ბევრგან კი
სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა. თუმცა დამშვი-
დების საფუძველი ჯერ არ გვაქვს, რადგან,
მართალია, გასულ წელთან შედარებით არა-
სრულწლოვანთა დანაშაული რამდენადმე
შემცირდა, მაგრამ ზოგან, კერძოდ № 1, 6,
7, 110, 40, 113, 126 და სხვა სასწავლებ-
ლებში როგორც ჩანს, სათანადო დონეზე
არ დგას არც სასწავლებლების ადმინისტრა-
ციისა და არც შესაბამის რაიონების შინაგან
საქმეთა განყოფილებების საქმიანობა, რად-
გან აქ იმატა დამნაშავეობამაც.

სასწავლებლების კოლექტივები და შინაგან
საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახუ-
რები ერთობლივად უნდა დაეირაზნოთ, რა-
თა ჩვენი მომავალი თაობისაქენ საიმედოდ
დაუეხნოთ გზა ნარკოტიკებსა და სპირტთან
სასმელებს, დროზე ვუშველოთ გზასაცდენი-
ლებს, განუწყვეტელი ყურადღების ქვეშ ვი-
ყოლიოთ ეგრეთწოდებული ძნელად აღ-
საზრდელი მოზარდები. სამწუხაროა, რომ
ზოგიერთი სასწავლებლის ხელმძღვანელები
პირველად ჩვენი ოპერატიული ცნობებიდან
იგებენ მათი მოსწავლეების მიერ ჩადე-
ნილ დანაშაულობათა შესახებ.

საქართველოს ალკე ცენტრალური კომი-
ტეტის მდივანმა თ. გიორგაძემ ილაპარაკა
იმ პრავალვეროვან ღონისძიებებზე, რასაც
საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტე-
ტი ეწევა პროფტექვაანათლების სისტემის
მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისათ-
ვის და აღნიშნა ის ნაკლოვანებები, რაც თავს
იჩენს მათს მუშაობაში. კომკავშირულ აქ-
ტივს მოუწოდა, რათა კიდევ უფრო გაა-
მახვილონ ყურადღება ძნელად აღსაზრდე-
ლთა და დანაშაულებრივი ქმედებისაქენ მიღ-
რეკილების ქვერე ცალკეული მოსწავლე-
ებისადმი. მოსალოდნელი დანაშაულის თავი-
დან აცილების მიზნით ყოველკვირულად
შეაჯამონ სასწავლებლებში არსებული ოპე-
რატიული მდგომარეობა, მჭიდრო კონტაქტი
იქონიონ შინაგან საქმეთა რაიონულ გან-
ყოფილებებთან და არასრულწლოვანთა ინს-
პექციებთან.



ცალკეული საკითხების ორგვლივ ისაუბრეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზ. რატიაშვილმა, ქ. თბილისის პროფსიულ-ტექნიკური განათლების საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილემ რ. გურგენიძემ, ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელმა ვ. მინდიაშვილმა, ქ. რუსთავის კომკავშირის საქალაქო

კომიტეტის მდივანმა ა. ლოხვაძემ. სხდომას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების ინსტრუქტორი ა. ეჯიბაძე. სხდომამ მიიღო ერთობლივი დადგენილება. ზარიბა მარტიაშვილი.

იურისკონსულტთა რესპუბლიკური თათბირ-სამინდარი

მომდინარე წლის 26 მაისს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იურიდიული სამსახურების მუშათა თათბირ-სამინდარი, სადაც განიხილეს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

თათბირ-სამინდარი გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა. სკკ XXVII ყრილობის შემდეგ, აღნიშნა მან, ჩვენ პირველად შევიკრიბეთ, რათა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განვსაზღვროთ სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურის ამოცანები. მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ მტკიცედ უნდა ვაძლიერებდეთ სამართალდაცვითი და სხვა ორგანოების პასუხისმგებლობას, განვამტკიცებდეთ იურიდიულ სამსახურს საბჭოებსა და სახალხო მეურნეობაში, სახელმწიფო არბიტრაჟში, სრულფასოვანად მოხსნელობის სამართლებრივ აღწრდას. ამიტომ ჩვენი ვალდებულები ამოცანა სამართლებრივი მუშაობის ძირეული გარდაქმნა სადღეისო მოთხოვნათა დონეზე.

მოხსენებით „სკკ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ამოცანები“, გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ო. ნინიძე. იურიდიული სამსახურის მუშათა ყოველწლიური შეკრება, თქვა მოხსენებელმა, უკვე ტრადიციად დაშვიდრდა. დღეს ჩვენი მიზანია გასული წლის შედეგების მიხედვით განვსაზღვროთ სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დავსახოთ სამომავლო ამოცანები.

უკანასკნელ ხანს, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში სამართლებრივი სამსახურის როლი მკვეთრად ამაღლდა, სამართლებრივი საშუალებები აქტიურად გამოიყენება სოციალისტური საკუთრების დაცვების წინააღმდეგ ბრძოლაში, საგემო, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში; მტკიცედ უზრუნველდა ექცევა შრომის კანონმდებლობის ზუსტად დაცვას.

მიუხედავად ამისა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში ჯერაც ვერ აუხსებენ იურიდიულ სამსახურს, აკნინებენ მის როლს საწარმოო დისციპლინის განმტკიცებასა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში. იურისკონსულტები სათანადოდ არ მონაწილეობენ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდისათვის, საგემო დავალებათა განხორციელების ღონისძიებათა შემუშავებაში, სოციალისტური საკუთრების დაცვაში. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი კი საერთოდ უგულებელყოფს იურიდიული სამსახურის როლს, რაც იწვევს გაფლანგვა-დატყუებას, დებიტორულ დავალიანებათა სისტემატურ ზრდას, არამწარმოებლური ხარჯების გადიდებას. სწორედ ასეთი ვითარება შექმნილი საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ვეტკოპარხანაში“, ამიერკავკასიის რკინიგზაზე და ზოგიერთ სხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში. სკკ XXVII ყრილობამ, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ახალი ამოცანები დაუსახა სოფლის მეურნეობის იურიდიულ სამსახურებს. სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში სრულად უნდა გამოვიყენოთ სამართლებრივი ბერკეტები. გაუმჯობესებას მოითხოვს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობაც. ამ მიმართებით იუსტიციის მინისტრის

შესაბამის განყოფილებასა და აღნიშნული საბჭოს პრეზიდიუმს სერიოზული მუშაობა მართებო.

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში იურიდიული სამსახურის ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილემ ჯ. ჯალალნიძემ. სახალხო მეურნეობის სამართლებრივი რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, თქვა მან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან იგი ჩვენი დროის ობიექტური მოთხოვნაა. უნდა გაძლიერდეს საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა. ამ რთულ საქმიანობას ნებისმიერი ხელმძღვანელი მხოლოდ იურისკონსულტის დახმარებით გაართმევს თავს. სამუშაოა, რომ ზოგიერთი საწარმოს თავკაცი არაღ დაგიდევს ათეულ, ასეულ და ათასობით მანეთ პირგასამტეხლოს, ქარიშის, საურავის გადახდას.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი თ. ჯიბიაშვილი, აჭარის ახსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბ. შანიძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების უფროსი კონსულტანტი ვ. მალძიბაძე, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯ. მუშუქა, ამიერკავკასიის რკინიგზის იურიდიული განყოფილების უფროსი ე. სომხაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი ა. ალბანი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ჯაპახიშვილი.

უფრნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა ლ. თალაძემ ილაპარაკა უფრნალის რედაქციისა და იურიდიული სამსახურის მუშაკთა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებსა და მის დიდ მნიშვნელობაზე.

თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯ. რატიანიძემ. თათბირ-სემინარმა მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯ. რატიანიძემ.

თათბირ-სემინარმა მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

თამაზ მირიანაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

სამართლებრივი პროკაგანდის ერთდღიური

სამართლებრივი აღზრდა, როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობის შემადგენელი ნაწილი, ყოველმხრივად განვითარებული პიროვნების ფორმირების მძლავრი საშუალებაა. სკკ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებებმა ახალი ამოცანები დაუსახა შრომითი კოლექტივებს. შრომითი კოლექტივების თითოეული წევრის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, მათი მართლშეგნების ჩამოყალიბება დღევანდელი მართლ-ერთი აქტუალური ამოცანაა.


ამ მიზანს ემსახურებოდა სამართლებრივი ცოდნის ერთდღიური, რომელიც თბილისის პირველი მაისის რაიონის შრომითი კოლექტივში ჩატარდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიონის ინიციატივით.

რაიონის მმ სამრეწველო შრომითი კოლექტივის მშრომელებს სადღეისო აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე ეხაუბრნენ

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, მინისტრის მოადგილეები ა. კვიციანი, თ. ნინიძე, იუსტიციის სამინისტროს და რაიონის აღმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები ვ. გვარამია, მ. გაბრიჩიძე, ც. კვარაცხელია, ვ. მიაძანაძე, დ. მარჯანი, ც. გომეზიშვილი, თ. საბიაშვილი, ა. ტალიაშვილი, ჯ. ჟურჯუშია, ლ. ნიკორაძე, ვ. ტურაშვილი, ვ. ჟონია, ა. კიკნაძე, თ. მირიანაშვილი, რ. ვარაზიშვილი, ს. ჯიქია, დ. ლოლაძე, ჯ. მესხიანი და თ. ბაქრაძე.

გადაწყდა, რომ ასეთი შეხვედრები და საქმიანი საუბრები საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე სისტემატურად გაგრძელდება, რაც დიდად შეუწყობს ხელს სამართლებრივი პროკაგანდის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას.

გიხვილ კობრიკაძე.



ადვოკატურის საქმიანობის სრულყოფისათვის

1986 წლის 7 ივნისს გაიმართა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციების გამგეებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა, ადვოკატთა აქტივმა.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ნინიძემ.

მოსხენება „ადვოკატურის საქმიანობის სრულყოფა სსკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ გააკეთა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა გ. როინიშვილმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე აკ. გოგობერიშვილი, ქ. თბილისის საქარზნო რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე, პრეზიდიუმის წევრი ი. ბერიშვილი, ქ. ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის გამგე ლ. ფარქოსაძე, ქ. ცხაპაის

იურიდიული კონსულტაციის გამგე, პრეზიდიუმის წევრი მ. რობაქიძე, ქ. რუსთავის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი მ. მატუტაძე, ცხინვალის იურიდიული კონსულტაციის გამგე მ. გახევიძე, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის სარევიზო კომისიის თავმჯდომარე, ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვ. ლეხელიძე, ახმეტის იურიდიული კონსულტაციის გამგე ქ. სუხიაშვილი, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ო. აგლაძე, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე-ადვოკატი მ. ჩოხანიანი, პირველი მისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი თ. გვიშაინი.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა თ. ნინიძემ.

დამტკიცდა 1986-1990 წლების პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

ლ. ზანიჩიძე,

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ზეპირი უფროსი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სახანლოს და სიფხვლიხათის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების ინიციატივით ამერიკაჯაკსიის რკინიგზის საზურის კულტურის სახანლოში გაიმართა ზეპირი უფროსი „ალკოჰოლი, კანონი, დანაშაული“.

ზეპირი უფროსი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის საზურის რაიონის მეორე მდივანმა ე. ახვლედიანმა. უკანასკნელ ხანს, თქვა მან, მეტი ყურადღება ეთმობა კომუნისტური მორალისა და წესობრივი პრინციპების მკაცრ დაცვას, მავნე ჩვეულებებისა და გაღმონაშთების, ისეთი მახინჯი გამოვლინების დაძლევა, როგორცაა ლოთობა, სპირტანი სახმელების ბოროტად გამოყენება. ამ სოციალურად საშიშ ბოროტებასთან ბრძოლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ზეპირი უფროსი მოიცავდა შემდეგ თემებს: „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საზო-

გადოებრივი ზემოქმედების საშუალებები“, „ალკოჰოლი, დანაშაული, ახალგაზრდობა“, „ალკოჰოლიზმი — დაავადება თუ ჩვევა?“ „საზოგადოების მავნე ტრადიციები და ჩვევები“.

ზეპირი უფროსი მოწოდებდა მონაწილეობდნენ სიფხვლიხათის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. ხმელაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი ზ. მემნენიშვილი, რკინიგზის საკვანძო სავადმყოფოს მთავარი ექიმი ე. მენაბდე, ფიჭულტურისა და სპორტის საზურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ბრიგადაშვილი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი თ. ლატაბიძე, შინაგან საქმეთა საზურის რაიონული განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები ბ. გომბლაძე და ო. ჩაღუნაძე.

დამსწრეთა უჩვენეს ალკოჰოლის მავნებლობის ამსახველი დოკუმენტური ფილმები.

ზაბალ მინხეთელი.

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 3, 1986 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6130/117



ფანი 60 353.

ინდექსი 76185

